

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნ ი ნ ო გ ა ბ უ ლ დ ა ნ ი

ქრისტიანული ტერმინები
ქართულ და სხვა ქართველურ
ენებში

10.02.08 _ ქართველური ენები

დისერტაცია
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი შუქია აფრიდონიძე

თბილისი
2002

შესავალი

ქრისტიანული ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენაში V საუკუნიდან ყალიბდება. მათი დამკვიდრება ქართულ ენაში იწყება ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებიდან. ამ პერიოდიდანვე შეგვიძლია მათს განვითარებას მივადევნოთ თვალი, რასაკვირველია, წერილობითი ძეგლების მოშველიებით. საინტერესო უნდა იყოს უმწერლობო მეგრული და სვანური მასალის შესწავლაც ამ თვალსაზრისით.

ეს ტერმინები თავდაპირველად, როგორც ცნობილია, სესხების გზით მკვიდრდებოდა, სრულ სესხებას ნაწილობრივი სესხებაც ახლდა კალკების სახით, რაც იქცა

ქართული საკრალური ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის კიდევ ერთ, შეიძლება ითქვას, პროდუქტიულ საშუალებად. მაშასადამე, ქართულ ქრისტიანულ ტერმინებში საკვლევეია როგორც ნასესხები ლექსემები, ისე კალკები და ასევე ქართული ენის წიაღში აღმოცენებული ორიგინალური მასალა.

“ლოგიკურად მიმართება ცალკეულ ცნებასა და ტერმინს შორის ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყოველ ერთ ცნებას ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარეობს ტერმინის ძირითადი ნიშან-თვისება – ერთმნიშვნელობიანობა, ანუ მონოსემიურობა” [დამბაშიძე, 1986, გვ. 21].

“ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების დროს დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი პრინციპები: 1. ტერმინი უნდა შექმნილიყო მხოლოდ ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით; 2. ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით; 3. ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი; 4. ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა დამყარებულიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო; 5. ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი” [მელიქიშვილი, 1993, გვ. 193]. ასეთია ზოგადი ფორმულირება ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისა, თუმცა, შესაძლოა, ეს პრინციპები ყოველთვის არ გატარდეს, რადგან ენა ცოცხალი ორგანიზმია და “იგი განვითარების კანონებს ემორჩილება” [მელიქიშვილი, 1993, გვ. 193].

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინთა წარმოების მოყვანილი ფორმულირება ძირითადად სამეცნიერო ტერმინოლოგიას გულისხმობს, იგი შეიძლება გავავრცელოთ ქრისტიანულ ტერმინოლოგიაზედაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა-განვითარება წიგნიერების ფარგლებს თითქმის არ სცილდება, ამიტომაც მისი გარკვეულ ყალიბში ჩასმა, ანუ ნორმირება, მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, რადგან “წერილობითი ენა გაცილებით უფრო კონსერვატულია, ვიდრე ზეპირი მეტყველება” [ფოჩხუა, 1974, გვ. 25].

განსხვავებული ვითარება გვაქვს ქრისტიანულ ტერმინებთან დაკავშირებით, რომლებიც უდავოდ წიგნის გზით შემოვიდა ქართულში, შემდეგ სახალხო კუთვნილებად იქცა, რის შემდეგაც ტერმინთა წარმოება უკვე თავისუფალ ხასიათს იღებს. ცხადია, გაცილებით უფრო მოუწესრიგებელია ეს პროცესი უმწერლობო მეგრულსა და სვანურში.

ითვლება, “რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება გაცნობიერებული პროცესია” [მელიქიშვილი, 1993, გვ. 194]. ქრისტიანული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში ენა ცდილობს საკუთარი მონოსტრუქტურული მოდელი გამოიმუშაოს, მასალად კი სიტყვაწარმოებისათვის საერთო-სახალხო ენის ფონდს იყენებს. ქრისტიანული ტერმინოლოგიის (ისევე როგორც სხვა სახის ტერმინთა) ჩამოყალიბება გულისხმობს განსხვავებულობას ყოფითს ენაში უზუალური მნიშვნელობით მოცემული ლექსემებისაგან.

ნაშრომის მიზანია: 1. ქრისტიანულ ტერმინთა შესწავლა ქართულ და სხვა ქართველურ ენებში როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ქრილში; 2. გამოკვლევა იმისა, რამდენად შეიცვალა ქრისტიანულ ტერმინთა სემანტიკა თუ გრამატიკული სტრუქტურა და რა განაპირობებდა ამ ცვლილებებს; 3. მოცემულია ზოგი ქრისტიანული ტერმინის ეტიმოლოგიზების ცდაც.

ქრისტიანულ ტერმინთა საკვლევად შესწავლილ იქნა ბიბლიის კანონიკური ტექსტები: მოსეს ხუთწიგნეული, დავითნი და ახალი აღთქმა. ქართული ორიგინალური ლიტერატურის ნიმუშები: იაკობ ხუცესის “მარტვლობაჲ შუშანიკისი”, რომელიც V საუკუნით თარიღდება, მაგრამ X საუკუნის ხელნაწერთაა მოღწეული. იოვანე საბანისძის “მარტვილობა აბო თბილელისა” (VIII ს.), “მარტვლობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ” (IX-X ს.ს.), გიორგი მერჩულეს “ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ” (X ს.), იოანე მინჩხის პოეზია (X ს.), იოანე პეტრიწის “განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა” (XI ს.). (მართალია, ვიყენებთ იოანე პეტრიწის ნაშრომის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ვარიანტს, მაგრამ მასში დაცულია პეტრიწისეული ტერმინოლოგია). შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” (XII ს.), გრიგოლ ჯავახიშვილის “წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა” (XVIII ს.).

ტერმინთა სემანტიკის განმარტება წარმოდგენილია ლექსიკოგრაფიული წყაროების მოშველიებით. ზემოთ ჩამოთვლილი ბიბლიური წიგნები შეუდარდა ბერძნულ ტექსტებს. ე. სეპირი ბერძნულს იხსენიებს იმ ხუთ ძირითად ენას შორის, რომელთაც ისტორიაში კულტურის გადამცემთა განსაკუთრებული როლი შეასრულეს [Сепир, 1933, გვ. 152]. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი წმინდა მამები სათარგმნელად ძირითადად ბერძნულ დედანს ირჩევდნენ. ნაშრომში წარმოდგენილი ქრისტიანული ტერმინები განხილულია ბერძნულ-ქართულ პარალელურ ბიბლიურ ტექსტებში. სვანური და მეგრული ქრისტიანული ტერმინების ამოსაკრებად ძირითადად მივმართეთ “სვანური ენის ქრესტომათიას”, რომელშიც თავმოყრილია სვანურის ოთხივე დიალექტზე ჩაწერილი ტექსტები (ნაშრომში დამოწმებული საილუსტრაციო მასალის ქართული თარგმანი ჩვენია. ნ. გ.) და “ხალხურ სიბრძნეს”, რომელშიც წარმოდგენილია მეგრული და ლაზური ანდაზები. ვიყენებთ საკუთარ მასალასაც.

უგვერდებოდ მითითებული XIX-XX ს-ის მწერლები დამოწმებულია ქეგლ-ის რვატომეულის მიხედვით.

ქრისტიანულ ტერმინთა კლასიფიკაციისთვის გამოვყოფთ ორ თავს: 1) ღმერთის აღმნიშვნელ ტერმინებს; 2) რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებულ საკრალურ ტერმინებს.

თავი I ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინები

ქრისტიანული ტერმინებიდან, უპირველეს ყოვლისა, წარმოვადგენთ ღმერთის აღმნიშვნელ ტერმინებს. ქრისტიანული სამყარო, როგორც ცნობილია, ერთ ღმერთს აღიარებს, რომელიც “არსებით ერთია, მაგრამ პიროვნებით სამი, – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა ღმერთი”, რომლებიც “შეადგენენ ერთ არსსა და განუყოფელს სამებას” [სახლო, 1990, გვ. 18]. ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად არ განარჩევენ სამების ჰიპოსტასებს, მაგრამ ძე ღვთისადმი მაინც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ავლენს ადამიანი, რადგან იგი განხორციელდა და კაცთა მოდგმამ საკუთარი თვალთ იხილა.

ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში შემოსულია სესხების ან კალკების გზით, ზოგიც ორიგინალურია. კალკები “იმდენადვეა გამართლებული, რამდენადაც სესხება: კალკი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც სესხება” [ჩიქობავა, 1952, გვ. 196].

ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინებია: ღმერთი, მამა, შემოქმედი, დამბადებელი, სამება, უფალი, მეუფე, ქრისტე, იესო, მაცხოვარი, მკნელი, ემანუელ, მესია, თავადი, სულიწმი(ნ)და ამათგან ნასესხებია: ქრისტე, იესო, მესია, ემანუელ ორიგინალურია: ღმერთი, მაცხოვარი. დანარჩენები, საფიქრებელია, კალკები უნდა იყოს. ჩამოთვლილ ტერმინთაგან ზოგიერთი ერთმანეთის მიმართ სინონიმური მნიშვნელობით იხმარება (ამაზე დაწვრილებით იხ. უფრო ქვემოთ).

1. ღმერთი

1) ქართული

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ტერმინი ღმერთი. ამ ლექსემის ეტიმოლოგია გამოიკვლია ალ. ჭინჭარაულმა. მეცნიერისათვის ამოსავალია ფორმა “ერთი”, რომელიც გამოყო თ. ჟორდანიამ [ჟორდანი, 1989, გვ. 13-14]. სიტყვაში “ღმერთი” დ და მ ზმნური წარმომავლობის ელემენტებად არის მიჩნეული: დ პირისნიშნისეული ხ-სგან მოდის, მ კი - საობიექტო ქცევის უ- პრეფიქსისგან. ეს ელემენტები ქართულში შედარებით ხარისხს აწარმოებენ *ხ=უ=ერთ=ი. რომლის მნიშვნელობაა: ერთადერთი, სრული, განუყოფელი, ყოვლისმომცველი, შემოუსაზღვრელი” [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 25].

გ. კლიმოვი ამოსავალ ფორმად *ღერმათ-ს მიიჩნევს [კლიმოვი, 1964, გვ. 202].

ჰაინც ფენრიხი და ზურაბ სარჯველაძე ამოსავალ ფორმად იღებენ *ღრამთ-ს [ფენრიხი და სარჯველაძე, 1990, გვ. 353].

ღმერთი საერთო ქართველური ფორმა ჩანს: ჭან. ღორმით, მეგრ. ღორონთ-ი, სვან. ღერბეთ. გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის მოსაზრებით, ამოსავალი უნდა იყოს ღრმთ – ვარიანტი [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 295].

აღ. ჭინჭარაულის აზრით, სვანური ღერბეთ||ღერმეთ ქართულიდან არის ნასესხები: ღმერთ > ღრმეთ > ღერბეთ (მეტათეზირებული ღრმთ ძირი ქართულშიც არაერთხელ დასტურდება). ასევე ქართულიდან ნასესხები და ფონეტიკურად სახეცვლილი ოდენობებია ჭანური ღორმით და მეგრული ღორონთ [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 19].

აღ. ჭინჭარაული იმოწმებს არაბულში არსებულ “ღმერთის” გამომხატველ ტერმინს, რომელიც პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს ქართული ღმერთ ფორმისა. არაბულად ის გადმოიცემა ამგვარად: ვაჰიდ ულლაჰ = ერთადერთი ღვთაება [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 21].

სტატიაში დამოწმებულ საილუსტრაციო მასალაში ხაზი ესმება ღმერთის სემანტიკურ დატვირთვას, კერძოდ კი იმას, რომ ის ერთია:

“ერთ არს ღმერთი და არავინ არს სხუა მისსა გარეშე” (მრკ 12, 32).

“ერთ არს სახიერი ღმერთი” (მ 19, 17).

“არა ერთმან ღმერთმან აღგადგინაა თქუენ, არა მამა ერთი არსა თქუენ ყოველთა?” (მალაქ. 2, 10).

“ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა” (რუსთველი).

როგორც ცნობილია, ებრაელები, უღრმესი პატივისცემისა და მოკრძალების ნიშნად, ღმერთს, რომლის ებრაული ეკვივალენტიც ელოვა, არ ახსენებდნენ. მის ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინ ადონა-ს, რომელიც ქართული ბატონის შესატყვისია. ეს ენობრივი ფაქტი შეიძლება ევფემიზმად მივიჩნიოთ: მორწმუნე ადამიანები ღვთაების სახელს წმინდად მიიჩნევდნენ და მის ხშირად ხსენებას გაურბოდნენ. მათი წარმოდგენით, ასეთი ხსენება მკრეხელობა იყო, შეურაცხყოფდა და განარისხებდა ღვთაებას [ჯორჯანელი, 1972, გვ. 78]. ღვთისადმი ობიექტური მოკრძალება საფუძველი ხდება ევფემიზმების წარმოშობისა. ადამიანს ეძლევა საშუალება შემოქმედებითი მიდგომა გამოავლინოს თავისი შემქმნელისადმი. იგი მისთვის ხან უფალია, ხან – მაცხოვარი, ხან – შემოქმედი, ხანაც – მხსნელი და ა. შ. ღმერთის სახელის ამოდ მოხსენიებას ბიბლიური მცნებიდან ერთ-ერთი კრძალავს: “არა მოილო სახელი უფლისა ღმერთისა შენისა ამოსა ზედა”. როგორც ჩანს, აქედან გამომდინარე, მორწმუნე ებრაელები თვით რელიგიური ტექსტების კითხვის დროსაც კი თავიანთ ღმერთს პირდაპირ სახელით არ მოიხსენიებენ და მას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევფემისტურად “ადონას” უწოდებენ. ეს ჩვეულება იმდენად შორეული წარსულიდან მომდინარეობს, რომ დღეს ზუსტად არცაა ცნობილი, როგორ ჟღერდა “ადონაით” შეცვლილი სიტყვა. ფიქრობენ, რომ ეს იყო “დაჰვე” [ჯორჯანელი, 1972, გვ. 78], რაც ნათლად ჩანს მოსეს ხუთწიგნეულის ლევიტელთა წიგნის ბერძნული ტექსტის თარგმანიდანაც (ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ებრაულიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი), რომელშიც ძირითადად გამოყენებულია კირილს ფორმა, ქართული უფალო-ს ტოლფარდი. “თელს” – ღმერთი ძირითადად გვხვდება შესიტყვებაში “კირილს ო თელს”. ამ ტექსტს მისდევს ლევიტელთა წიგნის ქართული G რედაქცია. იშვიათი

გამონაკლისის გარდა, ბერძნულ კრიოს ფორმას ენაცვლება უფალი. ლევიტელთას AKSB რედაქციაში კი უფლის ნაცვლად თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება ღმერთ ფორმა, ან შესიტყვება უფალი ღმერთი.

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა:

... και προσάξετε ὀλοκαύτωμα τῷ κυρίῳ (ლევ 23, 27).

... შეწირენით ყოვლად დასაწუველნი უფლისა (G) || ... შეწირეთ თქვენ მსხუერპლები ღმრთისა (AKSB).

...ἔσονται ὀλοκαύτωμα τῷ κυρίῳ - και αἱ θυσίαι αὐτῶν και αἱ σπονδοὶ αὐτῶν, θυσίαν ὀσμῆς εὐωδίας τῷ κυρίῳ (ლევ 23, 18).

... იყვნენ ყოვლად დასაწუველად უფლისა და მსხუერპლნი მათნი და შესაწირავნი მათნი მსხუერპლად სულად სულნელებისად უფლისა (G) || ... ჰყვნეთ მრგულიად მწურად ღმრთისა და შესაწირავნი მათნი და ღვნიო მათი მსხუერპლად სულნელად უფლისა (AKSB).

... και προσοίσετε θυσίαν νέαν τῷ κυρίῳ (ლევ 23, 16).

... შესწიროთ ახალი მსხუერპლი უფალსა (G) || ... შესწიროთ შესაწირავი ახალი ღმრთისა (AKSB).

ἐν γὰρ τῇ ἡμέρᾳ ταύτῃ ἐξιλιάσεται περὶ ἡμῶν καθάρσαι ἡμᾶς ἀπὸ πασῶν τῶν ἁμαρτιῶν ἡμῶν ἕναντι κυρίου. (ლევ 16, 30).

ამას დღესა შინა ლხინება-იქმნეს თქუენტვს განწმედად თქუენდა ყოველთაგან ცოდვათა თქუენტა წინაშე უფლისა (G) || ამას დღესა ლხინებაჲ იყოს თქუენ შორის განწმედად თქუენდა ყოველთაგან ცოდვათა თქუენტა წინაშე ღმრთისა (AKSB).

και ἐπιθήσει τὸ θυσίαμα ἐπὶ τὸ πῦρ ἕναντι κυρίου (ლევ 16, 13).

დაასხეს საკუმეველი ცეცხლსა ზედა წინაშე უფლისა... (G) || დაასხეს საკუმეველი იგი ცეცხლსა მას ზედა წინაშე ღმრთისა... (AKSB).

...και αἴσουσιν τῷ κυρίῳ ἐπὶ τὰς θύρας τῆς σκηνῆς τοῦ μαριουου προς τὸν ἱερέα και θύσουσιν θυσίαν σοτηρίου τῷ κυρίῳ αὐτά (ლევ 17, 5).

... მიჰგურიდენ მათ უფალსა კართა თანა კარვისა საწამებელისათა მღდელისა მიმართ და დაუკლვიდენ მათ საცხორებლად უფალსა (G) || ... მოიღედ იგი ღმრთისა კარად კარვისა საწამებელისა მღდელისა მის და შეწიროს იგი მსხუერპლად ცხორებისა წინაშე ღმრთისა... (AKSB).

...ἀπαξ τοῦ ἑνιαυτοῦ ποιηθήσεται, καθάπερ συέταξεν κύριος τῷ Μωσῆ (ლევ 16, 34).

...ერთგზის წელიწდის იქმნებოდის, ვითარცა განუწესა უფალმან მოსეს (G) || ... ერთგზის წელიწადსა იყოს ესე, ვითარცა უბრძანა ღმერთმან მოსეს (AKSB).

Αὐταὶ εἰσιν αἱ ἐντολαί, ἃς ἐνετείλατο κύριος τῷ Μωσῆ πρὸς τοὺς υἱοὺς Ἰσραὴλ ἐν τῷ ὄρει Σινα (ლევ 27, 34).

ესე არს მცნებანი, რომელნი ამცნნა უფალმან მოსეს ძეთა მიმართ ისრაელისათა მთასა ზედა სინასა (G) || ესე არიან მცნებანი, რომელნი ამცნნა ღმერთმან მოსეს ძეთა მიმართ ისრაელისათა მთასა ზედა სინას (AKSB).

ტერმინი უფალი სისტემატურად გვხვდება აგრეთვე ლევიტელთა წიგნის AK რედაქციაში. ამ შემთხვევაში ლევიტელთას G რედაქციას ტერმინოლოგიურად ემთხვევა AK რედაქცია:

... καὶ εἶπεν κύριος πρὸς Μωσῆν... (ლევ 16, 2).

ჰრქუა უფალმან მოსეს... (AK) || თქუა უფალმან მოსეს მიმართ... (G), მაგრამ: ეტყოდა ღმერთი მოსეს (SB).

καὶ ἐλάλεσεν κύριος πρὸς Μωσῆν... (ლევ 16, 1).

სიტყუად იწყო უფალმან მოსეს... (AK) || იტყოდა უფალი მოსეს მიმართ... (G), მაგრამ: ეტყოდა ღმერთი მოსეს... (SB).

გვაქვს შემთხვევები, როცა ლევიტელთას ყველა ქართულ რედაქციაში იხმარება ფორმა ღმერთი. ბერძნულში კი მის ნაცვლად გვაქვს κύριος (ანუ უფალი): καὶ τὸ στήθισι καὶ τὸν βραχίονα τὸν δεξιὸν ἀφείλεν Ἀαρῶν ἀφαίρεμα ἕναντι κυρίου, ὅς τρόπον συνέταξεν κύριος τῷ Μωσῆ (ლევ 9, 21).

და მკერდი და მჯარი მარჯუენე მოჰყადა აარონ აღსაღებლად წინაშე ღმრთისა, ვითარცა-სახედ განუწერა მოსეს (G) || და მკერდი იგი და მჯარი მარჯუენე მოჰყადა აარონ აღსაღებლად წინაშე ღმრთისა, ვითარცა იგი უბრძანა უფალმან მოსეს (OAKSB).

... καὶ ἀνήρεκεν αὐτὰ ἀφαίρεμα ἕναντι κυρίου (ლევ 8, 27).

... აღიღო იგი შესაწირავად წინაშე ღმრთისა (G) || ... აღიღო შესაწირავად წინაშე ღმრთისა (OAKSB).

... εὐλόγησαν πάντα τὸν λαόν, καὶ ὠφθη ἡ δόξα κυρίου παντὶ τῷ λαῷ (ლევ 9, 23).

... აკურთხეს ერი იგი და გამოუჩნდა დიდება ღმრთისა ყოველსა მას ერსა (G, OAKSB).

ლევიტელთას AKSB რედაქციას შესიტყვება უფალი ღმერთი ისევე გადმოაქვს, როგორც G რედაქციას ბერძნული ტექსტიდან:

... ἐγὼ εἶμι κύριος ὁ θεὸς ἡμῶν (ლევ 19, 14).

... მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი (G, AKSB).

... καὶ οὐκ αἰσθῆσθε ἐν αὐτοῖς ὅτι ἐγὼ κύριος ὁ θεὸς ἡμῶν (ლევ 18, 30).

... არა შეიგინნეთ მათ შინა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი (G, AKSB).

... Ἅγιοι ἔσεσθε, ὅτι ἐγὼ ἅγιος κύριος ὁ θεὸς ἡμῶν (ლევ 19, 2).

... წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ, უფალი ღმერთი თქუენი (G, AKSB).

ზოგ შემთხვევაში თუ G რედაქცია იყენებს უფალ ფორმას, რაც ბერძნულ ტექსტს ემთხვევა, AKSB რედაქცია მიმართავს შესიტყვებას უფალი ღმერთი:

... ἐγὼ κύριος (ლევ 25, 36).

... მე ვარ უფალი ... (G) || ... მე ვარ უფალი ღმერთი (AKSB).

... ἐγὼ κύριος (ლევ 22, 32).

... მე ვარ უფალი (G) || ... მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი ... (AKSB).

καὶ ἐὰν θύσητε θυσίαν σοτηρίου τῷ κυρίῳ, δεκτὴν ἡμῶν θύσετε (ლევ 19, 5).

უკუეთუ ამსხუერპლოთ მსხუერპლი მაცხოვარებისა უფალსა, მითუალული თქუენი ამსხუერპლეთ (G) || უკეთუ შესწიროთ შესაწირავი ცხოვრებისა უფლისა ღმრთისა სათნო შეწირეთ თქუენ (AKSB).

... τὰ ἄγια κυρίου ἐβιβήλασεν... (ლევ 19, 8).

... წმიდანი უფლისანი შეაგინნა ... (G) || ... სიწმიდე უფლისა ღმრთისა შეაგინა ... (AKSB).

“შესაქმისაჲს”, “გამოსლვათაჲს”, “მეორისა სჯულისაჲს” და “რიცხუთაჲს” წიგნე-ბი რაიმე თავისებურებას ტერმინ “ღმერთის” ხმარების თვალსაზრისით არ იჩენენ.

“მეორისა სჯულისაჲს” ქართულ რედაქციებში ტერმინები “ღმერთი” და “უფალი”, ისევე როგორც სხვა რედაქციებში, სინონიმებია, თუმცა უფრო ხშირად იხმარება შესიტყვება “უფალი ღმერთი”:

... Ἰδού ἔδειξεν ἡμῖν κύριος ὁ θεὸς ἡμῶν τὴν δόξαν αὐτοῦ... (მეორ. სჯ. 5, 24).

... გვჩვენა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დიდებაჲ მისი ... (GB) || ... გვჩვენა ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან დიდება იგი მისი ... (ABEKS).

πρόσελθε σὺν καὶ ἄκουσον ὅσα ἐὰν εἴπῃ κύριος ὁ θεὸς ἡμῶν, καὶ σὺ λαλήσεις πρὸς ἡμᾶς πάντα, ὅσα ἂν λαλήσῃ κύριος ὁ θεὸς ἡμῶν πρὸς σέ... (მეორ. სჯ. 5, 27).

მოკუედ შენ და ისმინენ ყოველნი, რაოდენნიცა თქუნეს უფალმან ღმერთმან ჩუენმან, და შენ იტყოდი ჩუენდა მომართ ყოველსა რაოდენნიცა თქუნეს უფალმან ღმერთმან ჩუენმან შენდამი... (GB) || აწ მიეახლე შენ და ისმინე, რასა იტყოდის უფალი ღმერთი ჩუენი და შენ გუეტყოდე ჩუენ ყოველთა მათ მცნებათა, რომელთაცა გეტყოდეს შენ უფალი ღმერთი ჩუენი ... (ABEKS).

... φοβήσθε κύριον τὸν θεὸν ἡμῶν (მეორ. სჯ. 6, 2).

...შეიშინოთ უფლისა ღმრთისა თქუენისა ... (GB) || ... გეშინოდეს შენ უფლისა ღმრთისა შენისა (ABEKS).

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა “მეორისა სჯულისაჲს” BDES რედაქციაში შესიტყვება უფალი ღმერთია მოცემული, G-ში კი შესიტყვების ნაცვლად გვაქვს უფალი ან ღმერთი. ბერძნულ ტექსტს მისდევს G რედაქცია.

τὸν θεὸν εἴλου σήμερον εἶναί σου θεὸν (მეორ. სჯ. 26, 17).

ღმერთი გამოირჩიე დღეს ყოფად შენდა ღმრთად ... (G) || გამოირჩიე შენ უფალი ღმერთი შენი ყოფად შენდა ღმრთად (BDES).

... εἰσελήλυθα εἰς τὴν γῆν, ἣν ἠμοοσεν κύριος τοῖς πατράσιν ἡμῶν δοῦναι ἡμῖν (მეორ. სჯ. 26, 3).

... შემოვედ ქუეყანად, რომელსა ეფუცა უფალი მამათა ჩუენთა (G) || ... შემოვედ მე ქუეყანასა მას, რომელ ეფუცა უფალი ღმერთი მამათა ჩუენთა მოცემად ჩუენდა (BDES).

καὶ ἰάσεται κύριος τὰς ἀμαρτίας σου καὶ ἐλεήσει σε καὶ πάλιν συναῖξει σε ἐκ πάντων τῶν ἐθνῶν, εἰς οὓς διεσκόρπισέν σε κύριος ἐκεῖ (მეორ. სჯ. 30, 3).

განკურნნეს უფალმან ცოდვანი შენნი და შეგიწყალოს შენ და კუალად შეგკრიბოს შენ ყოველთაგან ნათესავთა, რომელთა მიმართ განგაზნია შენ უფალმან მუნ (G) ||

გილხინოს შენ ღმერთმან შენმან ცოდვათა შენთაგან და შეგიწყალოს შენ და შეგკრიბოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთაგან ნათესავთა, რომელსაცა გაბნეულ იყო შენ (BDES).

“რიცხუთაჲს” არც ერთ ქართულ რედაქციაში არა გვაქვს შესიტყვება “უფალი ღმერთი”. გვხვდება ფორმები: ღმერთი, უფალი. ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ისინი შეიძლება თავისუფლად ჩაენაცვლონ ერთმანეთს:

καὶ ἀργίσθη θυμῷ ο θεὸς... (რიცხ. 22, 22).

განრისხნა უფალი გულისწყრომით მალამისთვის ... (AK) || განრისხნა გულისწყრომით ღმერთი ... (SB,G).

τί ἀράσωμαι ὄν μὴ καταρᾶται κύριος, ἢ τί καταράσωμαι ὄν μὴ καταρᾶται ὁ θεός (რიცხ. 23, 8).

რადსა ვსწყევდე მე, რომელი არა წყევა უფალმან? ანუ რადსა შევსწყევ, რომელი არა შესწყევა ღმერთმან? (AK) || რად ვსწყევო, რომელსა არა სწყევს უფალი? ანუ რადსა დავწყევო, რომელ არა უწყევებს ღმერთსა (S).

καὶ ἐλάλησεν κύριος πρὸς Μωσῆν καὶ Ααρᾶν... (რიცხ. 2, 1)

იტყოდა უფალი მოსეს და აჰრონის მიმართ ... (G, S, B) || ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა (AK).

καὶ ἐλάλησεν κύριος πρὸς Μωσῆν ἐν τῇ ἐρήμῳ τῇ Σινα... (რიცხ. 1, 1)

იტყოდა უფალი მოსეს მიმართ უდაბნოსა სინაისსა... (G) || ეტყოდა უფალი მოსეს უდაბნოსა სინას (B,S) || ეტყოდა ღმერთი მოსეს უდაბნოსა სინას... (AK).

ტერმინი ღმერთი ოთხთავის მიხედვით მხოლოდ მამა ღმერთს გულისხმობს, თუმცა სადაც იხსენიება მამა იქ იგულისხმება ძეც და სულიწმინდაც. აქცენტირებას მამაზე, როგორც ღმერთზე, ძირითადად თავად ძე ღვთისა - “ერთარსი მამისა” ახდენს:

... δύναιται ὁ θεός ἐκ τῶν λίθων τούτων ἐγείραι τέκνα τῷ Ἀβραάμ (მ 3, 9).

... შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამთაგან შვილად აბრაჰამისა (FG, HIK).

...Ὅτι ἐπ ἄρτω μόνῳ ζήσεται ὁ ἄνθρωπος, ἀλλ ἐπὶ παντὶ ῥήματι ἐκπορευομένῳ διὰ στόματο ς θεοῦ (მ 4, 4).

... არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმერთისა (FG, HIK)

... οὐ δύνασθε θεῷ δουλεύειν καὶ μαμωνᾷ (მ 6, 24).

... ვერ კელ-ეწიფების ღმერთისა მონებად და მამონაჲსა (FG, HIK).

μακάριον οἱ καθαροὶ τῇ καρδίᾳ, ὅτι αὐτοὶ τὸν θεὸν ὄψονται (მ 5, 8).

ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ (FG, HIK).

...Ὅτι μακρὰν εἶ ἀπὸ τῆς βασιλείας τοῦ θεοῦ (მრკ 12, 34).

... არა შორს ხარ სასუფეველსა ღმერთისასა (FG, HIK).

ὁ οὖν ὁ θεὸς συλλάξεν ἄνθρωπον μὴ Χωριζέτω (მრკ 10, 9).

რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ (FG, HIK).

... ὅς ἂν μὴ δέξηται τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ ὡς παιδίδιου, οὐ μὴ εἰσέλθῃ εἰς αὐτήν (მრკ 10, 15).

... რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას (FG, HIK).

Τέκνα, πῶς δύσκολόν ἐστὶν εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ εἰσελθεῖν (მრკ 10,24).

შვილნო, რავდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვენ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა (FG, HIK).

Δόξα ἐν ἑσπερίοις θεῷ... (ლ 2, 14).

დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა (FG, HIK).

... εἰσῆλθεν εἰς τὸν οἶκον τοῦ θεοῦ καὶ τοὺς ἄρτους τῆς προθέσεως λαβῶν ἔφαγεν... (ლ 6, 4).

...შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა... (FG, HIK).

... Μωϋσεὶ λελάληκεν ὁ θεός... (ი 9, 29).

... მოსეს ეტყოდა ღმერთი... (FG, HIK).

... καὶ νῦν οἶδα ὅτι ὅσα ἂν αἰτήσῃ τὸν θεὸν δώσει σοι ὁ θεός (ი 11, 22).

... რაჲ-იგი სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან (FG, HIK).

... καὶ ὅτι ἀπὸ θεοῦ ἐξῆλθεν καὶ πρὸς τὸν θεὸν ὑπάγει (ი 13, 3).

... ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს (FG, HIK).

სახარებაში შესიტყვება უფალი ღმერთი მხოლოდ ძველ აღთქმისეულ ღმერთს გულისხმობს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სამების ჰიპოსტასთაგან მხოლოდ ერთის – მამის მისამართით იხმარებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადაც იხსენიება მამა, იქ თავისთავად იგულისხმება ძეც და სულიწმიდაც:

... Ἀγαπήσεις κύριον τὸν θεόν σου ἐξ ὅλης [τῆς] καρδίας σου... (ლ 10, 27).

... შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა (FG, HIK).

ὅτι δὲ ἐγείρονται οἱ νεκροί, καὶ Μωϋσῆς ἐμήνυσεν ἐπὶ τῆς βίας, ὡς λέγει κύριον τὸν θεὸν ἢ Ἀβραὰμ καὶ θεὸν Ἰσαὰκ καὶ θεὸν Ἰακώβ (ლ 20, 37).

ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა მას ზედა, ვითარცა-იგი იტყვს უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა და ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა (FG, HIK).

... Οὐκ ἐκπειράσεις κύριον τὸν θεόν σου (ლ 4, 12).

... არა განსცადო უფალი ღმერთი შენი (FG, HIK).

შესიტყვება უფალი ღმერთი შეგვხვდა “საქმე მოციქულთას” და “გამოცხადების” წიგნებში. არც ამ შემთხვევაშია მკაცრად დიფერენცირებული სამების ჰიპოსტასთა წევრები:

οἱ δὲ ἀκούσαντες ὁμοθυμαδὸν ἦραν φωνὴν πρὸς τὸν θεὸν καὶ εἶπαν. Δέσποτα, σὺ ὁ ποιήσας τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν καὶ τὴν θάλασσαν καὶ παντὰ τὰ ἐν αὐτοῖς (საქ. 4, 24).

აღიღეს ერთბამად ჳმაჲ ღმრთისა მიმართ და თქუეს: უფალო ღმერთო, შენ ხარ, რომელმან ჰქმენ ცანი და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მათ შინა

ამ მაგალითში შესიტყვებას უფალო ღმერთო ბერძნულში ცვლის Δέσποτα, რაც ნიშნავს: “господин, хозяин, владелец, неограниченный повелитель, царь” [Вейсман, 1991, გვ. 294].

καὶ ἦκαυσα τοῦ θυσιαστηρίου, λέγοντος: Ναὶ κύριε ὁ θεὸς ὁ παντοκράτωρ, ἀληθινὰ καὶ δίκαιαι αἱ κρίσεις σου (გამოცხ. 16, 7).

მესმა საკურთხევლისად, რომელი იტყოდა: ჰე, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან საშჯელნი შენნი.

... Μεγάλα καὶ θυμαστὰ τὰ ἔργα σου, κύριε ὁ θεὸς ὁ παντοκράτωρ. δίκαιαι καὶ ἀληθινὰ αἱ ὁδοὶ σου, ὁ βασιλεὺς τῶν ἐθνῶν (გამოცხ. 15, 3).

... დიდ და საკვრველ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან გზანი შენნი, მეუფეო წმიდათაო.

... Ἐν ᾧ ἡμᾶς τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον ἔθετο επισκόπους ποιμαίνειν τὴν ἐκκλησίαν τοῦ θεοῦ, ἣν περιεποιήσατο διὰ τοῦ αἵματος τοῦ ἰδίου (საქ. 20, 28).

... რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოლუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა.

ამ შემთხვევაში უფალი ღმერთის შესატყვისად ბერძნულში მხოლოდ θεოს ფორმა გვაქვს. ეს შესიტყვება ამ ერთადერთ მაგალითში “მე ღმრთისას” გულისხმობს.

ორიგინალურ მწერლობაში შესიტყვების უფალი ღმერთი სემანტიკა, ისევე როგორც ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში, ნაკლებად არის დიფერენცირებული. შესიტყვება უფალი ღმერთი “აზო თბილელის წამებაში” არ გვხვდება. მოგვყავს საილუსტრაციო მასალა სხვა ძეგლებიდან:

უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ (შუმ. 17); უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი,... (შუმ. 7); უფალო ღმერთო ჩუენო იესო ქრისტე! იხილენ ცრემლნი ჩემნი (გრ. ხანძთ. ცხ. 133);

აქ შესიტყვება უფალი ღმერთი იესო ქრისტეს გულისხმობს.

უფალო ღმერთო, სიტყუაო ყოვლისა დამბადებელო... (ი. მინჩხი 336, 20).

უფალმან ღმერთმან წარმართოს სლვაჲ ჩუენი (წამ. ქეთ. 14, 15).

“მამა ღმერთის” მნიშვნელობით ეპისტოლეში II კორინთელთა მიმართ შეგვხვდა შესიტყვება ღმერთი უხილავი. ბერძნული ტექსტის შესაბამის მუხლში მხოლოდ ტერმინი θεός არის მოცემული:

... μὴ ἀυγάσαι τὸν φαισιμον τοῦ εὐαγγελίου τῆς δόξης τοῦ χριστοῦ. ὅς ἐστιν εἰκὼν τοῦ θεοῦ (II კორ. მიმ. 4, 4).

... არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი, რომელი იგი არს ხატი ღმერთისა უხილავისა.

“საქმე მოციქულთას” და მოციქულთა ეპისტოლეების (კოლასელთა მიმართ, II თესალონიკელთა მიმართ) ბერძნულ ტექსტთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ტერმინ “ღმერთის” შესატყვისად ბერძნულში რამდენიმე შემთხვევაში (და არა ისე

სისტემატურად, როგორც ძველი აღთქმის ტექსტების განხილვისას ვნახეთ) გვაქვს κύριος – უფალი:

... Παῦλος δὲ ἐπιλεξάμενος Σιλᾶν ἐξῆλθεν παραδοθεὶς τῇ χάριτι τοῦ κυρίου ὑπὸ τῶν ἀδελφῶν (საქ. 15, 40).

... პავლე გამოირჩია შილა და განვიდა, და მიეცა მადლითა ღმრთისადათა ძმთაგან.

...ἐν ἀπλότητι καρδίας φοβούμενοι τὸν κύριον (კოლ. მიმ. 3, 22).

... მარტივობითა გულისადათა გეშინოდენ ღმრთისა.

Αὐτὸς δὲ ὁ κύριος τῆς εἰρήνης δὴ ἡμῖν τὴν εἰρήνην διὰ παντὸς ἐν παντὶ τρόπῳ... (II თეს. მიმ. 3, 16).

... თავადმან ღმერთმან მშვიდობისამან მოგეცინ თქუენ მშვიდობა მარადის ყოვლითავე სახითა.

ხდება პირიქითაც: საქმე მოციქულთა წიგნში, I ტიმოთელთა მიმართ ეპისტოლეში და გამოცხადების ტექსტში ზოგ შემთხვევაში, როცა მთარგმნელი არჩევს ტერმინ უფალს, ბერძნულ ტექსტში გვაქვს θεος ფორმა:

... συμβιβάζοντες ὅτι προσκέκληται ἡμᾶς ὁ θεὸς εὐαγγελίσασθαι αὐτοῦς (საქ. 16, 10).

... გულისწმა-ვყავთ, რამეთუ მუნ მიჩინნა ჩუენ უფალმან ხარებად მათდა.

... Αἱ προσευχαί σου καὶ αἱ ἐλεημοσύναι σου ἀνέβησαν εἰς μνημοσύνην τοῦ θεοῦ (საქ. 10, 4).

... ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს სასვენებელად შენდა წინაშე უფლისა.

ზოგ შემთხვევაში ქართულ ტექსტში გვაქვს ტერმინი ღმერთი, ბერძნულში იგი უმეტეს შემთხვევაში გამოტოვებულია:

ἐν ᾧ καὶ ἐκληρώθημεν προορισθέντες κατὰ πρόθεσιν τοῦ τὰ πάντα ἐνεργοῦντος κατὰ τὴν βουλήν τοῦ θελήματος αὐτοῦ (ეფ. მიმ 1, 11).

... წინადაწარ ვიჩინენით ნებითა ღმრთისადათა, რომელმან-იგი ყოველივე შექმნა ზრახვისაებრ ნებისა მისისა.

... λήψεται τὸν στέφανον τῆς ζῶης ὃν ἐπιγγείλατο τοῖς ἀγαπῶσιν αὐτόν (იაკ. 1, 12).

...მოიღის გვრგვნი ცხოვრებისა, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა.

... ὀρίσας προστεταγμένους καιροὺς καὶ τὰς ὁρθείας τῆς κατοικίας αὐτῶν (საქ. 17, 26).

... განაჩინნა დაწესებული ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვიდრებისა მათისანი მოძიებად ღმრთისა.

ერთადერთ შემთხვევაში კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში ტერმინ ღმერთს ბერძნულ ტექსტში შეესატყვისება ფორმა Χριστός:

καὶ ἡ εἰρήνη τοῦ Χριστοῦ βραβεύτω ἐν ταῖς καρδίαις ἡμῶν (კოლ. მიმ .3, 15).

მშვიდობა იგი ღმრთისა განმტკიცენინ გულთა შინა თქუენტა...

ს.-ს. ორბელიანი ტერმინ ღმერთს ასე განმარტავს: “ღმერთი (გამ. 3, 6) არს სული სულნელი, დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა. ღმერთი გამოითარგმანების ხედვა და წვა”. ამ განმარტებაში ჩანს საბას

ემოციური დამოკიდებულება უზენაესისადმი, რადგან იგი მორწმუნე ადამიანის პოზიციიდან ამოდის [საბა, 1993].

ტერმინი ღმერთი განმარტებულია ქეგლ-ში: “ღმერთ-ი – რელიგიური რწმენით – უზენაესი ძალის მქონე ზებუნებრივი არსება, რომელსაც მიაწერდნენ სამყაროს შექმნასა და განგებას”. აქვე დაფიქსირებულია სიტყვა ღმერთი გარკვეულ კონტექსტებში:

ახსენა ღმერთი, ვახსენოთ ღმერთი – ძვ. საუბ. იტყოდნენ რაიმე ძნელი საქმის შედგომისას, რათა ხელი მომართოდათ: [ყმაწვილმა] იძრო სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში (ი. გოგებ.).

შენ იცი და შენმა ღმერთმა! – შენს სინდისზეა საქმე, როგორც სინდისი ნებას მოგცემს. ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა (აკაკი).

ღმერთო ჩემო ჩართული სიტყვაა, გამოხატავს წუხილს, გაკვირვებას, გაოცებას და სხვ.: რა სანოვაგე, ღმერთო ჩემო, რა სასმელები! (ვ. ბარნ.).

ღმერთი, რჯული: მე და ჩემმა ღმერთმა. ძვ. საუბ. დაფიციება იმის გამო-სახატავად, რომ ტყუილს არ ამბობს, რომ მართლა ასეა, – ვფიცავ: არც ჩვენ თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი, რჯული (ილია); მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობდა ვაჟკაცი (აკაკი).

ღმერთმა იცის, ღმერთმა უწყის – ძვ. ვინ იცის, გაურკვეველია: არავინ [არ] იცის, მოგცემენ თუ არა ოდესმე... უკეთეს ადგილს, ეს ღმერთმა იცის, დიდხანს აიტანს ამას ევროპა თუ არა, ღმერთმა უწყის (ილია); ღმერთმან იცის-განაა წარმომდგარი “ღმერთმან-ი” შეერთებისა და შეკვეცის შედეგად. ღმერთმანი ფიცილის ფორმულას წარმოადგენს.

ქეგლ-ში ჩამოთვლილია აგრეთვე შესიტყვებები, რომლებშიც ტერმინი ღმერთი ყველგან მართულ მსაზღვრელად გვევლინება: ღვთის ანაბარა, დედა ღვთისა, ღვთის მოცემული, ღვთის წინაშე, ღვთის გარეგანი, ღვთის რისხვა, ღვთის წყრომა (რა ღვთის წყრომაა), მე ღვთისა, (არა მაცხოვრის მნიშვნელობით, არამედ ადამიანის შვილისა). ღვთის კაცი, ღვთის მონა.

დერივაციული ფორმები

ტერმინ ღმერთის ხმარებისას ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში რაიმე მნიშვნელოვანი თავისებურება არ გვხვდება, თუმცა ეს ტერმინი სიტყვაწარმოებისა და თხზვის თვალსაზრისით მეტ აქტივობას ავლენს. გვხვდება სა- – -ო აფიქსებითა და -ება სუფიქსით ნაწარმოები ფორმები: საღმერთო, ღმრთეება; კომპოზიტები: ღმრთისმოშიში, ღმრთისმოყვარე:

ა) საღმერთო:

δι’ ὧν τὰ τιμια καὶ μέγιστα ἡμῖν ἐπαγγέλματα δεδώρηται, ἵνα διὰ τούτων γένησθε θείας κ οὐραναὶ φῦσεως... (II პეტ. 1, 4).

... დიდ-დიდნი და პატიოსანნი აღთქუმანი ჩუენ მოგვანიჭნა, რადთა ამის მიერ იქმნეს საღმერთოდა მის ზიარ ბუნებისა.

ბ) ღმრთეება:

Ὡς πάντα ἡμῖν τῆς θείας δυνάμεως αὐτοῦ τὰ πρὸς ζῶην καὶ εὐσεβειαν δεδωρημένης διὰ τῆς ἐπιγνώσεως τοῦ καλέσαντος ἡμᾶς ἰδίᾳ δόξῃ καὶ ἀρετῇ (II პეტ. 1, 3).

... თვისა ღმრთეებისა ძალი საცხორებელად და ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჲა ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელმან იგი მიჩინნა ჩუენ თვისა მას დიდებასა და სათნოებასა.

გ) ღმრთის მოშიში:

Ἦσαν δὲ εἰς Ἱεσρουσαλήμ κατοικοῦντες Ἰουδαῖοι, ἄνδρες ἐβλαβείς... (საქ. 2, 5).

იყვნეს იერუსალჴმს დამკვდრებულნი ჰურიანი, კაცნი ღმრთის მოშიშინი...

დ) ღმრთის მოყვარე:

Τὸν μὲν πρῶτον λόγον ἐποίησάμην περὶ πάντων, ὃ θρόφιλε... (საქ. 1, 1).

პირველი ესე სიტყუად ვყავ ყოველთათჳს ღმრთის მოყუარელ.

ქართულ ორიგინალურ მწერლობაში, რასაკვირველია, ხშირად გვხვდება ტერმინი ღმერთი. თვალში საცემია მისგან ნაწარმოები სიტყვებიც. გვხვდება: სა- – - ღ, ჟ- – -ღ კონფიქსებითა და -ება, -ებრ სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები: საღმერთო, ჟღმერთო, ღმრთეება, ღმრთულებრ. კომპოზიტები: ღმრთისმსახური, ღმერთშემოსილი, ღმრთივმეწყნარებული, ღმრთივპატივცემული, ღმრთივპატიოსანი, ღმრთისმხილველი, ღმრთივმიმადლებული, ღმრთისმოყვარე, ღმრთივცნობილი, ღმრთისმცნობელი. ნაწარმოებ სიტყვებში ძირითადად ღმერთ ფორმის რედუცირებული ფუძე ღმრთ გვაქვს.

ა) საღმერთო:

წესიერებითა საღმერთოდთა ყუაოდა... (შუმ. 33); ... ძალი იგი საღმერთოთა სიტყუათა ტკბილადი გამოვალნ პირსა მათსა (აბო 59); ... საღმერთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა (გრ. ხანძთ. ცხ. 100); გამოვიდა განძლიერებული ძალითა საღმერთოდთა (წამ. ქეთ. 28, 25).

ბ) ჟღმერთო:

... არა ვინ იპოვა კაცთაგანი რომელსამცა აქუნდა წყალობად და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანმცა შეაჯერა ჟღმერთოსა მას საწუთროსა მეულლესა (შუმ. 41).

გ) ღმრთეება:

მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა ჯვარისადთა მოკლა და მისგან დახსნილი იგი გვამი პირველშექმნულისად მის ძალითა ღმრთეებისადთა კვალად განაცოცხლა (აბო 61); ... იდიდოს ღმრთეებად შენი... (წამ. ქეთ. 28, 20).

დ) ღმრთულებრ:

თუ ღმრთულებრ შეგვიწყალებდეთ, აქა ნუ მოვლენ სპანია (ვეფხ. 429).

ე) ღმრთისმსახური:

ღმრთის-მსახურთა და მარტვლთ-მოყუარეთა კრებულისათჳს თხრობად და მოძღურებად და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲს ვსენებად (აბო 56); და აწ შენ ნუ დამაყენებ მე ღმრთის-მსახურთ... (აბო 67).

ვ) ღმრთისმსახურება:

რამეთუ ერთად შეკრებილთა მით მათითა მრავალი ღმრთისმსახურება აჩვენიან (აბო 59); ... სულნი ჩუენნი სარწმუნოებითა ღმრთის-მსახურებისადათა სულნელად შეზავნა (აბო 61).

ზ) ღმერთშემოსილი:

... ნაკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს რამე უმჯობესად შემირაცხიეს, რადთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა... (გრ. ხანძთ. ცხ. 99).

თ) ღმრთივშეწყნარებული:

... არა დავიწყებულ ყო სიმდაბლზე ესე ჩემი ღმრთივ-შეწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელთაცა ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად (აბო 55).

ი) ღმრთივპატივცემული:

სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივ-პატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი... აღმობრწყინდეს ნათელი სუეტისა მსგავსად (აბო 76).

კ) ღმრთივმოცემული:

... ახარა ძმათა თვსთა ხილვად წმიდისა მის ბერისა და ადგილისა მის კეთილისა საყოფლისა ღმრთივ-მოცემულისა (გრ. ხანძთ. ცხ. 104).

ლ) ღმრთივპატიოსანი:

მარადის-საწადელი და თავყანის-საცემელი ბრძანებად ღმრთივ-პატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისა მოვიღე ჳელითა სიწმიდის-მოყუარისა ხსართან მღდელისადათა (აბო 55).

მ) ღმრთისმხილველი:

...მადლითა მით ღმრთის-მხილველითა, გონიერითა და უბიწოდთა, გულისხმა ეყო შეუცვალებელი იგი სუფევად (გრ. ხანძთ. ცხ. 102).

ნ) ღმრთივმიმადლებული:

ჩვენ თვთ უწყით... ღმრთივ-მიმადლებული შენი მეცნიერებად საღმრთოთა წიგნთა (აბო 55).

ო) ღმრთისმოყვარე:

... ღმრთის-მოყუარეთა მათ ჩუეულებად აქუს მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოდათვს დიდებისა (აბო 58-59); მიეცა იგი მამისა მიერ თვსისა... გუარტო-მობით პანკრატონსა, კაცსა მორწმუნესა და ღმრთისმოყუარესა (წამ. ქეთ. 6,15).

პ) ღმრთისმოყვარება:

ღმრთის-მოყუარებისა თქუენისათვს ხუცესმან აღავსენ წადილი თქუენი მაგის სახისათვს (შუშ. 43).

ჟ) ღმრთივცნობილი – ღმრთისამცნობელი:

გხედავ თქუენ, ვითარცა ღმრთივ-ცნობილთა და ღმრთისა-მცნობელთა... (აბო 57).

ზ. სარჯველაძის “შველი ქართული ენის ლექსიკონში” ტერმინი ღმერთი ცალკე არ არის განმარტებული, თუმცა ჩამოთვლილია მისგან ნაწარმოები სიტყვები და ღმერთ სიტყვის შემცველი კომპოზიტები:

ღმერთმთავრობა – ღვთისნიერობა: ყოვლისა ღმერთმთავრობისა გალობად აღიყვანების: [A=684 8r 11-13] ღმერთმთავრობით იტყვის სიტყუად [იქვე 8r, 19-20].

ღმერთმთავრობით-ი – საღვთო: რომლითამცა ვერ შემძლებელ იყვნეს შეწყნარებად მიფენილსა მას მათ ზედა ბრწყინვალეებასა ღმერთმთავრობითსა, ძალისაებრ ღმრთისმსგავსებად აღმყვანებელსა [A=684 108v, 1-5].

ღმერთმყოფელ-ი – გამღმერთებელი: ვითარცა ნაყროვანნი და ღმერთმყოფელნი მუცლისანი, დაისაჯნეს [A=689 71r, 26-28b].

ღმერთქმნულება-ა – ღმერთობა: უქმად გამოიჩინეს ღმერთქმნულება იგი ხატისა მის ოქროსა [A=689 156v, 13-15b].

ღმრთეებრიობა-ა – ღვთაებრიობა: ღმრთეებრიობასა მენელსაცხებლეთასა ჰბაძავს წესსა [პარიზ. მარხვ. 278r, 29-30].

ღმრთივადრულ-ი – საღვთო ძალით ადრული: ხოლო დედაკაცსა მას რწმენა სიმტკიცე ღმრთივადრულისა ამის ენად და არა იჭუჭულ იქმნა თქუმულსა მას ყოვლად [ATH=20-23, 8-10a].

ღმრთივმონიჭებულობა-ა – ღვთისაგან ბოძება: ღმრთივმონიჭებულობა ჩემი მისწავის [A=689 236v, 35-36a].

ღმრთივშეკრებულ-ი – საღვთო ძალით შეკრებილი: ევედრნეს ღმრთივშეკრებულნი იგი მოწაფენი [A=689 197r, 38-39a].

ღმრთივშუენიერ-ი – ღვთაებრივი: ამით ყოველთა შემოწერილთა სიტყუათა შინა ერთი ესე ოდენ არს ღმრთივშუენიერი [ler.=6-18r, 32-34a].

ღმრთივცხებულ-ი – ღვთისგან ცხებული: მეორეთა რათამე სიტყუათა შემდგომთა ღმრთივცხებულისა მის მოძღურებისათა [A=684 21r. 8-9].

ღმრთივწოდებულობა-ა – ღვთისაგან წოდებულება: ვითარ არა დაუმარხა ძუელი წესი ღმრთივწოდებულობისა, მრავალგზის ცხად იქმნა ღმრთივწოდებულობა აჰრონისი [ler.=16v, 31-33b].

ღმრთისამიერობა-ა – ცხოველსამყოფელობა მისი და ღმრთისამიერობა გულის-ჟმა-ყო [A=162 169v, 31-32b A=129 206v, 12-15b]; მეცნიერებისათვის ღმრთისამიერობა წერილ არს [დიდი სჯ. 344, 11-12].

ღმრთისმბრძოლება-ა – ღვთის წინააღმდეგ ბრძოლა: ესევითარნი კაცნი სიტყუათა ამათ ზედა ღმრთისმბრძოლებისაგან ჯკსნეთ [A=684 7v 32-33]; გამოაჩინა ღმრთისმბრძოლება თვისი [ler.=14 263v, 29b-264r, 1a]. სასწაულ არს ღმრთისმბრძოლება [იქვე 264r, 5-7a].

ღმრთისმგალობელ-ი – ღვთის მადიდებელი: სიბრძნისმოყუარე, ანუ ღმრთისმგალობელთა მწყობრი თქუას [A=684 187v, 8-9b]; რომელი-იგი დაღაცათუ

კმა იყო სახედ და სასწავლელად სათნოებისა... ღმრთისმგალობელთა კრებულსა [იქვე 210r, 1-5a].

ღმრთისმოკიდულ-ი – ღვთის მიმდევარი: დაწესებულსა რასმე ღმრთისმოკიდულთა კაცთათვის არა საჭირო არს მიღება დაუკრძალველად ვინამე წარგება [A=689 110r, 21-25b].

ღმრთისმოდულე-ი – ღვთისმოდულე: ივლიანე ღმრთისმოდულესა მიეკადა პატიჟი უღმრთოებისა [A=689 110r, 21-25b].

ღმრთისმსახურებისმნებებელ-ი: ყოველივე თვისისა ნებისა ქმნად მოისპედ, ვითარცა უცხოად ღმრთისმსახურებისმნებებელთაგან [A=689 73v, 37-40b].

ღმრთისმტკრთველ-ი – ღვთის აღმსარებელი: მოწმე არს ღმრთისმტკრთველი პავლე მოციქული [შატბ. კრებ. 367, 2].

ღმრთისმქადაგებლობა-ი – უმეტესი წარმართება მიეცემოდა ღმრთის-მქადაგებლობასა მისსა [Ier. =9 85r, 6-8b].

ღმრთისშემწყნარებელ-ი – ღვთის აღმსარებელი: ესე ღვთისშემწყნარებელმან პავლე თქუა [შატბ. კრებ. 387, 9]; ვითარცა ღმრთისშემწყნარებელი პავლე იტყვს [იქვე 387; 16].

ღმრთობა-ი: უკუეთუ იცილებოდინ მწვალებელნი ტყუილ-ყოფასა მისა ღმრთობისასა [A=52 124v, 5-6].

ქეგლ-ში დადასტურებულია უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კომპოზიტები: ღმერთგადამდგარი, ღმერთგამწყრელი, დადებითი მნიშვნელობის მქონე ღმერთკაცი და -ობა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელდართული ფორმა ღმერთობა.

2) სვანური

სვანურში ტერმინი ღმერთი შემდეგი ფორმით გვხვდება: ბალსზემოურში – ღმრბეთ, ბალსქვემოურში – ღერმეთ, ლაშხურში – ღმრბეთ, ლენტეხურში: ღერბეთ. მოგვყავს საილუსტრაციო მასალა დიალექტების მიხედვით:

ბალსზემოური:

დწრ ჯანწამ, მარე ღმრბათ ნრმჩიქქწვ ლახემწამა სი ი ისგუ ლირდე! (სექ, გვ. 56) – არვინ გწამს, მაგრამ ღმერთს არასოდეს ეწამო შენ და შენი ცხოვრება! აშხვ ღმრბათ ვეჩხტარს ხაყლახ ი ეჩას ვებშწრს ხემზგრდახ (სექ, გვ. 21) – ერთ ღმერთს ვეჩხტარს ეძახდნენ და მასზე პარასკეობით ლოცულობდნენ.

ბალსქვემოური:

დიდბოვ აძკედა, მწლდოვ აძკდა, ხოლამ სევიმ ი ჰაჯწმ მუჰვდი ღერმათ დიდაბ (სექ, გვ. 180) – დიდება მიგივიდეს, მაღლი მიგივიდეს, ცუდისთვის (ცოდვილისთვის) ბარაქისა და იღბლის მომცემ ღმერთს დიდება.

ლენტეხური:

... ი ამჟი ისკახეკერი ღერბათ: ღერბეთ, სი ლწგვეშთ. (სექ, გვ. 295) – ... და ასე ეხვეწება ღმერთს: ღმერთო, შენ გვიშველე; ... ხეკგრალებ ღერბათ (სექ, გვ. 298) – ... ევედრებიან ღმერთს.

ლაშხური:

ღერბეთ ქა ლოქუ ხასწრვინე (სექ, გვ. 244) – ღმერთო, აპატიეო.

სვანურში გვხვდება შესიტყვება ხომა ღერბეთ = დიდი ღმერთი. ხომა ღერბეთ, როგორც ჩანს, მამა ღმერთს უნდა გულისხმობდეს. მაგალითად:

ხოშმ ღერბათ ქრისტედ ი სამწლწმდ ლოხვბარდა ლეყუნზელწ ლიშწწვი (სექ, ბზე გვ. 100) – დიდ ღმერთს ქრისტესთვის და სამოელისთვის დაუვალებია (ყურძნის) ვენახის გაშენება; დიდწბი ლეკედ ხოშმ ღერბათ ი ქრისტე მაცხვწრს გუნ ხალტწწახ... (სექ, ბზ., გვ. 91) – დიდება მისასვლელ დიდ ღმერთს და ქრისტე მაცხოვარს ძალიან ჰყვარებიათ.

ამ მაგალითებში შესიტყვება ხომა ღერბეთ და “ძე ღვთისას” აღმნიშვნელი ქრისტე ერთად მოიხსენიებიან, ე.ი. ცალ-ცალკე პირებად არიან აღქმულნი.

... დიდწბი ლეკედ ხოშმ ღერბათ ოთჟინდა მგრწს... (სექ, ბზ., გვ. 100) – ... დიდება მისასვლელ დიდ ღმერთს შეეცოდა, ალბათ...

3) მეგრული

მეგრულში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვაქვს ფორმა ღორღთი. მას შეიძლება მიცემით ბრუნვაში ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი ჩამოეკვეცოს.

კოჩიშ უკორნებუ კოჩი ღორღს ხოლო ვაკონია (ხს, 76, 685) – კაცის არმდომი კაცი ღმერთსაც არ უნდაო; მის ვა უორს ზესკვიშ ბირან, ღორღთს ვაკო თიში რინა (ხს, 86, 841) – ვისაც არ უყვარს შაშვის სიმღერა, ღმერთს მისი ყოფნა არ უნდაო.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ღორღთ სიტყვის თ და მიცემითი ბრუნვის ს ნიშნის შერწყმა ხდება: ღორღთ-ს > ღორღს:

მოლაზონი ღორღს ოხვეწუდუა დო ეშმაკი ბერიშა ოწურუანდუა (ხს, 81, 736) – მონაზონი ღმერთს ეხვეწებოდა და ეშმაკი ბერისკენ უთითებდაო.

2. უფალი

1) ქართული

ტერმინ უფლის ძველი მნიშვნელობაა: ბატონი, პატრონი. ტერმინი წარმოშობით ზმნური სუფევ-ს ფორმისგანაა მიღებული. “ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალ-ი ერთი ძირიდან ნაწარმოები ჩანს. ესაა უფ (რომელშიაც შესაძლოა უ ძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს)” [ჩიქობავა, 1942, გვ. 225].

ალ. ჭინჭარაულის ვარაუდით, “უფალი ისეთივე აღმატებითი ხარისხის ფორმაა, როგორც უმეტე, უმსხო, უადვილე, უმაღლე, უმცრო, უმძიმე, უძნელე და სხვა მრავალი” [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 7]. “ამოსავალში უნდა გვექნოდან *ჰ-უ-ფალ (უზენაესი მფლობელი, მფარველი, მეუფე) უ- აქაც ძირს შეხორცებია. ხოლო ჰ-ს

კვალი შეიძლება ს-უფ-ევ-ს ზმნის ანლაუტის ს-ში იყოს წარმოდგენილი” [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 10].

“ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში” უფალი განმარტებულია როგორც: “უფროსი, ბატონი, პატრონი”. ამდენად, ის შესაძლოა ადამიანთან კონტექსტშიც გვხვდებოდეს.

უფლის ი. აბულაძისეული განმარტება: “უფალი, პატრონი, მფლობელი, ნახარარი, ქრისტე”.

ს.-ს. ორბელიანი უფალს განმარტავს როგორც “პატრონი ვაჟი, გინა ღმერთი” (პირველი განმარტება ყოფითი დანიშნულებისაა, მეორე – საკრალური). უფალს, როგორც პატრონი ქალი. უფალი ბერძნულ ο κυριος-ს, უფალა კი η κυρια-ს უდრის და ქალბატონს აღნიშნავს. მდებდრობითი სქესის ნიშნად α დაბოლოებაა მიჩნეული. ი. ჯავახიშვილს უფალა ტიპის სახელები იოანე პეტრიწის სამწერლობო ენის თავისებურებად მიაჩნია [ჯავახიშვილი, 1992, გვ. 166].

ზ. სარჯველაძე განმარტავს მხოლოდ უფალა ტერმინს - იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს საბას აქვს განმარტებული.

თანდათანობით (კონკრეტულად როდიდან, ამის თქმა ძნელია, თუმცა XVIII ს-ის ლიტერატურულ ნაწარმოებში “წამებაჲ ყოვლად დიდებულისა, მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა” უფალი მხოლოდ “ღმერთის” მნიშვნელობით გვხვდება). ტერმინები უფალი და ღმერთი სინონიმებად იქცა. განსაზღვრების ფუნქციით ნახმარი სიტყვა უფალი (ასეთი მნიშვნელობით: “ყოვლის მფლობელი”, “ყოვლის მპყრობელი”, “მერთის” მპყრობელი) თანდათან გასუბსტანტივებულა და მნიშვნელობაც გაკფართოვებია: “უფალი”, ანუ “მეუფე” უზენაესი კი არ არის მხოლოდ, არამედ პატრონსაც, ბატონსაც, მეფესაც ეწოდება (“მეუფე”-მ მაინც უზენაესის მნიშვნელობა შეინარჩუნა, ხოლო ამა თუ იმ ქვეყნის მფლობელს “მეფე” დაუმკვიდრდა სახელად). ეს მნიშვნელობები (უფალი – უზენაესი და უფალი – ბატონი, პატრონი) ერთსა და იმავე კონტექსტშიც კი იხმარებიან: “უფალღ ღმერთო უფლისა ჩემისა აბრაჰამისო” (დაბ. 24, 12) [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 4].

შესაძლოა, ტერმინი უფალი ყოფითი მნიშვნელობით ხმარებული ყოფილიყო. მოგვიანებით იგი პოლისემიური ხდება და, ბოლოს, როგორც “ღმერთის” აღმნიშვნელი ეპითეტი, მონოსემიურობისაკენ იღებს გეზს. უფალ ტერმინმა რელიგიური დატვირთვა შეიძინა. ქეგლ-ში მისი პირველი მნიშვნელობაც სწორედ ამ კუთხით არის განმარტებული: “უფალი – 1) რელიგ. იგივეა, რაც ღმერთი; 2) მგ. ბატონი, პატრონი, მბრძანებელი; 3) რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: “ჭირისუფალი, ხელისუფალი, თავისუფალი.”

ტერმინ ღმერთის განხილვისას ძველი აღთქმიდან მოხმობილია ტერმინ უფლის შემცველი საილუსტრაციო მასალა. უფალი გვხვდება ახალი აღთქმის ტექსტებშიც. აქ იგი იხმარება “მამა ღმერთის”, “მე ღვთისას” და “ბატონის”, “პატრონის” მნიშვნელობით. ტერმინ უფალ-ის შესატყვისად ბერძნულში

ყოველთვის გვაქვს ὁ κύριος ფორმა. უფალ ტერმინი ხშირად გვხვდება სახარებაში “მე ღვთისას” მნიშვნელობით. ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში სიტყვა უფალი თითქმის არ არის დიფერენცირებული.

ა) ტერმინი უფალი მამა ღმერთის მნიშვნელობით სახარებაში:
καὶ ἰδοὺ σεισμός ἐγένετο μέγας ἄγγελος γὰρ κυρίου καταβὰς ἔξ οὐρανοῦ...
(მ 28, 2).

და აჰა ძრვად იყო დიდ, რამეთუ ანგელოზი უფლისად გარდმოჰდა ზეცით... (FG, HIK).

εἶπεν κύριος τῷ κυρίῳ μου: Κάθου ἐκ δεξιῶν μου.. (მ 22, 44).

ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა... (FG, HIK).

ამ მაგალითში პირველი უფალი “მამა ღმერთს” გულისხმობს, მეორე – “მე ღვთისას.”

Τοῦτο δὲ ὄλον γέγονεν ἵνα πληρωθῆ τὸ ῥηθὲν ὑπὸ κυρίου διὰ τοῦ προφήτου λέγοντος
(მ 1, 22).

ესე ყოველი იქმნა, რადთა აღესრულოს სიტყუად იგი უფლისად პირითა წინაწარმეტყუელისადათა თქმული (FG, HIK).

καὶ ὡς ἐτέλεσαν πάντα τὰ κατὰ τὸν νόμον κυρίου, ἐπέστρεψαν εἰς τὴν Γαλιλαίαν εἰς π ὄλιν ἑαυτῶν Ναζαρέθ (ლ 2, 39).

ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად შჯულისა უფლისა, მოიქცეს და წავიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა ნაზარეთად (HIK).

ბ) ტერმინი უფალი “მე ღვთისას” მნიშვნელობით სახარებაში:
... καὶ ἀπάγγελον αὐτοῖς ὅσα ὁ κύριός σοι πεποίηκεν... (მრკ 5, 19).

... უთხარ მათ რავდენი გიყო შენ უფალმან (FG, HIK).

ετοιμάσατε τὴν ὁδὸν κυρίου... (მრკ 1, 3).

განჰმზადენით გზანი უფლისანი... (FG, HIK).

κύριε, ἐλέησόν μου τὸν σῖου (მ 17, 15).

უფალო, შეიწყალე მე ჩემი... (FG, HIK).

καὶ πόθειν μοι τοῦτο ἵνα ἔλθῃ ἡ μήτηρ τοῦ κυρίου μου πρὸς ἐμέ (ლ 1, 43).

ვინაჲ ჩემდა ესე, რადთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა? (FG, HIK).

... κύριε, οὐτε ἄντλημα ἔχεις καὶ τὸ φρέαρ ἐστὶν βαθύ... (ი 4, 11).

... უფალო, არცა სავესებელი გაქუს და ჯურღმული ესე ღრმა არს... (FG, HIK).

გ) ტერმინი უფალი “მე ღვთისას” მნიშვნელობით ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში:

... ὁ δὲ εἶπεν: Ἴδοὺ ἐγώ, κύριε (საქ. 9, 10).

... და მან ჰრქუა: აქა ვარ, უფალო.

... καὶ τὸ τέλος κυρίου εἶδετε... (იაკ. 5, 11).

... აღსასრული უფლისად იხილეთ...

დ) ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში ტერმინი უფალი ხშირად გაუდიფერენცირებელია. მაგალითები:

... ἄνθρωποι πάντες ἡμεῖς ἐνώπιον τοῦ θεοῦ πάρεσμεν ἀκοῦσαι πάντα τὰ προστεταγμένα σοι ὑπὸ τοῦ κυρίου (საქ. 10, 33).

... აწ ესერა ჩუენ ყოველნი მოსრულ ვართ წინაშე ღმრთისა სმენად ყოვლისა ბრძანებულისა შენდა უფლისა მიერ.

... ἀσπάζεται ἡμᾶς ἐν κυρίῳ πολλὰ Ἀκύλας καὶ Πρίσκα... (I კორ. მიმ. 16, 19).

... გიკითხვენ თქუენ ფრიად უფლისა მიერ აკვილა და პრისკილა...

ἡμεῖς δὲ πάντες ἀνακεκαλυμμένῳ προσώπῳ τὴν δόξαν κυρίου κατοπτριζόμενοι τὴν αὐτὴν ἐκόντα μεταμορφούμεθα ἀπὸ δόξης εἰς δόξαν καθάπερ ἀπὸ κυρίου πνεύματος (II კორ. მიმ. 3, 18).

ხოლო ჩუენ ყოველნი განცხადებულთა პირითა დიდებასა უფლისასა განვიცდით, მასვე ხატსა მივიცვალეზით დიდებითი დიდებად, ვითარცა-იგი უფლისაგან სულად.

... ἄδοντες καὶ ψάλλοντες τῇ καρδίᾳ ἡμῶν τῷ κυρίῳ (ეფ. მიმ. 5, 19).

... უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა უფალსა.

Εὐδοκίαν παρακαλῶ καὶ Συστύχη παρακαλῶ τὸ αὐτὸ φρονεῖν ἐν κυρίῳ (ფილიპ. მიმ. 4, 2).

ევვოდისა გლოცავ და სუნტკჳოს გლოცავ, რადთა მასვე ჰზრახვიდეთ უფლისა მიერ.

ტერმინი უფალი აღნიშნავს ადამიანს (შესიტყვეებაში ჰურის უფალი, სახლისა უფალი წარმოდგენილ უფალ-ს ბერძნულში ὁ κύριος არ შეესატყვისება. აქ შესიტყვეებებს კომპოზიტები ცვლის). მაგალითები:

... Ἀντλήσατε ἄνθρωποι καὶ φερετε τῷ ἀρχιεπίσκοπῳ... (ი 2, 8).

... აღმოავსეთ აწ და მოართვთ ჰურისა უფალსა (FG, HIK).

... ὅτι εἰ ἴδῃς ὁ οἰκονομοῦντος ποία φυλακῆ ὁ κλέπτῃς ἔρχεται ἐγρηγόρισε... (მ 24, 43).

... უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოსვლად არს, იღვებდამცა... (FG, HIK).

... γῆν καὶ ἔκρυσεν τὸ ἀργύριον τοῦ κυρίου αὐτοῦ (მ 25, 18).

... დაჰვლა ქუეყანასა ვერცხლი იგი უფლისა თვისისა (FG, HIK).

Τίς ἄρα ἐστὶν ὁ πιστὸς δούλος καὶ φρόνιμος ὃν κατέστησεν ὁ κύριος ἐπὶ τῆς οἰκείας αὐτῶν τοῦ δοῦναι αὐτοῖς τὴν τροφήν ἐν καιρῷ (მ 24, 45).

ვინ-მე არს სარწმუნო იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თვისმან მსახურთა თვისა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვისა.

Λέγοντες: Κύριε... (მ 27, 63).

ჰრქუეს [პილატეს]: უფალო... (FG, HIK).

Οἱ κύριοι, τὸ δίκαιον καὶ τὴν ἰσότητα τοῖς δούλοις παρέχεσθε ... (კოლ. მიმ. 4, 1).

უფალნი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათა...

ტერმინი უფალი როგორც ბიბლიურ ტექსტებში, ისე ორიგინალურ მწერლობაში ორი მნიშვნელობით გვხვდება: ტერმინი უპირველესად გულისხმობს ღმერთს და შემდეგ – ადამიანს.

იოანე მინჩხის პოეზიაში (X ს.) ტერმინი უფალი “ღმერთს” გულისხმობს, რადგან პოეტის მიმართვის ობიექტი, ხოტბის საგანი, მხოლოდ და მხოლოდ

ღმერთია და ადამიანის მისამართით მას ტერმინ უფლის ხმარება არ დასჭირდება.

“ვეფხისტყაოსანში” უფალი ადამიანის მნიშვნელობით მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა. გრიგოლ ჯავახიშვილის “ქეთევან დედოფლის წამებაში” (XVIII ს.) სიტყვა უფალი ადამიანის მნიშვნელობით არ შეგვხვდება.

ა) უფალი “ღმერთის” მნიშვნელობით

...იტყვს თვით უფალი: მე მიუგო სიტყუად თქუენ წილ (შუშ. 37); ...შეჰვედრა სული თვისი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა (შუშ. 44); რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვრველ და უფალ ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი (აბო 60); ... ერთგულებადცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყვს უფალი წმიდათა მისთა: რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა (აბო 59); ... მშვიდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ (აბო 72); მაღლი უფლისა იყავნ შენ ზედა... (აბო 55); ... ერი დაბადებადი აქებდა უფალსა... (გრ. ხანძთ. ცხ. 100); ... უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად (გრ. ხანძთ. ცხ. 101); იგივე თავადი უფალი მკვდრ არს შენ თანა, ღირსო მამაო (გრ. ხანძთ. ცხ. 104); დაჰბადნა არაარსისაგან ხილულნი და უხილავნი კაცთმოყუარემან უფალმან (ი. მინჩხი 195, 20); უფალო, ცათა მეუფეო (ი. მინჩხი 220, 15); წმიდა არს და მართალ სახელი შენი უფალო, სასწაულთამოქმედო (ი. მინჩხი 264, 25); უფალო, უწყნი შენნი სახიერებანი, რამეთუ ძვრუქსენებელ ხარ (ი. მინჩხი 179, 25); მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე (აბ. ნეკრ. 168); ... მინიჭებულ იყო საყდარი დიდებისა უფლისად... (აბ. ნეკრ. 167); უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო (ვეფხ. 819); იტყვის: ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა არსთა მხედსა (ვეფხ. 870); ქარავანმან იზრიალა თქვეს: უფალო, მაღლი შენდა (ვეფხ. 1037); ... ეტყოდა უფალი ჰურიათა (წამ. ქეთ. 19, 10); უფალმან მომცა, და უფალმან წარმიღო, იყავნ სახელი უფლისად კურთხეულ უკუნისამდე (წამ. ქეთ. 22, 10-15); უფალი ამპარტავანთა შემუსრავს (წამ. ქეთ. 14, 25).

ბ) ტერმინი უფალი ადამიანს გულისხმობს:

უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით (შუშ. 30); ... უფალო, რადსა ეგრე იქმ და იტყვ... (შუშ. 26); ... უმჯობესად ვრაცხე მორჩილ ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა (კათალიკოსის – ნ. გ.) ჩემისასა (აბო 56); მე, სამოელ ქრისტწს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის ძესა... ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ (აბო 55) (ამ მაგალითში პირველი უფალი ადამიანს გულისხმობს, მეორე – ღმერთს). ...წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა ქსენებულ გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე მკვეალი შენი, და შვილნი ჩუენნი (გრ. ხანძთ. ცხ. 107); უშენოსა ნუმცა ვხედავ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა! (ვეფხ. 658).

2) სვანური

ტერმინი უფალი სვანურში მხოლოდ დღესასწაულის აღმნიშვნელად შეგვხვდა უფლიმ ფორმით. გამოიყოფა -იმ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი:

ლ^ას^ალ^ა ლ^ადალ^ა უფლიმდერისგა თახ^აშ ლი ი ეჩქას ლიხ ქა ლეწსი ოშვ^ად ჰასვიშ ჩუ ხერდი მეზგა (სექ, ბზ., გვ. 19) – “გათხოვილი ასულების დღე უფლის დღესასწაულის სამშაბათია და მაშინ რამდენი გათხოვილი ასულიც ჰყავს ოჯახს, იმდენს პატიუებს”;

ტარი ჯგმ^აშ თანვ^აშ ი უფლიში უშხვ^არ ნ^ასგა ლი (სექ, ბზ., გვ.14) – ბრალის (ვნების კვირის) ოთხშაბათი აღდგომასა და უფლის დღესასწაულებს შორისაა.

მეგრულში ტერმინი უფალი არ გვხვდება. მის ნაცვლად იხმარება ტერმინი ღორონთი.

3. მეუფე

ტერმინი მე-უფე-ე მე- — -ე ხელობის სახელთა მაწარმოებელი აფიქსებითაა ნაწარმოები (შდრ. მე-ჯამლ-ე, მე-ბაჟ-ე, მე-უდაბნო-ე...). ს.-ს. ორბელიანი მეუფე ტერმინს განმარტავს მათეს სახარების მიხედვით: “მეუფე – დიდი მეფე, ყოველთა მეფეთა უზეშთაესი. მეუფეა არს ყოველისავე საზღვრისა და შემკობილებისა და ბრძანებისა და წესისა განმყოფელი”. ი. იმნაიშვილის “ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში” მეუფე განმარტებულია როგორც მეფე. ძირითადად იგი “მაცხოვარს” გულისხმობს. მოგვყავს აღნიშნულ ლექსიკონშივე დამოწმებული საილუსტაციო მასალა და ვურთავთ შესაბამის ბერძნულ მუხლებსაც:

καὶ λέγοντα εαὐτὸν Χριστὸν Βασιλέα αἶναι (ლ 23, 2).

იტყოდა თავსა თვსსა ქრისტედ და მეუფე ყოფად.

...Ἰδὸν ὁ βασιλεὺς σου ἔρχεται σοι πρᾶνς... (მ 21, 5).

... მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი.

Ἰστανὰ τῷ υἱῷ Δαυὶδ Εὐλογιμένος ὁ ἐρχόμενος ἐν ὀνόματι κυρίου Ἰστανὰ ἐν τοῖς ἰψίστοις (მ 21, 9).

კურთხეულ არს მეუფე, ძ^ე დავითისი, კურთხეულ არს მეუფე რომელ არს მაღალთა შინა

... Σὺ εἶ ὁ βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων... (მ 27, 11; მრკ 15, 2; ლ 23, 3; ი 18, 33).

... შენა ხარა მეუფე ჰურიათაა.

... Τί οὖν [θέλετε] ποιήσω [ὄν λέγετε] τὸν βασιλέα τῶν Ἰουδαίων (მრკ 15, 12).

... რაა ვყო მეუფე ესე ჰურიათაა.

... Ὁ βασιλεὺς τῶν Ἰουδαίων (მრკ 15, 26; ლ 23, 38).

... ესე არს მეუფე ჰურიათაა.

... Εὐλογιμένος ὁ ἐρχόμενος, ὁ βασιλεὺς ἐν ὀνόματι κυρίου... (ლ 19, 38).

... კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისადათა.

საილუსტაციო მასალაში ტერმინი მეუფე (რამდენიმე მაგალითში) გულისხმობს მიწიერ მეფესაც:

ἢ τίς βασιλεὺς πορευόμενος ἐτέρῳ βασιλεῖ συμβαλεῖν εἰς πόλεμον... (ლ 14, 31).

რომელი მეუფე მიუვალნ სხვასა მეუფესა ბრძოლად.

(HIK რედაქციაში ტერმინ მეუფის ნაცვლად გვაქვს მეფე).

Διὰ τοῦτο ἄμοισθη ἢ βασιλεία τῶν οὐρανῶν ἀποράται βασιλεῖ... (მ 18, 23; 22, 2).

ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა.

საილუსტრაციო მასალის მიხედვით, მეუფის ბერძნული შესატყვისია βασιλεύς. მისი ვაისმანისეული განმარტება ასეთია: “βασιλεύς – царь, государь, князь”.

ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში მეუფე მხოლოდ “ღმერთის” მნიშვნელობითაა მოცემული. იგი ხშირად გაუდიფერენცირებელია. ორ მაგალითში მეუფე მე ღვთისას მსაზღვრელად იხმარება:

ხოლო დაიცვა ყოვლად-უვნებელად ყოველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან (გრ. ხანძთ. ცხ. 124-125); ... დიდებაჲ შენდა, მეუფელ ყოველთაო ქრისტე (წამ. ქეთ. 22, 10).

ტერმინი მეუფე გაუდიფერენცირებელი მნიშვნელობით იხმარება ორიგინალურ ტექსტებში:

განვისაჯნეთ... წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა (შუმ. 41).

ამ ერთადერთ მაგალითში მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილი მეუფეთაჲსა მიწიერ მეფეებს გულისხმობს.

... ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით (შუმ. 35); უფალო მოწყალეო და სახიერო მეუფელ, წყალობა ყავ (გრ. ხანძთ. ცხ. 105).

ტერმინი მეუფე ქეგლ-ის ერთტომეულში ასეა განმარტებული: “მეუფე (მეუფისა). 1. (რელიგ.) უზენაესი ღვთაება, – ღმერთი, უფალი. 2. იგივეა, რაც მეფე || გადატ. უფროსი, ბატონ-პატრონი ვისიმე, რისამე”.

ა. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” მეუფე “ღმერთის” სინონიმადაა მიჩნეული. აქვე ჩამოვთვლით სხვა სინონიმებსაც, რომლებიც აღნიშნულ ლექსიკონშია დადასტურებული: “ღმერთი, რელიგ. – უფალი, უზენაესი, მეუფე, ზეციერი, მეფე, ზეცათა მეფე, მეფე ცისა და ქვეყნისა, საბათი, იაჰვე, გამჭენი, დამბადებელი, ალაჰი (ალაჰმა უწყის). საბავშ. ფუფალა” [ა. ნეიმანი, 1979].

4. შემოქმედი

ტერმინი შემოქმედი ნაწარმოებია შემო- რთული ზმნისწინის და ქონების სახელთა მაწარმოებელი -ედ სუფიქსის დართვით. აკ. შანიძის მიერ დამოწმებულ -ედ სუფიქსიან ქონების სახელთა საილუსტრაციო მასალის ჩამონათვალში არ გვხვდება ტერმინი შემოქმედი [შანიძე, 1976, გვ. 52].

ს.-ს. ორბელიანის განმარტება: “შემოქმედი – ყოველთა შემქმნელი (1 მრწამსი)”.

ილ. აბულაძე შემოქმედის მნიშვნელობას ასე განმარტავს: “შემოქმედი – შემქმნელი” [ილ. აბულაძე, 1973].

ზ. სარჯველაძე “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” შემოქმედს არ განმარტავს. აქ მოცემულია -ება||-ობა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელ სუფიქსებდართული შემოქმედება-ე || შემოქმედობა-ე. იგი განმარტებულია როგორც შექმნა [სარჯველაძე, 1995, გვ. 235.]

საილუსტრაციო მასალა:

ვითარცა მიზეზსა შორის ყოველთა შემოქმედებისასა [A=684 69v];

უწოდდით მათ ზიარ რადასამე შემოქმედებისა [ler= 9 174r , 22-24b];

შემოქმედობა და დამბადებლობა დაუტევნა მისთვის თქუმად [ler= 9 108r, 4-6b];

რომელი-იგი ზოგად ცისა და ქუეყანისა შემოქმედი არს, მას მხოლოდ ზეცისა და განუკუთნა ხუროთმოძღვრება და შემოქმედობა [ლერ= 6 38r, 13-18a];

ხოლო მამა თუ სთქუა, დაგიკლიეს შემოქმედობა [A=687 7r, 34 –36b].

ტერმინი შემოქმედი წმინდა სამების სინონიმად უნდა იყოს, რადგან წმინდა მამების აზრით, შესაქმეში სამების სამივე ჰიპოსტასი იღებს მონაწილეობას: მამაც, ძეც და სულიწმინდაც. ბიბლიური ფრაზის – “და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ...” (შეს. 1, 26) – განმარტებისას ა. ლოპუხინი, იმოწმებს რა წმინდა მამათა განმარტებას, წერს, რომ ღმერთის თანამოსაუბრეები არიან ძე ღვთისა, ლოგოსი და სული წმინდა. ისინი მონაწილეობას იღებენ სამყაროს შექმნაში [A. Лопухин, 1904 – 1907, გვ. 11].

ტერმინი შემოქმედი მეორისა სჯულისაღს წიგნში “ღმერთის” ეპითეტის როლში გვევლინება:

... καὶ ἐγκατέλιπεν θεὸν τὸν ποιήσαντα αὐτὸν... (მეორ. სჯ. 32, 15).

... დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი... (BDES, G).

როგორც ჩანს, ტერმინ შემოქმედის თავდაპირველი ფუნქცია ღმერთის ეპითეტის გამოხატვა იყო. შემდეგ იგი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულად იქცა.

ოთხთავში ტერმინი შემოქმედი არ გვხვდება. იგი შეგვხვდა ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში:

... μὴ ἐρεῖ τὸ πλάσμα τῷ πλάσαντι: Τί με ἐπέησας οὕτως (ჰრ. მიმ. 9, 20).

... ჰრქვის-მეა ქმნულმან შემოქმედსა რადასათვს ესრეთ შემქმენ მე?

... ἦς τεχνίτης καὶ δημιουργὸς ὁ θεός (ებრ. მიმ. 11, 10).

... ხუროთმოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს.

შემოქმედის ბერძნული შესატყვისები ბერძნულ ბიბლიურ ტექსტებში სამი სხვადასხვა ტერმინითაა წარმოდგენილი: ποιητής - მისი ვაისმანისეული განმარტება ასეთია: “делатель, изготовитель, творец, сочинитель, исполнитель; πλαστής - художник, творец”. δημιουργός ბერძნულ-რუსულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: “1)

Мастер, знаток, специалист. 2) Ремесленник, мастеровой. 3) Создатель, творец. 4) Виновник, зачинщик. 5) Демииург”.

ტერმინი შემოქმედი გვხვდება ლიტერატურულ ძეგლებშიც. მისი ყველაზე ხშირი ხმარების შემთხვევები “ვეფხისტყაოსანშია” დადასტურებული.

მაგალითები:

ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ... (შუმ. 13); ... გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან (აბო 64). ამ შემთხვევაში აგიოგრაფი მხოლოდ მამა ღმერთს უნდა გულისხმობდეს. [ღმერთი] ... ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი და ქუეყანისა დამამტკიცებელი ... წულილადთაცა საქმეთა მოქმედვე ხარ (გრ. ხანძთ. ცხ. 118); რაჟამს შემოქმედი მოწყალე ექმნა წყალობით თვსთა დაბადებულთა, მაშინ სახიერმან თვსსა მხოლოდშობილსა ძესა არად ჰრიდა, რომელმან დაუტევნა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი ცხოვარნი (ი. მინჩხი 201, 25); ღმრთეებით შეუწერელმან ბუნებით გამოუკულებელმან ხილულთა და უხილავთა შემოქმედმან განუმორებელმან სულისაგან თანაარსისა (ი. მინჩხი 195, 10); მაღალსა ღმერთსა დამბადებელსა, ანგელოზთა მეუფესა, უხილავთა და ხილულთა შემოქმედსა მიუწდომელსა ყოლად და გამოუთქმელსა მამასა და ძესა და სულსა, რომელსა ყრმანი აქებენ, მას ჩუენცა უღალადებდეთ (ი. მინჩხი 345, 30); თმოზა ვთხოვე შემოქმედსა, ვჰკადრე სიტყვა სამუდარი (ვეფხ. 359); ყმამან უთხრა: მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა არსთა მხედსა (ვეფხ. 1059).

იოანე მინჩხის პოეზიაში, როგორც საილუსტრაციო მასალამ გვიჩვენა, ტერმინი შემოქმედი შეგვხვდა ცალკე “მამა ღმერთის” აღმნიშვნელად და სამების ჰიპოსტასთა სამივე წევრის გამოსახატავად. დანარჩენ შემთხვევაში ტერმინი შემოქმედი გაუდიფერენცირებელი სახით გადმოიცემა და აღნიშნავს ღმერთს.

ტერმინი შემოქმედი მეგრულსა და სვანურში არ გვხვდება.

დამუშავებული ტექსტების მიხედვით, შემოქმედი მხოლოდ ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულია. ქეგლ-ის განმარტების მიხედვით, შემოქმედი პოლისემიური მნიშვნელობის მქონე ტერმინია. იგი ხელოვანსაც გულისხმობს, რომელიც ქმნის (თავის) სამყაროს ღმერთის იმიტაციით: “1) შემოქმედი, ვინც დამოუკიდებლად ქმნის რაიმე ახალს, ორიგინალურს. 2) (ძვ.) ღმერთი, როგორც ვითომცდა ყველაფრის შემქმნელი”.

ტერმინი შემოქმედი ა. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონში შეტანილია როგორც სინონიმი გამჩენისა და მწერლისა. “გამჩენი შემქმნელი, შემოქმედი, დამბადებელი”; “მწერალი კალმოსანი, შემოქმედი, შემთხვევილი...”

5. დამბადებელი

ტერმინი დამბადებელი სახელზმნაა. მიღებულია ბადებს ზმნისაგან და ზმნისწინის დართვით. ფორმით იგი მიმდებარა და მ- – -ელ აფიქსებით იწარმოება. მ- – -ელ პრეფიქს-სუფიქსი, როგორც ცნობილია, მოქმედებითი გვარის ზმნათაგან

მიღებულ მიმღეობას ერთვის, “რომელსაც დროული გაგება არ ახლავს” [შანიძე, 1976, გვ. 137].

დამბადებელი ს.-ს. ორბელიანის “სიტყვის კონაში” განმარტებულია როგორც: “ღმერთი ყოველთა, არარაისაგან არსად მომყვანებელი”.

ტერმინ დამბადებელის ი. აბულაძისეული განმარტებაა: “დამბადებელი – შემოქმედი”.

ზ. სარჯველაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” გვხვდება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელ -ობა სუფიქსდართული ფორმა – დამბადებლობა. იგი განმარტებულია როგორც “შექმნა”. დამოწმებულია საილუსტრაციო მასალა: “ესე იცნობების ნიჭთმოყუარისა მის ... დამბადებლობისა მისაგან [A-684, 10v (აშიაზე)]; ხოლო დამბადებლობად იგი მისი დასაბამსავე და სოფლად შემოყვანებად ესე ჟამთა აღსასრულსა თანა ქმნილსა ამას განკაცებასა მისსა ზედა ითქუმის [ler. – 6 5r, 3b]; რომლისა მონებად თანამდებ ვართ, ვითარცა ბუნებითთა დამბადებლობითა და მადლისამიერთთა განმაახლებლობითა უფლისა ჩუენისა [ler. – 9, 41v, 6-10a]; ჩუენი დამბადებლობისა მადლითა და კუალად ჩუენი ბუნებით არს ღმერთი [ler. –32, 146v, 9-10a].”

ტერმინი დამბადებელი, ისევე როგორც შემოქმედი, ხან ღმერთის ეპითეტად გვხვდება შესწავლილ ტექსტებში, ხან – დამოუკიდებელი დატვირთვით.

დამბადებელი, როგორც ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი, გვხვდება ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში. აქ იგი დიფერენცირებული სახით არ წარმოგვიდგება და, როგორც შემოქმედი, სამების ჰიპოსტასთა ერთობას გულისხმობს:

ἄστε καὶ οἱ πάσχοιτες κατὰ τὸ θέλημα τοῦ θεοῦ πιστῶ κτίστη παρατιθέσθασαν τὰς ψυχὰς αὐτῶν ἐν ἀγαθοποιίᾳ (I პეტ. 4, 19).

ამიერთგან რომელთაცა ევნებოდის ნებითა ღმრთისადათა ვითარცა სარწმუნოთა დამბადებელსა, შეჰვედრნედ, სულნი თჳსნი კეთილის საქმიითა.

... καὶ ἐλάτρευσαν τῇ κτίσει παρὰ τὸν κτίσαντα, ὅς ἐστιν εὐλογιτὸς εἰς τοὺς αἰῶνας, ἀμ ἦν (ჰრ. მიმ. 1, 25).

... და ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებელსა, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე, ამინ.

ტერმინი დამბადებელი ბერძნულ ტექსტში შეესატყვისება ტერმინს κτίστης. ვაისმანი მას განმარტავს, როგორც: 1. Основатель города, колонии; иногда: восстановитель; 2. создатель ” [Вейсман, 1991].

დამბადებელი შესწავლილი ლიტერატურული ძეგლებიდან გვხვდება სამში: “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”, იოანე მინჩხის პოეზიასა და “ქეთევან დედოფლის წამებაში”:

მარადის მეოხ არიან ჩუენთჳს წინაშე წმიდისა სამებისა, დამბადებელისა ყოველთესა (გრ. ხანძთ. ცხ. 155); მარჯუენად დამბადებლისად და წმიდათა ოხად მარადის გფარავს (გრ. ხანძთ. ცხ. 118); ბუნებითი ნერგი დაუნერგველი ნივთიერთა

ბუნებათა, სიტყუად სიბრძნით დამბადებელი, უნივთოდ ღმერთი ბუნებათად (ი. მინჩხი 243, 35); მაღალსა ღმერთსა დამბადებელსა, ანგელოზთა მეუფესა, უხილავთა და ხილულთა შემოქმედსა... მამასა და ძესა და სულსა რომელსა ყრმანი აქებენ მას ჩუენცა უღაღადებდეთ (ი. მინჩხი 345, 30); ...სოფლისა დამბადებელმან უფალმან (ი. მინჩხი 236, 30); რომელი მოვიდა მაღლით სიმდაბლედ სიტყუად მამისად, სიბრძნით განმგებელი, ღმერთი დამბადებელი ჩუენი (ი. მინჩხი 153, 35); დამბადებელი და თვით დაუბადებელი, რომელი დაბადებულთათვის მოხუედ ქუეყანად, შენ უწყნი უძღურებანი ბუნებისა ჩუენისანი (ი. მინჩხი 173, 5); უფალო ღმერთო, სიტყუაო ყოვლისა დამბადებელი, რომელი ჩუენთვის იშევ ქალწულისაგან (ი. მინჩხი 336, 20); ...ვევედრები ღმერთსა, დამბადებელსა ჩემსა (წამ. ქეთ. 5, 10).

“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან” მოყვანილ ერთ მაგალითში წმინდა სამება დამბადებლადა მიჩნეული. იოანე მინჩხის პოეზიაში დამბადებელი სამების სამივე ჰიპოსტასის ერთობასაც გულისხმობს და ცალკე ქე ღვთისას. იგი ლოგოსის მნიშვნელობითაც გვხვდება. დანარჩენ მაგალითებში ტერმინი დამბადებელი გაუდიფერენცირებულია.

ქეგლ-ის ერთტომეულში დამბადებელს უკვე პოლისემიური დატვირთვა აქვს: “დამბადებელი – ვინც ბადებს, – გამჩენი, შემქმნელი (ზოგჯერ იხმარებოდა ღვთის ეპითეტად).”

ა. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” დამბადებლის სინონიმებადაა მიჩნეული: გამჩენი, შემქმნელი, შემოქმედი.

6. მამა

ტერმინი მამა ღმერთის აღმნიშვნელად გამოიყენება, როგორც ძველს ისე ახალ აღთქმაშიც. იგი გვხვდება დამოუკიდებელ ტერმინად, ხშირად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი I ან II პირისა და ნათესაობითი დასმული სახელი.

მაგალითები:

ა) ტერმინი მამა დამოუკიდებლადაა ნახმარი:

... ἐν ἑμοῖς ὁ πατήρ κἀγὼ ἐν τῷ πατρὶ (ი 10, 38).

... მამად ჩემ თანა არს და მე მამისა თანა (FG, HIK).

πάτερ, δόξασόν σου τὸ ὄνομα... (ი 12, 28).

მამაო, ადიდე სახელი შენი... (HIK, FG).

ბ) ტერმინი მამა კუთვნილებით ნაცვალსახელთან:

...ὅτι αὐτὸς οὐτός σου πατήρ ἐκτίσαστό σε καὶ ἐποίησεν σε καὶ ἔκτισέν σε (მეორ. სჯ. 32, 6).

... ამან რამე თავადმან მამამან შენმან მოგიპოვა შენ, შეგქმნა შენ და დაგბადა შენ (BDES).

εἰ οὐ ποῖν τὰ ἔργα τοῦ πατρὸς μου, μὴ πιστεύετε μοι (ი 10, 37).

უკეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა ნუ გრწამნ ჩემი (FG, HIK).

... Πάτερ ἡμῶν ὁ ἐν τοῖς οὐρανοῖς... (მ 6, 9).

... მამაო ჩუენო რომელი ხარ ცათა შინა... (FG, HIK).

ტერმინი მამა, ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილის მიხედვით, ძირითადად გვხვდება ღმერთთან კონტექსტში, შესაძლოა, ყოფითი მნიშვნელობის მქონე მამისაგან გასამიჯნავად:

ა) ტერმინი მამა დამოუკიდებლად იხმარება:

εὐχαριστοῦντες πάντοτε ὑπὲρ πάντων ἐν ὀνόματι τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ τῷ θεῷ καὶ πατρὶ (ეფ. მიმ. 5, 20).

ჰმადლობდით ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ღმერთსა და მამასა.

ბ) კუთვნილებით ნაცვალსახელთან:

τῷ δὲ θεῷ καὶ πατρὶ ἡμῶν ἢ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων (ფილიპ. მიმ. 4, 20).

ღმერთსა და მამასა ჩუენსა დიდებად უკუნითი უკუნისამდე.

Χάρις ὑμῖν καὶ εἰρήνη ἀπὸ θεοῦ πατρὸς ἡμῶν... (1 კორ. მიმ. 1, 3).

მადლი თქუენდა მშვიდობად ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა...

გ) ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან:

Εὐλογητὸς ὁ θεὸς καὶ πατὴρ τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ... (I პეტ. 1, 3).

კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი...

Ἵνα ὁ θεὸς τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ, ὁ πατὴρ τῆς δόξης, δῶη ὑμῖν, πνεῦμα σοφίας... (ეფ. მიმ. 1, 17).

რადთა ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემან, ღმერთმან დიდებისამან, მოგცეს თქუენ სული სიბრძნისა...

...καὶ πᾶν δῶρημα τέλειον ἄνωθεν ἐστὶν καταβαῖνον ἀπὸ τοῦ πατρὸς τῶν φώτων, παρ' ᾧ οὐκ ἔστι παραλλαγή ἢ τροπῆς ἀποσκιασμα (იაკ. 1, 17).

... ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსულ მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევისა აჩრდილ.

ტერმინი მამა იოანე მინჩხის პოეზიაში:

ა) ტერმინი მამა დამოუკიდებლად იხმარება:

უწორცოდ შობილი და არაა ქმნული მსგავსი მამისა... ჯორცითა დაებადა (ი. მინჩხი 152, 15).

ბ) კუთვნილებით ნაცვალსახელთან:

მამაო ჩუენო ზეცათაო, შეგვნდვენ და მოგვტევენ თანანადებნი ჩუენნი (ი. მინჩხი 161, 5); მამაო ჩუენო ზეცათაო, ტკბილო, მრავალმოწყალე (ი. მინჩხი 229, 35).

გ) ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან:

ითხოვდით მამისა მოწყალისაგან... (ი. მინჩხი 155, 30).

იოანე მინჩხის პოეზიაში გვაქვს მიმართვის ასეთი ფორმა: მამაო ტკბილო:

მამაო ტკბილო წყალობა ყავ ჩემ ზედა... (ი. მინჩხი 188, 5).

აქვე ტერმინი მამა გვხვდება სამეზის ჰიპოსტასებთან:

მიუწდომელსა ყოლად და გამოუთქმელსა მამასა და ძესა და სულსა, რომელსა ყრმანი აქებენ, მას ჩუენცა უღალადებდეთ (ი. მინჩხი 345, 30); პირველ საუკუნეთა სიტყუად მამისად უმთავრესი ყოველთა მთავრობათად მას ვადიდებდეთ მამისა თანა სულითწმიდითურთ (ი. მინჩხი 169, 10).

ს.-ს. ორბელიანი ტერმინ მამას ჯერ განმარტავს საკრალური, შემდეგ კი – ყოფითი მნიშვნელობით. საკრალური მნიშვნელობა მამა ტერმინისა განმარტებულია “დაბადების” წიგნის მიხედვით: “მამა არს ღმერთი დამბადებლობითა. მამა არს შემქმნელი. მამად ითქმის მოძღვარი, მღ(ვრ)დელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი” [საბა, 1966].

ტერმინ მამას ილ. აბულაძე ასე განმარტავს: “მამა – მამა, მამაკაცი, მამრი; მამასახლისი მონასტრისა”.

ქველ-ის ერთტომეულში მამა ჯერ ყოფითი მნიშვნელობითაა დაფიქსირებული, შემდეგ კი – საკრალური: “მამა – 1. კაცი თავისი შვილების მიმართ, – მშობელი (მამაკაცი). 2. მამები – ძველი თაობა, წინაპრები. მამები და შვილები. 3. მღვდლის (მონაზვნის) დასახელება. მამა თევდორე. მამაო! – მღვდლისადმი მიმართვა. მამა აბრაამის ბატკანი (ირონ.) – ვითომც უცოდველი, ვითომც მართალი ადამიანი. მამაო ჩუენო! (ეკლ.) – ლოცვის დროს ღვთისადმი მიმართვა || სახელწოდება ლოცვისა, რომელიც ამ სიტყვებით იწყება. ზეციერი მამა (რელიგ.) – ღმერთი”.

მეგრულსა და სვანურში ტერმინი მამა არ შეგვხვედრია.

7. სამება

ტერმინი სამება “ზიბლიაში” არ გვხვდება. იგი, როგორც ტერმინი, გვიანდელი წარმონაქმნია. ნაწარმოებია სამ- რიცხვით სახელზე -ება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსის დართვით. სამება, როგორც ცნობილია გულისხმობს მამას, ძეს და სულიწმიდას. “ღმერთი არსებით ერთია, მაგრამ პიროვნებით – სამი: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი, რომლებიც შეადგენენ ერთარსს და განუყოფელ სამებას” [სახ.-ლო, 1990, გვ. 18]. წმინდა სამების არსებობის შესახებ მინიშნებას ძველ აღთქმაშიც ვხვდებით, მაგრამ მისი გაცხადება მხოლოდ მაცხოვრის ნათლისღების დღეს ხდება. ტერმინი სამება გვხვდება: “აბო თბილელის წამებაში”, იოანე მინჩხის პოეზიასა და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”:

გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო ...(აბო 73); ... არსება-დაუბადებელისა, კაცთ-მოყუარისა სამებისა წმიდისა მადლითა... (გრ. ხანძთ. ცხ. 100); ერთარსებით მოსწავებულსა სამგუამოვნებით საცნაურსა ბუნებასა სამებისასა ერთსა ძალსა ერთსა ჳელმწიფებასა განუყოფელსა მეუფებასა (ი. მინჩხი 349, 5); ვითარცა სამთა მზეთა შორის ნათელი ერთი, ესრეთ არს ყოლად წმიდად სამებად, რამეთუ მამად და ძე და სული წმიდად გუამოვნებითა სამ არს, ხოლო ბუნებით ერთღმრთეებად არს... (ი. მინჩხი 274, 30); შეიმოსა მსგავსებად

ადამისი, იმსგავსა ბუნებასა თვისსა, მოვლინებულმან ღმრთისა სამებისამან არსებით მიუწდომელმან (ი. მინჩხი 195, 5).

ტერმინ სამებასთან ხშირად გვხვდება როგორც პრეპოზიციურ, ისე პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წმიდა.

ს.-ს. ორბელიანი სამებას ასე განმარტავს: “სამება – ერთი ღმერთი, სამგვაროვანი ერთი არსება, ერთი უფალი”.

ამ ტერმინის ქველ-ისეული განმარტება: “სამება - 1. რელიგ. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით – სამპიროვანი ღმერთი, რომელიც აერთებს ეწ. “მამას”, “მეს” და “სული წმიდას”; 2. საუბ. გადატ. სამი ვინმე ერთად, სამეული.

ტერმინი სამება, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში პოლისემიური მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეული ხდება, – ისეთივე, როგორც ტერმინები დამბადებელი და შემოქმედი.

ტერმინი სამება მეგრულსა და სვანურში არ გვხვდება.

8. მაცხოვარი

1) ქართული

არნ. ჩიქობავას ტერმინი მაცხოვარი მიაჩნია ცხოვარ სახელური ფუძისაგან მიღებულად: “აქედანვე იწარმოება შემდეგ: ცხოვრ-ობ-ს, ა-ცხოვრ-ებ-ს, ცხო(ვ)რ-ებ-ა. მაცხოვარ-ი, საცხოვარ-ი მიმღეობები რომ ყოფილიყო, უნდა გვექონოდა მა-ცხოვრ-ალ-ი, ანდა მა-ცხოვრ-ებ-ელ-ი (შესაბამისად: სა-ცხოვრ-ალ-ი, ანდა სა-ცხოვრ-ებ-ელ-ი).. მაცხოვარი და საცხოვარი შეიძლება ამჟამად განიმარტოს, როგორც “ვინც აცხოვრებს”, “რაც აცხოვრებს” (მეტადრე ეს ითქმის მაცხოვრის შესახებ “спаситель”) [ჩიქობავა, 1942, გვ. 160-161].

მა-ცხოვ-არ-ს აკ.შანიძე ა-ცხოვ-ნ-ებ-ს ფორმისგან მიღებულად თვლის [აკ. შანიძე, 1976, გვ. 137].

ს.-ს. ორბელიანი “მაცხოვარს” განმარტავს ასე: “ცხოვრების მოქმედი || ცხოვრების მოქმედი”.

მაცხოვრის ილ. აბულაძისეული განმარტება: “მაცხოვარ-ი “მცხნელი”, მაცოცხლებელი, “იშვა თქუენდა მაცხოვარი” (DE).

ტერმინ მაცხოვრის განმარტებას ვხვდებით ივ. იმნაიშვილის “ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში”: “მაცხოვარი – მცხნელი”.

ტერმინი მაცხოვარი ძველ აღთქმაშიც შეგვხვდა. “მეორისა სჯულისაჲს” წიგნში დადასტურდა ორი ფორმა: მაცხოვარი და მცხოვნი. მოკლე მცხოვნი ფორმა უფრო ძველი ტერმინი ჩანს. აღნიშნულ ტექსტში მაცხოვარი და მცხოვნი ეპითეტის როლში გვევლინება. ტერმინი მაცხოვარი გვხვდება ფსალმუნშიც, – აქაც ეპითეტის როლში და არა დამოუკიდებელ ტერმინად:

... και ἀπέστη ἀπὸ θεοῦ σωτήριος αὐτοῦ (მეორ. სჯ. 32, 15).

... განუდგა ღმერთსა, მაცხოვარსა თვისსა (BDES) || ... განდგა ღმერთისაგან მაცხოვრისა თვისისა (G).

εἰ ἀκήκοεν ἔθνος φωνὴν θεοῦ Ἰωάννου Βαπτιστοῦ ἐκ μέσου τοῦ πυρός, ὅν τροποῖν ἀκήκοας σὺ καὶ ἔζησας (მეორ. სჯ. 4, 33).

უკეთუ ესმა ნათესავსა ჳმა მცხოვრისა, მზრახველისაჲ საშუალოთ ცეცხლისაჲთ, ვითარ-სახედ გესმა შენ და სცხოვნი (G) || ესმა თუ რომელსამე ნათესავსა ჳმა ღმრთისა ცხოველისა... ვითარ-იგი გესმოდა შენ და სცხოვნი (ABES).

მეორე სჯულის ABES რედაქციაში მცხოვრის ნაცვლად გვაქვს ღმრთისა ცხოველისა, რაც ბერძნული ტექსტის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს.

... μὴ ἀποσκορακίσῃς με καὶ μὴ ἐγκαταλίπῃς με, ὁ θεὸς ὁ σωτήρ μου (ფსალ. 26, 9).

... ნუ შეურაცხ-მყოფ მე და ნუცა დამაგდებ მე, ღმერთო, მაცხოვარო ჩემო!

Κύριος φωτισμός μου καὶ σωτήρ μου, τίνα φοβιθήσομαι... (ფსალ. 26, 1).

უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარი ჩემდა: ვისა მეშინოდის?...

ტერმინი მაცხოვარი გვხვდება ახალ აღთქმაშიც. აქ იგი “მე ღვთისას” აღმნიშვნელი ეპითეტია და დამოუკიდებელ ტერმინად არ გვხვდება. ახალი აღთქმის ტექსტებში გვხვდება ფორმები: მაცხოვარი და მაცხოვარება. მეორეს ს.-ს. ორბელიანი განმარტავს როგორც ცხოვრების ქონებას.

მაგალითები:

μόνη θεῶ σωτήρι ἡμῶν διὰ Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ κυρίου ἡμῶν δόξα μεγαλωσύνη... (იუდა 1, 25).

მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა მაცხოვარსა ჩუენსა დიდებაჲ...

καὶ ἡμεῖς τεθεάμεθα καὶ μαρτυροῦμεν ὅτι ὁ πατήρ ἀπέσταλκεν τὸν υἱὸν σωτήρα τοῦ κόσμου ὑ (I იოვ. 4, 14).

ჩუენ ვიბილეთ და ვწამებთ, რამეთუ მამამან მოავლინა მე მაცხოვრად სოფლისა.

τέλος γὰρ νόμου Χριστὸς εἰς δικαιοσύνην παντὶ τῷ πιστεύοντι (ჰრ. მიმ. 10, 4).

დასასრული შჯულისაჲ ქრისტე არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა.

Συμεὼν Πέτρος δοῦλος καὶ ἀπόστολος Ἰησοῦ Χριστοῦ τοῖς ἰσότημοις ἡμῖν λαχοῦσιν πίστιν ἐν δικαιοσύνη τοῦ θεοῦ ἡμῶν καὶ σωτήρος Ἰησοῦ Χριστοῦ (II პეტ. 1,1).

სვიმონ-პეტრე, მონაჲ და მოციქული იესუ ქრისტესი, რომელთა ეგე სწორი ჩუენდა პატივი ხუედრებულ არს სარწმუნოებაჲ სიმართლითა ღმრთისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესითა.

... Τέθεικά σε εἰς φῶς ἐθνῶν τοῦ εἶναι σε εἰς σωτηρίαν ἕως ἐσχάτου τῆς γῆς (საქ. 13, 47).

... დაგადგინე შენ ნათლად წარმართთა, რადთა იყო შენ მაცხოვრად, კილით კიდედმდე ქუეყანისა.

... ἵνα τὴν διδασκαλίαν τὴν τοῦ σωτήρος ἡμῶν θεοῦ κοσμήσῃς ἐν πᾶσιν (ტიტ. მიმ. 2, 10).

... მოძღურებაჲ იგი მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაჲ შეამკონ ყოვლითა.

τοῦτο καλὸν καὶ ἀπόδεκτον ἐνώπιον τοῦ σωτήρος ἡμῶν θεοῦ (I ტიმ. მიმ. 2, 3).

ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა.

... καὶ σωτήρα ἀπεκδεχόμεθα κύριον Ἰησοῦν Χριστόν (ფილიპ. მიმ. 3, 20).

... მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა.

ქართულ მაცხოვარს ბერძნულ ტექსტებში შეესატყვისება σωτήρ. იგი მიღებულია σῶζα ზმნისაგან. ა. ვაისმანი σωτήρ-ს ასე განმარტავს: “спаситель, избавитель”. ამ განმარტებიდან გამომდინარე, σωτήρ-ის ზუსტი შესატყვისი ქართულში იქნება მხსნელი. “მაცხოვარი”, როგორც ჩანს, კალკს არ წარმოადგენს. იგი ქართული წარმოშობის ტერმინია. მოცემულ საილუსტრაციო მასალაში, მესამე მაგალითში ტერმინ მაცხოვარს ცვლის δικαιοσύνη. იგი ნიშნავს: “дело праведное, благодеяние” [Вейсман, 1991].

მაცხოვარება:

... σθησόμεθα ἐν τῇ ζαῖ αὐτοῦ (ჰრ. მიმ. 5,10).

... ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა.

... τοῖς ἔθνεσιν ἀπεστάλη τοῦτο τὸ σωτήριον τοῦ θεοῦ... (საქ. 28, 28).

... წარმართთათვის მოივლინა მაცხოვარებად ღმრთისად...

... Ἄρτι ἐγένετο ἡ σωτηρία καὶ ἡ δόξα καὶ ἡ βασιλεία τοῦ χριστοῦ αὐτοῦ... (გამოცხ. 12, 10).

... აწ იქმნა მაცხოვარებად და ძალი და სუფევად ღმრთისა ჩუენისად...

ერთადერთ შემთხვევაში მაცხოვარებას ცვლის ζαῖ. მისი განმარტება ასეთია: “жизнь, образ жизни; 2. средства к жизни, имущество”.

ტერმინი მაცხოვარი ქართულ ორიგინალურ მწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის როლში. მას ზოგჯერ ერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

მაცხოვარი ორიგინალურ ტექსტებში:

და რაჟამს განთენა მეათჳ იგი დღჳ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლის-ღებისად, რომელ არს თთუესა იანვარსა ექუსსა (აზო 71); ... მაცხოვრისა მაღლმან შეკრიბნა ნების-მყოფელნი თვისნი (გრ. ხანძთ. ცხ. 112); მაცხოვარ, განგუაძლიერენ... (ი. მინჩხი 176, 25); შევსცეთ, მაცხოვარ, მე, ვითარცა ცხოვარი... (ი. მინჩხი 177, 30).

“აზო თბილელის წამებაში” და ი. მინჩხის პოეზიაში მაცხოვარი გვხვდება ეპიტეტის როლშიც:

მოიქსენა მან მაცხოვრისა ჩუენისად... (აზო 66); ... მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ... (აზო 456); ქრისტე, ღმერთო ჩემო, შენ ხარ მკურნალი განწირულთაჲ, მაცხოვარ, ღმერთ, რომელმან ჰშევ უთესლოდ (ი. მინჩხი 209, 15); სახიერ, მაცხოვარო სულთა ჩუენთაო (ი. მინჩხი 228, 15); ტკბილმან და მოწყალემან უფალმან, მკსნელმან და მაცხოვარმან ჩუენმან (ი. მინჩხი 271, 5).

2) მეგრული და სვანური

ა) მეგრული

ტერმინი მაცხოვარი მეგრულსა და სვანურშიც გვხვდება, ძირითადად – მაცხოვრის სახელობის ეკლესიის აღსანიშნავად. ზუგდიდის დადიანების სასახლესთან მდებარე ეკლესიას უწოდებენ მანცხვარკარს. ამ კომპოზიტიში მაცხოვრის სახელობის კარის ეკლესია იგულისხმება. მანცხვარ ტერმინში ნ სონორი განვითარებული ჩანს, ღ კი რედუქციის შედეგად უნდა დაკარგულიყო. რედუქციას, როგორც ჩანს, კომპოზიტის მეორე წევრი იწვევს.

მაცხოვარი მეგრულში გვხვდება დამოუკიდებელ ტერმინადაც და მსაზღვრე-ლადაც.

ა) მაცხოვარი დამოუკიდებელი მნიშვნელობით:

მაცხოვარი რდას თქვანი შემწე (მასალა ავტორის ჩაწერილია – ნ. გ.).

მაცხოვარი იყოს თქვენი შემწე.

ბ) მაცხოვარი მსაზღვრელის ფუნქციით:

იოსე ქრისტე მაცხოვარიმ ძალაქ გინასკილიდუა (მასალა ავტორის ჩაწერილია – ნ. გ.).

იესო ქრისტე მაცხოვრის ძალამ გადაარჩინაო.

ბ) სვანური

სვანურში გვხვდება ტერმინი მაცხუჭარ. იგი, ისევე როგორც მეგრულში, ქართულიდანაა ნასესხები. მაცხოვარი > მაცხოუჭარ > მაცხუჭარ: სვანურს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ფუძის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის მოკვეცა, მოკვეცილი ხმოვანი კი კვალს ტოვებს უმლაუტის სახით [ქალდანი, 1961, გვ. 25-26]. ტერმინ მაცხოუჭარ-ში შემდეგ ხდება რედუქცია: იკარგება ბაგისმიერი ხმოვანი ღ, რაც იწვევს ღ ხმოვნის დაგრძელებას და ვიღებთ მაცხუჭარ ფორმას.

სვანურში მაცხოვარი შეგვხვდა დამოუკიდებელ ტერმინადაც და მსაზღვრელადაც.

ა) მაცხუჭარ დამოუკიდებელი მნიშვნელობით:

ჯგერაგს ღმრბეთ ი მაცხუჭარ ხეწნაღს (სექ. ბზ., გვ. 100) – წმინდა გიორგის ღმერთი და მაცხოვარი ეწეოდნენ.

ბ) მაცხუჭარ მსაზღვრელის ფუნქციით:

...დიდაბი ლეკედ ხომა ღმრბათ ი ქრისდე მაცხუჭარს გუნ ხალტუნახ (სექ. ბზ., გვ. 105).

– დიდება მისასვლელ დიდ ღმერთს და ქრისტე მაცხოვარს ძალიან ჰყვარებიათ.

9. იესო

ტერმინი იესო ნასესხები სახელია. იგი ანთროპონიმი იყო, შემდეგ ღმერთის ზედწოდებად იქცა. ძველბერძნულსა და სხვა ევროპულ (ცოცხალ) ენებში იესო დიდი ასოთი იწერება (მსგავსად ქრისტე-სი Χριστός), ე.ი. საკუთარ სახელად

აღიქმება. იესოს ქართული შესატყვისი არის მქსნელი: “შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესო, რამეთუ მან იქსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან” (მ 1, 21).

ტერმინ იესოს აღნაგობა ქართულისათვის არაბუნებრივია. |ი| სეგმენტის წარმოშობა ხმოვნის წინ “ძველ ქართულში თითქმის მთლიანად ნასესხები სიტყვების (და პირველ რიგში საკუთარი სახელების) საფუძველზე მოხდა: “იავარის-ყოფად “გამარცვა, გატაცება”. იაკობ, იერიქო, იერუსალჴში, იესუ, იობ, იოვანე, იონა, იოსებ, იოტა, იალბუზი, იატაკი და სხვა” [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 68].

ალ. ჭინჭარაულის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ვკითხულობთ: “იესუ სახელია კაცისა, რადგან იგი კაციც იყო (“ძეე კაცისაე”) და ღმერთიც ერთდროულად. როცა იგი კვლავ ამალდა, “განღმრთა”, მას შერჩა ეს სახელი (იესუ), მაგრამ გამოსარჩევად მის სახელს დაემატა ებრაული მამიაჴ (მესია), ბერძნული ქრისტოს, რაც ამ ენაზე ნიშნავს “ცხებულს”. აქედან შემოვიდა ქართულში “ცხებული” (მდრ. მირონცხებული). ასეთივე ეპითეტებია ქართული “მაცხოვარი”, “მომღვარი”, “სახიერი” და სხვა” [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 18-19].

ს.-ს. ორბელიანი იესოს ასე განმარტავს: “უფალი მაცხოვარი” და მიუთითებს სპეციალური ნიშნით, რომ სიტყვა ნასესხებია. იგი გვთავაზობს ნასესხები ფორმით იესუს ტერმინის განმარტებას: “ებრაელებრ იესუსუად ჩვენებრ იესო, უფალი მაცხოვარი”. იესო ქეგლ-ის არც რვატომეულში და არც ერთტომეულში განმარტებული არ არის, რაც იმას მიუთითებს, რომ საკუთარ სახელადაა აღქმული.

იესოს, როგორც უფლის ზედწოდების აღმნიშვნელ სახელს, პირველად სახარებაში ვხვდებით. იგი შეიძლება იყოს ცალკეც და მსაზღვრელის თანხლებითაც. მაგალითად:

ა) ტერმინი იესო დამოუკიდებლადაა ნახმარი:

Εἶπεν οὖν πάλιν ὁ Ἰησοῦς (ი 10, 7).

მერმე ჰრქუა მათ იესუ (FG, HIK).

ταῦτα οὐκ ἔγινωσαν αὐτοῦ οἱ μαθηταὶ τὸ πρῶτον, ἀλλ’ ὅτε ἐδοξάσθη Ἰησοῦς...

(ი 12, 16).

ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესუ... (FG, HIK).

... Ὁ ἀντρωπος ὁ λεγόμενος Ἰησοῦς πηλὸν ἐποίησεν καὶ ἐπέχρισέν μου τοὺς ὀφθαλμοὺς... (ი 9, 11).

... კაცსა რომელსა ჰრქვან იესუ, თიჯად შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა...

καὶ ὁ Ἰησοῦς εἶπεν αὐτῷ: Ἀνάβλεψον... (ლ 18, 42).

იესუ ჰრქუა მას: აღიხილენ! (FG, HIK).

... Ἰησοῦς σὶ ἐ Δαυὶδ, ἐλέησόν με. (ლ 18, 38).

... იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე! (FG, HIK).

καὶ ἰδὸν νομικὸς τις ἀνέστη ἐκπειράζων αὐτὸν λέγων (ლ 10, 25).

აჰა ესრა შჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა (FG, HIK).

ბ) ტერმინი იესო მსაზღვრელით:

εἰσελθόνσαι δὲ οὐχ εἰς οὐρανὸν τὸ σῶμα τοῦ κυρίου Ἰησοῦ (ლ 24, 3).

შე-რაფ-ვიდეს, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუსი (FG, HIK).

ტერმინი იესო ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილსა და გამოცხადების წიგნში ცალკე უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე “ოთხთავში”. არის შემთხვევები, როცა ბერძნულ ტექსტში ტერმინი იესო არ გვხვდება, ქართული ტექსტის შესაბამის მუხლში კი იგი ჩასმულია.

... οὐτοίς ἠγοράσθησαν ἀπὸ τῶν ἀποστόλων ἀπαρχὴ τῶν θείων καὶ τῶν ἀρίων (გამოცხ. 14, 4).

... ესენი იესუსი მიერ სყიდულ არიან კაცთაგან შესაწირავად ღმრთისა და კრავისა.

ὑμῖν πρῶτον ἀναστήσας ὁ θεὸς τὸν ποῖδα αὐτοῦ... (საქ. 3, 26).

თქვენ პირველად აღვიდგინა ღმერთმან ძე თვისი იესო...

იესო გვხვდება უფალი- და მხსნელი- ტერმინებთან კონტექსტში:

... καὶ οὐδέτις δύναται εἰπεῖν: Κύριος Ἰησοῦς, εἰ μὴ ἐν παντί ἀγίνω (I კორ. მიმ. 12, 3).

... და არავის ჯელ-ეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა სულითა წმიდითა.

... ἐγὼ, γὰρ τὰ στίγματα τοῦ Ἰησοῦ ἐν τῷ σώματί μου βαστάζω (გალ. მიმ. 6, 17).

... მე საწერტელნი იგი უფლისა იესუსნი ჯორცთა შინა ჩემთა მიტვრთვან.

ამ მაგალითში ბერძნულ ტექსტში ტერმინი უფალი არ არის მოცემული.

... ὅς ἠγείρειν ἐκ [τῶν] νεκρῶν, Ἰησοῦν τὸν ῥύσμενον ἡμᾶς... (I თეს. მიმ. 1, 10).

... აღადგინა მკუდრეთით, იესო, მხსნელი ჩუენი.

ბოლო მაგალითში ქართულ მხსნელს ბერძნულში შეესაბამება ρύομαι, რაც ვაისმანის განმარტებით ნიშნავს: “Тащить к себе, спасать, избавлять, освобождать, защищать, охранять”.

ორიგინალური ტექსტებიდან ტერმინ იესოს ცალკე ხმარების ერთადერთი შემთხვევა იოანე მინჩხის პოეზიაში გვხვდება:

სიბრძნით გამგებელო იესო, სიტყუაო დაუბადებელო, დაბადებულნი გადიდებენ მამისა თანა სულითწმიდითურთ მარადის (ი. მინჩხი 303, 30).

როგორც ჩანს, მოკრძალების გამო უფლის სახელი იესო ეპითეტების გარეშე არ იხსენიებოდა.

იესო ცალკე არც მეგრულში გვხვდება. აქ გვაქვს შესიტყვება იოსე ქრისტე. (იოსე ქრისტეში მარდი გორტიზუნაფუდასი. იესო ქრისტეს მაღლი გაგთბობოდეს (შეგეწიოს). ტერმინი იოსე მიღებული ჩანს იესოსგან მეტათეზისის შედეგად.

სვანურში ტერმინი იესო არ დასტურდება. აქ ძე ღვთისას აღსანიშნად გვაქვს ტერმინები: ქრისტე, მაცხუჭრ.

10. ქრისტე

1) ქართული

მსგავსად იესოსი, ქრისტეც ღმერთის სახელად მოგვიანებით იქცა. ის ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “ცხებულს”. ტერმინ ქრისტეს საზოგადო სახელისგან წარმომავლობა კარგად ჩანს მისი დეკლინაციის დროს. “ქრისტე” ნაწილობრივ ისე იბრუნვის, როგორც საკუთარი სახელი და ნაწილობრივ – როგორც საზოგადო:

ქრისტე (სახ. წოდ.)

ქრისტემან (მოთხ.)

ქრისტესა (მიც. მიმ.)

ქრისტჳს ან ქრისტესი (ნათ.)

ქრისტჳთ (მოქმ.)

ქრისტედ (ვით.) [აკ. შანიძე, 1976, გვ. 41-42].

ტერმინ ქრისტეს საკუთარი სახელებისაგან განასხვავებს ის, რომ გაფორმებული აქვს მოთხრობითი ბრუნვა და აქვს სავრცობი.

თეოფილაქტე ბულგარელის განმარტების მიხედვით, “ქრისტედ იწოდებოდნენ: მეფეები და მღვდელმთავრები, რამეთუ მათ წმიდა ზეთს სცხებდნენ, რომელიც რქაში იდგა... უფალი იწოდებოდა ქრისტედ, როგორც მეფე, რამეთუ ის გამეფდა ცოდვის წინააღმდეგ” [თ. ბულგარელი, 1989, გვ. 5].

ქრისტე საბასთან ასეა განმარტებული: “ქრისტე – ცხებული უფლისა გინა ღმერთი და კაცი სრული”.

ტერმინ ქრისტეს ილ. აბულადისეული განმარტება: “ქრისტე – ცხებული მესია, თავი ცხებულთა”.

ს.-ს. ორბელიანი ტერმინ ქრისტესთან ერთად განმარტავს ქრისტვნას. იგი არ შეგვხვედრია არც ბიბლიურ ტექსტებში და არც ორიგინალური ლიტერატურის ძეგლებში. ქრისტვნა, საბას მიხედვით, ნიშნავს მირონცხებას უემბაზოდ: “ქრისტვნა არს მირონის-ცხება უემბაზოდ, ვითარცა დაწინდვა” [საბა, 1993].

ქრისტე და ქრისტვნა ერთი წარმომავლობის ლექსემებია, პირველი, როგორც “ძე ღვთისას” აღმნიშვნელი ტერმინი, დამკვიდრდა, მეორე კი – არა.

ტერმინი ქრისტე გვხვდება ცალკეც და მსაზღვრელის როლშიც. ქრისტე უშუალოდ ღმერთის, კერძოდ, “ძე ღვთისას” ეპითეტად იქცა. შემდეგ იგი დამოუკიდებელ ტერმინად ჩამოყალიბდა.

ქრისტე დამოუკიდებელ ტერმინად:

Ἰακώβ δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰωσήφ τὸν ἄνδρα Μαρίας, ἐξ ἧς ἐγεννήθη Ἰησοῦς ὁ λεγόμενος Χριστός (მ 1, 16).

იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტე (FG, HIK).

... εἰ σὺ εἶ ὁ Χριστός, εἰπέ ἡμῖν παρησία (ი 10, 24).

... უკუეთუ შენ ხარ ქრისტჳ, მითხარ ჩუენ განცხადებულად (FG, HIK).

... εἷς γὰρ ἔστιν ἡμῶν ὁ διδάσκαλος... (მ 23, 8).

... ერთ არს თქუენი მოძღუარი – ქრისტე... (FG) || ერთ არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე (HIK).

... Σὺ εἶ ὁ Χριστὸς ὁ υἱὸς τοῦ θεοῦ τοῦ ζῶντος (მ 16, 16).

...შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ (FG, HIK).

... Λέγοντες ὅτι: Ἐγὼ εἰμι... (მრკ 13, 6).

... იტყოდინ, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე (FG).

... Σὺ εἶ ὁ υἱὸς τοῦ θεοῦ, καὶ ἐπιτιμῶν οὐκ εἶα αὐτὰ λαλεῖν, ὅτι ἤδειςαι τὸν Χριστὸν αὐτὸν εἶναι (ლ 4, 41).

... შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ და არა უტევებდა მათ სიტყუად, რამეთუ იცოდეს ვითარმედ ესე არს ქრისტე (FG, HIK).

როგორც ვნახეთ, რამდენიმე მაგალითში ბერძნულ ტექსტში ტერმინი ქრისტე არ არის დადასტურებული. ქართულ რედაქციებში მისი თავისუფალი ხმარება იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ ტერმინი ქრისტე ენაში კარგად დამკვიდრებული იყო, როგორც “მე ღვთისას” აღმნიშვნელი სახელი. ქრისტე ოთხთავის FG რედაქციაში ხშირად სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული და დაბოლოებულია ც (=ე) დიფთონგით (ქრისტეც). ოთხთავის HIK რედაქცია “მე ღვთისას” აღნიშნულ ზედწოდებას ფუძის სახით წარმოგვიდგენს: ქრისტე.

ქართულ რედაქციებში დადასტურებული ტერმინი ქრისტე ბერძნულ ტექსტებში (ვგულისხმობთ ბიბლიის სამოციქულო ნაწილს) ძირითადად ზუსტად შეესატყვისება Χριστός ფორმას. სამ მუხლში იგი არ დასტურდება:

... ὄρκω ἄμοσεν αὐτῷ ὁ θεὸς ἐκ καρποῦ τῆς ὀσφύος αὐτοῦ καθίσαι ἐπὶ τὸν θρόνον αὐτοῦ (სა ქ. 2, 30).

... ფიცით ეფუცა მას ღმერთი ნაყოფისაგან მუცლისა მისისა ჯორციელად აღდგინებად ქრისტე და დაჯდომად საყდართა მისთა.

τοῦτο δὲ λέγω διαθήκην προκεκυραμένην ὑπὸ τοῦ θεοῦ... (გალ. მიმ. 3, 17).

ხოლო ამას ვიტყვ: წიგნად აღთქუმისა დამტკიცებულად ღმრთისა მიერ ქრისტეს მიმართ...

πάντα ἰσχύω ἐν τῷ ἐνδυναμοῦντί με (ფილიპ. მიმ. 4, 13).

ყოველივე ძალ-მიც განმამლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ.

ერთ მუხლში ქრისტეს ცვლის შესიტყვება Χριστός Ἰησοῦς.

εἶναι τὰ ἔθνη συγκληροῦμα καὶ σύσσωμα καὶ συμμετοχα τῆς ἐπαγγελίας ἐν Χριστῷ Ἰησοῦ διὰ τοῦ εὐαγγελίου (ეფ. მიმ. 3, 6).

... იყვნენ წარმართნი თანა-მკვდრ და თანა-ჯორც და თანამყოფ აღთქუმისა მის ღმრთისა ქრისტეს მიერ სახარებითა მით.

ტერმინ ქრისტეს ნაცვლად ბერძნულში გვხვდება κυριος ფორმა:

καὶ ὁ κύριος ἔχαρίσατο ἡμῖν, οὕτως καὶ ὑμεῖς (კოლ. მიმ. 3, 13).

ვითარცა-იგი ქრისტემან მიგმადლა თქუენ, ეგრეცა თქუენ მიჰმადლეთ მათ.

ტერმინ ქრისტეს ცალკე ხმარების შემთხვევები ორიგინალურ მწერლობაში:

... ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული (შუმ. 43); აკურთხენ ქრისტე ვითარცა აკურთხენ წმიდანი მოციქულნი (გრ. ხანძთ. ცხ. 149); გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტესმან... (გრ. ხანძთ. ცხ. 109); რად სარგებელ გეყოს შენ ქრისტე იგი შენი... (აბო 70); უკუთუ მოვკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტეს თანა ვცხონდე (აბო 73); ყოველთა კეთილთა სრულყოფილო ქრისტე... (ი. მინჩხი 216, 10); ... ძაღლებ იღრჭენდა კბილთა მისთა დარღუევისათვს ქრისტეს სარწმუნოებისა (წამ. ქეთ. 8, 35).

“შუმანიკის წამებასა” და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ტერმინი ქრისტე გვხვდება ამდაგვარ შესიტყვებაში: ქრისტე ღმერთი:

... ეზიარის ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა (შუმ. 38); ... სანატრელო ქრისტეს ღმრთისა (შუმ. 41); მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვდრენ ქრისტემან ღმრთმან... (გრ. ხანძთ. ცხ. 110); იყავნ ქრისტე ღმერთი ჩუენი შორის სულიერად ძმობასა და გზავნასა ჩუენსა (გრ. ხანძთ. ცხ. 102).

ქრისტემსა ზღვრელად:

ქართულ ოთხთავში შესიტყვება იესუ ქრისტე, ბერძნულისაგან განსხვავებით, გვხვდება შებრუნებული რიგითაც: ქრისტე იესუ:

... ἡ χάρις καὶ ἡ ἀλήθεια διὰ Ἰησοῦ Χριστοῦ ἐγένετο (ი 1, 17).

... მაღლი და ჭემარიტებად ქრისტე იესუმს მიერ იყო (FG,HIK).

შესიტყვება იესუ ქრისტეს ხმარების შემთხვევები ოთხთავში:

Τοῦ δὲ Ἰησοῦ Χριστοῦ ἡ γένεσις οὕτως ἦν... (მ 1, 18).

ხოლო იესო ქრისტეს შობად ესრეთ იყო...

Ἀρχὴ τοῦ εὐαγγελίου Ἰησοῦ Χριστοῦ... (მრკ 1, 1).

დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი (FG,HIK).

τότε διειπίλατο τοῖς μαθηταῖς ἵνα μηδεὶς εἴπωσιν ὅτι αὐτός ἐστιν ὁ Χριστός (მ 16, 20).

მაშინ ამცნო მოწაფეთა თვსთა, რადთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუ-ქრისტე (HIK) || მაშინ ამცნო მოწაფეთა თვსთა, რადთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს ქრისტე (FG).

ამ შემთხვევაში FG რედაქციაში მხოლოდ ტერმინი ქრისტე გვაქვს. იგი ბერძნულ ტექსტს მისდევს.

ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილსა და გამოცხადებაში ვხვდებით შესიტყვებას იესო ქრისტე და მის შებრუნებულ წყობას ქრისტე იესო. ქართულ ტექსტებში მოცემულ იესო ქრისტეს ბერძნულში ძირითადად ცვლის Ἰησοῦς Χριστός.

გვაქვს შემთხვევები, როცა შესიტყვებას იესო ქრისტე ბერძნულში მხოლოდ Ἰησοῦς ფორმა შეესატყვისება, ან ეს ტერმინი საერთოდ არ ჩანს.

1) იესო ქრისტეს ზუსტი შესატყვისობა ბერძნულში:

Χάρις ὑμῖν καὶ εἰρήνη ἀπὸ θεοῦ πατρὸς ἡμῶν καὶ κυρίου Ἰησοῦ Χριστοῦ (II კორ. მიმ. 1, 2).

მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

γινώσκετε γὰρ τὴν χάριν τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ... (II კორ. მიმ. 8, 9).

რამეთუ იცით მადლი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი...

Ἀποκάλυψις Ἰησοῦ Χριστοῦ... (გამოცხ. 1, 1).

გამოცხადებად იესუ ქრისტესი...

2) იესუ ქრისტეს ბერძნულ შესატყვისად ზოგ შემთხვევაში Ἰησους ფორმას წარმოადგენილი. მაგალითები:

ἡ χάρις τοῦ κυρίου Ἰησοῦ μεθ' ἡμῶν (I კორ. მიმ. 16, 23).

მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქვენ თანა.

... ὁ κύριος Ἰησοῦς ἐν τῇ νυκτὶ ἣν παρεδίδατο ἔλαβεν ἄρτους (I კორ. მიმ. 11, 23).

... უფალი იესუ ქრისტე ღამესა მას რომელსა მიეცემოდა, მოილო პური.

... ἐρωτῶμεν ἡμᾶς καὶ παρακαλοῦμεν ἐν κυρίῳ Ἰησοῦ... (I თეს. მიმ. 4, 1).

... გიკითხავთ და გლოცავთ უფლისა მიერ იესუ ქრისტესა...

... πίστευσου ἐπὶ τὸν κύριον Ἰησοῦν καὶ σωθήσῃ σὺ καὶ ὁ οἶκός σου (საქ. 16, 31).

... გრწმენინ უფალი იესუ ქრისტე, და სცხონდე შენ.

3) ტერმინ იესო-ქრისტეს გამოტოვების შემთხვევები ბერძნულში:

εἰ τις οὐ φιλεῖ τὸν κύριον, ἦτω ἀνάθεμα Μαριὰμ θα (I კორ. მიმ. 16, 22).

რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, იყავნ შეჩუენებულ მარანათა.

καὶ φωτίσαι [πάντας] τίς ἢ οἰκονομία τοῦ μυστηρίου τοῦ ἀποκεκρυμμένου ἀπὸ τῶν αἰώνων ἐν τῷ θεῷ τῷ τὰ πάντα κτίσαντι (ეფ. მიმ. 3, 9).

და განათლებად ყოველთა, რად-იგი არს განგებულებად იგი საიდუმლოდსად მის დაფარულისად საუკუნითგან ღმრთისათანა, რომელმან ყოველივე დაჰზადა იესო ქრისტეს მიერ.

4) ქართულ ტექსტში მოცემული იესო ქრისტეს ბერძნულ შესატყვისად ზოგჯერ გვხვდება მისი შებრუნებული წყობა:

Παῦλος ἀπόστολος Χριστοῦ Ἰησοῦ διὰ θελήματος θεοῦ καὶ Τιμόθεος ὁ ἀδελφὸς (კოლ. მიმ. 1,1).

ჰავლე მოციქული იესუ ქრისტესი ნებითა ღმრთისადათა, და ტიმოთე ძმადა.

... εἷς γὰρ θεὸς εἷς καὶ μεσίτης θεοῦ καὶ ἀνθρώπων, ἄνθρωπος Χριστὸς Ἰησοῦς (I ტიმ. მიმ. 2, 5).

... ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე.

5) ზოგ შემთხვევაში, როცა ქართულ ტექსტში გვაქვს შესიტყვება ქრისტე იესუ, ბერძნულში დასტურდება შებრუნებული წყობა Ἰησοῦ Χριστοῦ:

τῷ δὲ θεῷ χάρις τῷ διδόντι ἡμῖν τὸ νῆκος διὰ τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ (I კორ. მიმ. 15, 57).

დმერთსა მადლი, რომელმან მომცა ჩუენ ძლევად ქრისტე იესუს მირ უფლისა ჩუენისა.

οἱ πάντες γὰρ τὰ εαυτῶν ζητοῦσιν, αὐτὰ Ἰησοῦ Χριστοῦ (ფილიპ. მიმ. 2, 21).

... ყოველნი თავთა თვსთასა ეძიებნ და არა ქრისტე იესუსსა.

6) ქართულ ტექსტში მოცემულ ქრისტე იესუს ადგილას ბერძნულში ზოგჯერ გვხვდება მხოლოდ Χριστος:

... ἵνα ἦτε εἰλικρινεῖς καὶ ἀπρόσκοποι εἰς ἡμέραν Χριστοῦ (ფილიპ. მიმ. 1, 10).

იყვნეთ თქუენ ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღემდე ქრისტე იესუსი.

τοῖς ἐν κολοσσαῖς ἀγίοις καὶ πιστοῖς ἀδελφοῖς ἐν Χριστῷ... (კოლ. მიმ. 1, 2).

კოლასეს შინა წმიდათა და მორწმუნეთა ძმათა ქრისტე იესუს მირ...

დერივაციული ფორმები

ქრისტეანი

ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილში ვხვდებით ტერმინ ქრისტესგან ნაწარმოებ სიტყვას ქრისტეანი. მისგან მომდინარეობს ფორმა ქრისტიანი. იან ქონების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი “მიღებული ჩანს ეან-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან. აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტიანი...” [აკ. შანიძე, 1980, გვ. 122].

ს.-ს. ორბელიანი განმარტავს ქრისტიან-ს, როგორც “ქრისტეს მოსავს”.

ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ქრისტიანი, ქრისტიანე ასეა განმარტებული: “ქრისტეს მიმდევარი”.

ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში მოყვანილია ტერმინები: ქრისტიანება || ქრისტიანობა, ქრისტიანობა || ქრისტიანობა. საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია ყოველგვარი განმარტების გარეშე: სხუად კაცი დაემოწაფა ჳელითა მისითა ქრისტიანებასა (ისტ. ქრესტ. გვ. 184, 14-15); ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრებისა შენისათა ქრისტიანებისათჳს [ევსტ. 173, 5-6]; ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტიანობად (იქვე, 172,10); კაცნი არიან მცხეთას ჩუენისა რჩულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტიანობენ (ევსტ. 34, 24).

ქეგლ-ში ქრისტე, როგორც საკუთარი სახელი, არაა განმარტებული. აქ მოცემულია მხოლოდ მისგან ნაწარმოები ტერმინები: ქრისტიანი, ქრისტიანობა, ქრისტიანული, ქრისტესშობა:

ქრისტეანი-ი – ძვ. იგივეა, რაც ქრისტიანი.

ქრისტიანი-ი (ბერძ. christianos) რელიგ. ქრისტიანობის აღმსარებელი. “[მოდვარს] უზიარებლად ქრისტიანის სიკვდილი... მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა” (ა. ყაზბეგი).

ქრისტიანულ-ი – ძვ. იგივეა, რაც ქრისტიანული.

ქრისტიანულ-ი – ძვ. რელიგ. ქრისტიანებისა და ქრისტიანობის დამახასიათებელი, ქრისტიანობასთან დაკავშირებული.

ქრისტიანობა – ერთ-ერთი მონოთეისტური რელიგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრისტეს კულტი.

ქრისტესშობა (ქრისტესშობისა), რელიგ. იგივეა, რაც შობა. “გოგამ ქრისტეშობის დღესასწაულებამდე იცოცხლა” (ე. ნინოშ.).

ქრისტეანე ფორმა შეესატყვისება ბერძნულ Χριστιανός-ს: εἰ δὲ ὡς Χριστιανός, μὴ αἰσχυνέσθω, διότι ζήτω δὲ τὸν θεὸν ἐν τῷ ὀνόματι τοῦτου. (I პეტ. 4, 16).

ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუენინ, არამედ ადიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილითა. ... καὶ εὐλαστὸν ὄλον συναχθῆναι ἐν τῇ ἐκκλησίᾳ καὶ διδάξαι ὄχλον ἰκανόν χρηματίσαι τε πρῶτως ἐν Ἀντιοχείᾳ τοὺς μαθητὰς χριστιανούς (საქ. 11, 26).

... იყო მათი წელიწად ერთ შეკრებად ეკლესიად და სწავლად ერისა და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტეანედ.

აღნიშნულ ტერმინებს ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაშიც ვხვდებით. “შუმანიკის წამებასა” და “აბიბოს ნეკრესელის წამებაში” დასტურდება ფორმა: ქრისტიანე. “აბო თბილელის წამებაში” და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” – ქრისტიანე. “ქეთევან დედოფლის წამებაში” გვხვდება ფორმები: ქრისტიანე, ქრისტიანე.

წარმოვადგენთ ქრისტიან- || ქრისტიან- სიტყვის კონტექსტური ხმარების შემთხვევებს ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტების მიხედვით:

... დაუტევა მოგობად და იქმნა იგი ქრისტიანე (შუშ. 34-35); აჰა ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიად შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი (შუშ. 27); ... პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთად (შუშ. 34); ... ყოველი კრებული ქრისტიანეთად ერთბამად განანათლა (აბო 58); ... ჰგონებდეს, ნუ უკუე ქრისტიანეთა აღანთეს სანთელი ადგილსა მას (აბო 76); ... ვერ განიცხადებდა თავსა თვსსა სრულიად ქრისტიანედ (აბო 64); ...იტყვს თავსა თვსსა ქრისტიანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტიანე ყოფად (აბო 68); ზარგანჯდილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმკნჭ ძლიერი... (გრ. ხანძთ. ცხ. 109); ... ეშინოდა, ნუუკუე ქრისტიანეთა დიდებითა დაჰკრძალნენ იგინი (აბ. ნეკრ. 250); ... ქრისტიანენი მდგომარე იყვნეს მაგრიად (წამ. ქეთ. 15, 25); ესენიცა ჯუარშემოსილნი ქრისტიანეთა ერნი... მცირედ-მცირედ წარმოდგეს... (წამ. ქეთ. 15, 5).

“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” შეგვხვდა უქონლობის უ- – -ლ პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ფორმა უ-ქრისტი-ლ. ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში შეგვხვდა ტერმინ ქრისტეს შემცველი კომპოზიტები: ქრისტესმოყვარე, ქრისტესმსახური, ქრისტეშემოსილი, ქრისტესმბრძოლი, ქრისტესმოძულე. ჩამოთვლილი კომპოზიტები

შეიძლება დავაჯგუფოთ დადებითი და უარყოფითი სემანტიკური ველის მქონე ლექსიკურ ერთეულებად:

ა) “დადებითი ველის” მქონე ტერმინები: ქრისტესმოყვარე, ქრისტესმსახური, ქრისტეშემოსილი. მაგალითად:

ქრისტესმოყვარე:

... სათნოყავნ უფალმან გულსა თქუნსა და გულსა ყოვლისა ქრისტესმოყუარისა ერისა მორწმუნისასა... (აბო 56); მნებავს აწ, ქრისტეს-მოყუარენო... რადთა გაუწყო... (აბო 63); ... ქრისტესმოყუარისა ერისა მოძღუარო და განმანათლებლო ყოველთაო... (გრ. ხანძთ. ცხ. 142).

ქრისტესმსახური:

არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს-მსახურისა იონთა მეფისა... (აბო 66).

ქრისტეშემოსილი:

ვთქუა სარწმუნოდასა მისთვის შვილისა ქრისტე-შემოსილისა (გრ. ხანძთ. ცხ. 129).

ბ) “უარყოფითი ველის” მქონე ტერმინები: ქრისტესმბრძოლი, ქრისტესმოდულე, ამავე რიგს ეკუთვნის ზემოთ აღნიშნული უქრისტო.

ქრისტესმბრძოლი:

და ვითარცა იხილეს ქრისტეს-მბრძოლთა მათ (აბო 74).

ქრისტესმოდულე:

განმიტევე მე, რადთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობად ჩემი ქრისტესმოდულეთა მათ (აბო 67).

უქრისტო:

და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან (გრ. ხანძთ. ცხ. 115).

2) სვანური და მეგრული

სახელ-ტერმინი ესო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცალკე არც სვანურში გვხვდება.

ლენტეხურსა და ლაშხურ დიალექტებში გვაქვს შესიტყვება ესო ქრისტე:

კარკიში შუკვარქა ერ ელმწჷინ, ოხმეკრა ესო ქრისტეს ი ახჭემენა დწვს ღოშგინ... (სექ, ლაშხ., გვ. 258) – კარკიშის გზებზე რომ მოდიოდა, გაუგია ესო ქრისტეს და გამოჰყოლია დევს უკან; ესო ქრისტე ლექვაშხენ აღმწჷლი... (სექ, ლენტ., გვ. 295) – ესო ქრისტე დასავლეთიდან მოდიოდა; ალ ლაგწმისკა წრი ემხუ ვოქვრე ხწტ ხედგწდასა ხახატავა ესო ქრისტე... (სექ, ლენტ., გვ. 295) – ამ სალოცავში არის ერთი ოქროს ხატი, რომელზედაც ხატია ესო ქრისტე...

სვანურში ცალკე შეიძლება შეგვხვდეს ტერმინი ქრისტე ერთი ფორმით ლაშხურსა და ლენტეხურში. ბალსქვემოურში ქრისტე ორი სახით გვხვდება:

ქრისტე, ქრისტე. ბალსზემოურში მხოლოდ თანხმობანგამყოფებული ქრისტე გვაქვს. ბალსზემოური სვანურის ცალდამურ კილოკავში გვხვდება ქრსდე – ქრისტეს რედუცირებული ფორმა. ტერმინ ქრისტესთან, ისევე, როგორც “შუმანიკის წამებასა” და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”, შეიძლება შეგვხვდეს ღერბეთ || ღერმეთ ტერმინები. ქრისტემ || ქრსდემ ტერმინი დღესასწაულის სახელდებისთვისაა გამოყენებული და აღნიშნავს შობის წინა დამეს.

საილუსტრაციო მასალა:

ა) საზღვრულ-მსაზღვრელი ქრისტე ღმერთი ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში: ანჯად ესნარ ქრისტე ღერბეთ ი თაადვებ ლახვემ (სექ, ბზ., გვ. 103) – მოსულა თურმე ქრისტე ღმერთი და თავდებობა მიუცია; ... ქრისტე ღერბათ ესწებენა მალე გვემ (სექ, ბზ., გვ. 103) – ქრისტე ღმერთს დასჭირვებია რაღაც; ქრისტე ღერბათ ესღვიჭინახ ვირადად ი ჩუ ლირმი ხაკვადახ (სექ, ბზ., გვ. 8) – ქრისტე ღმერთს მისდედნენ თურმე ურიები და დაჭერა უნდოდათ; ქრისტე ღერმეთდ ვარია ხაქვ (სექ, ბქ., გვ. 214) – ქრისტე ღმერთმა უარი უთხრა; ქრისტე ღერმეთოდ ლი ისგუ ლაქუნამ მგვლათხი (სექ, ბქ., გვ. 174) – ქრისტე ღმერთი იყოს შენი სულის ამამაღლებელი.

ბ) ტერმინ ქრისტეს ცალკე ხმარების შემთხვევები სვანურში:

... ქრისტე ჟ ალგენელი ჯგვრან მიჩ აფხნეგდ ლოხვკერნა ი ამსვლადან◻ ლიმშედანლე ჰაჯ ლოჰოდა (სექ, ბზ., გვ. 91) – ... ქრისტე ამდგარა, წმინდა გიორგი შეუამხანაგებია და ადამიანის განკურნების უნარი მიუცია; ქრისტე ვირადად როქვ ოთდაგრახ (სექ, ბზ., გვ. 91) – ქრისტე ურიებს მოუკლავთ; ... ქა მ აჯკალიდებ ნიშგვეშენქა, ეჯი ქრისტესოდ ოთტიხა ხოჩამშვ... (სექ, ბქ., გვ. 174) – რაც დაგაკლდათ ჩვენგან, ის ქრისტეს დაებრუნებინოს (გადაეხადოს) კარგით (სიკეთით); მაზამ ლეჟაშხენ ქრისტე ჭიშხე ნაგამ ლი (სექ, ლენტ., გვ. 295) – მაზამის აღმოსავლეთით ქრისტეს ფეხის დანადგამია.

გ) დღესასწაულის აღმნიშვნელი ქრისტემ:

ანჯად ქრისტემ, – ღენი თხვიმ. აგვახიადენ...ეჩანლო ანჯად კალანდა... (სექ, ლენტ., გვ. 290) – მოვიდა შობის დამე – დღესასწაულების თავი (დასაწყისი) გაგვიხარდა ... მერე მოვიდა ახალი წელი; მეისრობ ლი ქრისტემ თვეისა, – მა ეშუ ლადელ, მა მერბე ლადელ. მეისრობ ჰედენი ნაქრისტაშვს (სექ, ლენტ., გვ. 291) – მეისრობა არის ქრისტემობის თვეში: ხან ერთ დღეს, ხან – მეორე დღეს. მეისრობა მოდის ნაქრისტემობევს.

ტერმინი ქრისტე ცალკე მეგრულშიც გვხვდება. ი. ყიფშიძე ლექსიკონში იმოწმებს შემდეგ ფორმებს: ქრსე < ქრსე < ქრისტე. ტერმინი ქრსე შობის დღესასწაულის აღმნიშვნელი სიტყვაა [ი. ყიფშიძე, 1994].

დერივაციული ფორმები სვანურსა და მეგრულში

ტერმინ ქრისტესგან ნაწარმოები ფორმებიდან მეგრულსა და სვანურში გვხვდება ქრისტიანი, რომელიც ქართულიდანაა ნასესხები.

ა) სვანურში ეს ტერმინი წარმოდგენილია ქრისდიან სახით:

ქრისდიანე ლანწამ ღერთაზრენქა ჯვინალდ შვანწარს მრმ-მრმ ღერთაზრ ხამწმენახ (სექ, ბზ., გვ. 21) – ქრისტიანების სარწმუნო ღმერთების გარდა ძველად სვანებს სხვადასხვა ღმერთებიც სწამდათ; ლოხვჟინდგვ ესერ ქრისდიან ამსვლდ (სექ, ბზ., გვ. 41) – შეიწყალეთო ქრისტიანი ადამიანი; ლახე ქრისდიან მწრე ჯგერწგს ხეჯერწლ ლიმშედწლს, ეჩქა ეჯა ჩუ როქვ ხაშიდ ამსვლდს. (სექ, ბზ., გვ. 89) – თუ ქრისტიანი კაცი წმინდა გიორგის ევედრება დახმარებას, მაშინ ის შველის ადამიანს.

როგორც ვხედავთ ქრისდიან ფორმაში -იან სუფიქსისეული ა ხმოვანი მხოლოობითი რიცხვის ფორმებში უმლაუტიანია. მოკვეცილი ბოლო ხმოვნის კვალი დარჩენილია უმლაუტის სახით.

ლაშხურში გვხვდება ქართულიდან ნასესხები ტერმინი საქრისდიან იგივე (=საქრისტიანო). ეს ტერმინი ზემოსვანურის დიალექტებშიც გვხვდება უმლაუტიზებული ა-თი: საქრისდიან.

ჯვინელ დროაჟი ნაგადს ი აშ საქრისდიან უქმარს ძღვდ ბგვიდ ხოგდურდახ (სექ, ლაშხ., გვ. 243) – ძველ დროში შენაპირს და საქრისტიანო უქმეებს ძალიან მაგრად ჰკიდებდნენ ხელს (ე.ი. იცავდნენ); საქრისტიან უქმარდ ხომრლ ნაგად უქმარ ხეჯანხ (სექ, ლაშხ., გვ. 243) – საქრისტიანო უქმეებზე უფრო შენაპირი უქმეები მიაჩნდათ; მთელ საქრისდიან ჟალგენელი (ბზ.) (მასალა ჩვენია – ნ. გ.) – მთელი საქრისტიანო ამდგარა.

ბ) მეგრულში ქრისტიანი უცვლელი ფორმით გვხვდება.

ქრისტიან ვა რექო?! (მასალა ჩვენია ნ. გ.) – ქრისტიანი არა ხარ?!

ი. ყიფშიძის ლექსიკონში გვხვდება ტერმინი ქრისტიანი/ე [ი. ყიფშიძე, 1994].

მეგრულ ანდაზებში შეგვხვდა ტერმინი ქრისტიანობა:

ურიას ქრისტიანობას არზენდესია დო ჰიჰე კითით ივარანდუა (ხს, 1284).

ურიას ქრისტიანობას აძლევდნენ და პატარა თითით უარობდაო.

11. თავადი

“ძე ღვთისას” აღმნიშვნელად სახარებაში გვაქვს ტერმინი თავადი. ამ მნიშვნელობით იგი ენაში არ დამკვიდრებულა. თავადი ნაწარმოები ჩანს თავ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან. ტერმინი თავადი ძე ღვთისას აღმნიშვნელად გვხვდება ცალკეც და ტერმინ იესოსთან ერთად: თავადი იესუ. თავადი შესატყვისია ბერძნული αὐτός-ისა:

... αὐτός δὲ ἦν ἰσοχάρων ἐν ταῖς ἐρήμοις καὶ προσευχόμενος (ლ 5, 16).

... თავადი განემორის უდაბნოდ და ილოცავნ (FG, HIK).

... αὐτῶν τὰς χεῖρας ἐπιτιθεὶς ἐθεράπευσεν αὐτούς (ლ 4, 40).

... თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდვა ჴელი და განკურნნა იგინი (FG, HIK).

... καὶ αὐτος ἦν ἐστὼς παρὰ τὴν λίμνην Γεννησαρέτ (ლ 5, 1).

... თავადი იდგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა (FG, HIK).

... ἦδη δὲ αὐτοῦ οὐ μακρὸν ἀπέχοντος ἀπὸ τῆς οἰκίας ἔπεμψεν φίλυσ ὁ ἑκατοντάρχης... (ლ 7, 6).

... ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მიუვლინნა ასისტავმან მან მეგობარნი... (FG, HIK).

ὁ δὲ λέγει αὐτοῖς... (მ 17, 20).

ხოლო თავადმან ჰრქუა მათ... (FG) || ხოლო იესუ ჰრქუა მათ (HIK).

... τότε καὶ αὐτὸς ἀνέβη οὐ φαερῶν ἀλλὰ[ὺς] ἐν κρυπτῷ (ი 7, 10).

... მაშინ თავადი იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ფარულად (FG, HIK).

ზოგჯერ ტერმინი თავადი მხოლოდ ქართულ ტექსტშია მოცემული, ბერძნულში კი მისი ადეკვატური სიტყვა არ გვხვდება:

καὶ κατελείφθη μόνος (ი 8, 9).

დაშთა თავადი მარტო ... (FG, HIK).

ὁ δὲ στεραφεὶς εἶπεν τῷ Πέτρῳ... (მ 16, 23).

ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა... (FG, HIK).

ὁ δὲ ἀποκριθεὶς εἶπεν (მ 15, 26).

ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას (FG, HIK).

ს.-ს. ორბელიანი ტერმინს თავადი ასე განმარტავს: “თავადი – თავით თვისით”. სიტყვა თავის განმარტებისას იგი მოიხმობს მისგან ნაწარმოებ ფორმებსაც და წერს: “თავი არს კაცთა ქრისტე; თავად ითქმის კაცთა შორის უზეშთაესი: ერისთავი, გუნდისთავი და მისთანანი, გინა საქმითა და სწავლითა უმეტესი”. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ გვხვდება ტერმინი თავადი “მე ღვთისას” მიმართ. რაც შეეხება ბერძნულ αὐτὸς ტერმინს, იგი ნაცვალსახელია და მისი მნიშვნელობაა “თვითონ”.

12. მქსნელი

მქსნელი წარმოშობით მიმღეობური ფორმაა. მიღებულია ქსნა ზმნისგან მ- – -ელ აფიქსების დართვით. მ- – -ელ, როგორც ცნობილია, აწარმოებს მოქმედებითი გვარის მიმღეობას, რომელსაც დროის გაგება არ გააჩნია. მიმღეობად ჩამოყალიბებული მქსნელი დროთა განმავლობაში გასუბსტანტივდა. ტერმინი გვხვდება როგორც ძველ აღთქმაში, ისე ახალ აღთქმაში ღვთის ზედწოდების აღმნიშვნელად. მქსნელი წარმოადგენს კალკს ებრაულიდან მომდინარე იესოსი, რაც “მხსნელს” ნიშნავს:

“შვეს ძღ და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იქსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან (მ 1, 21).

ს.-ს. ორბელიანი მკსნელს განმარტავს, როგორც “ჯსნის მოქმედს”. უშუალოდ ღმერთთან იგი “მკსნელს” არ აკავშირებს, თუმცა აღნიშნული ტექსტების მიხედვით იგი სხვა მნიშვნელობით არ შეგვხვედრია, რადგან, ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ადამიანის “მკსნელი” შეიძლება იყოს ღმერთი და არა ისევე ადამიანი, რომლის ძალისხმევით კონცენტრირება უნდა ხდებოდეს ღმერთის გარშემო და მისგან მოელოდეს ხსნას. ადამიანი ამ ქვეყნად შეიძლება იყოს ღმერთის იდეის გამტარებელი და არა “მკსნელი”.

ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონის” მიხედვით, “მკსნელი” იგივეა, რაც “მაცხოვარი, განმათავისუფლებელი”.

მაგალითები:

... και ὁ θεὸς ὁ ἴψιστος λυτρωτὴς αὐτῶν ἐστιν (ფსალ. 77, 35).

... ღმერთ მაღალი მკსნელ მათდა არს.

... κύριε βοήθε μου και λυτρωτά μου (ფსალ. 18, 15).

... უფალო მწეო ჩემო და მკსნელო ჩემო.

εἰπὸν τῇ ψυχῇ μου σωτηρία σου ἐγὼ εἶμι (ფსალ. 34, 3).

არქუ სულსა ჩემსა: მკსნელი შენი ვარ მე.

μήποτε ἀρπάσῃ ὡς λέων τὴν ψυχὴν μου μὴ ὄντος λυτρούμενου μηδὲ σῶζοντος (ფსალ. 7, 3).

ნუ სადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მკსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარ.

... βοηθός μου και ὑπερασπιστής μου σὺ εἶ, ὁ θεός μου, μὴ χρονίσῃς (ფსალ. 39, 18).

... შემწე და მკსნელი ჩემი ხარი შენ, ღმერთო ჩემო, ნუ ჰყოვნი.

... οὐτός ἐστιν ἀληθὴς ὁ σωτήρ τοῦ κόσμου (ი 4, 42).

... ეგე არს ჭემმარტად მკსნელი სოფლისაჲ (FG, HIK).

...“Ἦξει ἐκ Σιών ὁ ῥυόμενος, ἀποστρέψει ἀσείβειας ἀπὸ Ἰακώβ (ჰრ. მიმ. 11, 26).

... მოვიდეს სიონით მკსნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი.

პირველ მაგალითში “მკსნელი” განმარტავს შესიტყვებას ღმერთი მაღალი, მეორეში – ტერმინს უფალი. ბოლო მაგალითში მკსნელი უფლის ზედწოდების აღმნიშვნელია. დანარჩენ მაგალითებში ადამიანი “ჯსნისთვის” მხოლოდ ღმერთს მოუხმობს.

ტერმინ მკსნელის ბერძნულ შესატყვისებს განვმარტავთ ვაისმანის მიხედვით: σωτήρ – спаситель, избавитель (ეს ტერმინი მაცხოვრის შესატყვისადაც შეგვხვდა), ὑπερασπίζω - покрывать кого-л. щитом, защищать; ῥυόμαι – спасать, избавлять, освобождать, защищать, охранять; λυτρωτής - искупитель.

ტერმინი მკსნელი ხშირად გვხვდება იოანე მინჩხის პოეზიაში, სადაც იგი ხან ეპითეტია, ხან კი – დამოუკიდებელი ტერმინი.

1) მკსნელი ეპითეტის ფუნქციით:

რომელი მოხუედ მკსნელად სოფლისა... (ი. მინჩხი 262, 35); ... მიეგებვიან მთავარსა მას ყოვლისა უმთავრესსა სიონისა სიძისა და მეუფესა, სიტყუასა

უკორცოთა მფლობელსა ჯორცითა მომავალსა, წყალობით მქსნელსა სულთა ჩუენთასა (ი. მინჩხი 263, 5); მქსნელი და მაცხოვარი ჩუენი (ი. მინჩხი 211, 5); მოწყალეო ქრისტე... მქსნელი (ი. მინჩხი 209, 25).

2) მქსნელი დამოუკიდებელ ტერმინად:

საკვრველ არიან განგებანი სასწაულთა შენთანი, მქსნელი ... (ი. მინჩხი 199, 25); ოდეს ჯუარსა ზედა სტანჯვიდეს მქსნელსა უვარისყოფელნი მისნი (ი. მინჩხი 196, 5); ... შთავვარდი მე წყუდიადისა გულსა. შემიწყალე, მქსნელი (ი. მინჩხი 178, 5).

ქეგლ-ის ერთტომეული “მქსნელს” ასე განმარტავს: “მქსნელი – ვინც იხსნა ვინმე, რამე ან იხსნის ვისმე, რასმე (დაღუპვისაგან, რაიმე გასაჭირიდან). ქვეყნის მხსნელი – მხსნელად მოევილინა”. ახალ ქართულში მხსნელი პოლისემიური ფუნქციით იხმარება: იგი ადამიანსაც გულისხმობს და ღმერთსაც.

14. მესია

მესია სემიტური ძირის სიტყვაა, როგორც სახარების ტექსტიდან ჩანს, “ცხებულს” (მეფედ კურთხეულს) ნიშნავს. “მაშიჰა ძველ აღთქმაში აგრეთვე ნიშნავს: ქურუმს, მღვდელს, უფალს, მთავარს. მისი თარგმანია ბერძნული ქრისტე, რომელიც იესუს მუდმივ ეპითეტად და შემდგომ საკუთარ სახელად იქნა გააზრებული” [დანელია, 1993, გვ. 139].

სიტყვა მესია მხოლოდ იოვანეს სახარებაში გვხვდება:

Εὐρίκαμεν τὸν Μεσσίαν, ὃ ἐστὶν μεθερμηνεύσόμενον Χριστός (ი 1, 41).

ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით “ქრისტე” (HIK).

λέγει αὐτῷ ἡ γυνή, Οἶδα ὅτι Μεσσίας ἔρχεται ὁ λεγόμενος Χριστός... (ი 4, 25).

ვიცი რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტე (HIK).

სულხან-საბა ტერმინ მესიას ასე განმარტავს: “ცხებული უფლისა”.

მესიის ილ. აზულაძისეული განმარტებაა ქრისტე.

ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: “მესია ებრაულად ცხებული, სახელი ისე ეკუთვნის იესუ ქრისტესა” [ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 277].

მესია ქართულში ბერძნულის გზით შემოსული ტერმინია, მაგრამ კ. დანელიას მრავალთავიდან, კერძოდ “ჯუარის გამოჩინების საკითხავიდან,” ამოღებული აქვს ამ სიტყვის აღმოსავლურსირიული მშია (←მშიჰა) [დანელია, 1993, გვ. 139]. მშია ფორმის შესახებ მეცნიერი იმოწმებს ა. შანიძის მოსაზრებას, რომ იგი “ამჟღავნებს ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის კავშირს ასურულთან/სირიულთან” [დანელია, 1993, გვ. 139].

ტერმინ მესიას დღეს “მხსნელის” მნიშვნელობით ვხმარობთ და არა “ცხებულია.” მისგანაა მიღებული მესიანიზმი, მესიანისტური.

14. ემანუელ

ემანუელ “მე ღვთისას” აღმნიშვნელი ტერმინია. ამ სახელის შესახებ ინფორმაციას მათეს სახარებიდან ვიღებთ: “ესე ყოველი იქმნა, რაითა აღესრულოს თქუმული იგი უფლისა მიერ, წინასწარმეტყველისაგან! აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს მე და უწოდინ სახელი მისი ემანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი” (მ 1, 23) (HIK).

მაგალითი ბერძნული ტექსტიდან:

Ἰδοὺ ἡ παρθένος ἐν γαστρὶ ἔξει καὶ τέξεται υἱόν, καὶ καλέσουσιν τὸ ὄνομα αὐτοῦ Ἑμμανοὺ ἤ, ὅ ἐστιν μεθερμηνεύμενον Μεθ’ ἡμῶν ὁ θεός (მ 1, 23).

ამ მუხლის განმარტებას თეოფილაქტე ბულგარელი ასე გვაწვდის: “ებრაელები ამბობენ, რატომ არ იწოდება იგი ემანუელად და რატომ ეწოდება იესო ქრისტე? ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ წინასწარმეტყველი კი არ ამბობს “უწოდებ”, არამედ “უწოდებენ”. ე.ი. თვით საქმეები გვიჩვენებენ, რომ ეს არის ღმერთი, თუმცა ჩვენთან ცხოვრობს” [თ. ბულგარელი, 1989, გვ. 14-15].

ემანუელს, როგორც ღვთის ზედწოდების აღმნიშვნელ სახელს, ვხვდებით იოანე მინჩხის პოეზიაში:

სიწმიდით საიდუმლოდ მიდგომილებაჲ შენი ძისა და ღმრთისაჲ, რომლისა სახელი – ემანუელ (ი. მინჩხი 252, 5).

ს.-ს. ორბელიანი ტერმინ ემანუელს განმარტავს თავისი ლექსიკონის იმ ნაწილში, რომელსაც უწოდებს: “თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა: “ემანუელ – ჩვენთანა ღმერთი”. სახელი განმარტებულია ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით.

15. სულიწმი(ნ)და

სამების ჰიპოკრატეზიდან მხოლოდ სულიწმი(ნ)და გვხვდება უცვლელი ფორმით. შესიტყვება სული წმი(ნ)და, ვფიქრობთ, კალკია, მისი ბერძნული შესატყვისია πνεῦμα ἅγιον:

... οὗτός ἐστιν ὁ βαπτίζων ἐν πνεύματι ἁγίῳ (ი 1, 33).

... იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა (FG, HIK).

ბერძნულ ტექსტში შეიძლება მოცემული იყოს მხოლოდ, πνεῦμα (სული):

... οὐπω γὰρ ἦν πνεῦμα, ὅτι Ἰησοῦς οὐδέπω ἐδοξάσθη (ი 7, 39).

... არღა მოცემულ იყო სული წმიდა, რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო (FG, HIK).

καὶ ὑπέστρεψεν ὁ Ἰησοῦς ἐν τῇ δυνάμει τοῦ πνεύματος εἰς τὴν Γαλιλαίαν (ლ 4, 14).

მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისადათა გალილეად (FG, HIK).

πνεῦμα ἅγιον (სული წმინდა) ბერძნულში შეიძლება შეგვხვდეს შებრუნებული წყობითაც: ἅγιον πνεῦμα (წმინდა სული):

καὶ πᾶς ὃς ἐρεῖ λόγον εἰς τὸν υἱὸν τοῦ ἀνθρώπου, ἀφεθήσεται αὐτῷ τῷ δὲ εἰς τὸ ἅγιον πνεῦμα βλασφημήσαντι οὐκ ἀφεθήσεται (ლ 12, 10).

ყოველმან რომელმან თქვას სიტყუად ძისა მიმართ კაცისა მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგომობარსა არა მიეტეოს... (FG, HIK).

სულიწმი(ნ)დის შესახებ კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ იგი არის “ისეთივე ჭეშმარიტი და ძლიერი ღმერთი, როგორც მამა და ძე. საღმრთო წერილი ამოწმებს სულიწმინდის ღვთაებობას, როცა მიაწერს ღვთიურ თვისებებს: ა) ყოვლად მეცნიერებას; ბ) ღვთიურ სახელს; გ) ღვთიურ მოქმედებას. მაგ.: ქვეყნის შექმნას, განგებულებას, მადლით მეორედ შობას, კაცთა განმართლებას და განწმენდას; დ) მამა ღმერთთან და ძესთან თანასწორობას. პიროვნული ღირსება სულიწმინდისა ის არის, რომ მამისაგან გამოდის, ამის შესახებ თავად მაცხოვარი ბრძანებს: “რაჟამს მოვიდეს ნუგეშისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან სწამოს ჩემთვის” (ი 15, 26) [სახ.-ლო, 1990, გვ. 50].

ს.-ს. ორბელიანი სულიწმინდას განმარტავს 2 ეზრასა და ლუკას სახარების მიხედვით: “სულიწმიდა, სული ღვთისა, რომელი მოგვეცემის ძისა მიერ აღთქმა იგი მამისა, ხოლო წმიდა სული არს სული ანგელოზი და ყოველთა წმიდანთა სულნი”. საბა განასხვავებს აღნიშნული შესიტყვების მნიშვნელობას წყობის მიხედვით, თუ გვაქვს პოსტპოზიციური წყობა, ე.ი. სული წმიდა, იგი აღნიშნავს სამების მესამე წევრს; თუკი პრეპოზიციური წყობით გვაქვს ე. ი. წმიდა სული, იგი ნიშნავს ანგელოზს ან წმინდანს, ე.ი. ამ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს.

ქველ-ში სულიწმიდა განმარტებულია როგორც ძველი რელიგიური ტერმინი, “ქრისტიანული რელიგიის მიხედვით წმიდა სამების მესამე ელემენტი”. აქვე მოცემულია 5 სონორჩართული სულიწმინდა.

16. ფუსდ

სვანურში გვხვდება ტერმინი ფუსდ, რომელიც ს. ჯანაშიას ჩერქეზულიდან ნასესხებ სიტყვად მიაჩნია. იგი ნიშნავს “ბატონს,” “პატრონს,” გულისხმობს ღმერთსაც და ადამიანსაც. ფუსდ ისეთივე პოლისემიური მნიშვნელობისაა, როგორც ძველ ქართულში ტერმინი უფალი, ბერძნულში κυριος, ებრაულში ელოჰიმ და ადონად. ტერმინ ფუსდთან ხშირად გვხვდება ქრისტე. იგივე ტერმინი შესაძლოა კომპოზიტის შემადგენელი ნაწილიც იყოს: ფუსტალიტაბლიელ (ლენტ.) – უფლის ტაბლა – დღესასწაულის აღმნიშვნელია, ხოლო ფუსნაბუასდ – სამყაროს ბატონი.

მაგალითები:

ა) ქრისტე ფუსდ:

ქრისტე ფუსდ ქა ლეტავს ჟრვ ჯიშთხეხ ი ლეთვენის ნრსნვ ჯიწსეხ (სექ, ბზ., გვ. 56) – ქრისტე ბატონს დაბადებული ამოეწყვიტოს და დასაბადებელი არ გაეჩინოს თქვენთვის.

ბ) ფუსნაბუასდ:

მალდიან ფუსნაბუხსდიმ წერნი ქელეფენი ლეკშდნიდუ სსყი ისგვი სსუპრს! (სექ, ბზ., გვ. 55) – მადლიან სამყაროს ბატონი წითელი უხსენებლის სახრავად გაეხადოს შენი ასოები.

გ) ფუსტალიტაბლიელ:

ემზუ ღენ ხაზნახ ფაყარს... თანაფუნლო ერ ვოხვიშტ ნაგაზი ანდინე, ერქა ხედვას ფუსტალიტაბლიელს ხაყლებ... (სექ, ლენტ., გვ. 293) – ერთი დღესასწაული იციან ფაყარში აღდგომიდან ხუთი კვირის შემდეგ, რომელსაც ფუსტალიტაბლიელს ეძახიან.

ლეფუსტალიტაბლიელდ საკვებნავ საროსტა ქაჯელვე ლაჯვამს (სექ, ლენტ., გვ. 294) – ფუსტალიტაბლიელამდე საროსტა გახვეტავს სალოცავს.

თანაფულო ერე იშკვიდ ნაგაზი ადინე, ერქა შვანს ხოხალხ ფუსტალიტაბლიელ... (სექ, ლენტ., გვ. 294) – აღდგომის მერე შვიდი კვირა რომ გავა, მაშინ სვანეთში იციან ფუსტალიტაბლიელ.

კომპოზიტი ფუსტალიტაბლიელ ბალსზემოურ სვანურში გვხვდება მისი პირველი წევრის ფუსტ-ის გარეშე ამ ფორმით: ლიტბელი.

ლიტბელი ერ ჯგერაზი ნამზურუნ ლასვ, ერ ფუსდაშ, ერ თარინგზელიშ, ერ ღერთაშ, ერ იმშა ი ერ იმშა (სექ, ბზ., გვ. 11) – ლიტბელი ხან წმინდა გიორგის სალოცავი იყო, ხან – ბატონისა, ხან – მთავარანგელოზისა, ხან – ღმერთისა, ხან რისი და ხან – რისი.

ლიტბელი-ს ამოსავალი უნდა იყოს ქართული ტაბლა. ლი- – -ი აფიქსებია. ეს რომ ასეა, ჩანს ურედუქციო ლენტეხური ფორმიდან ლიტაბლიელ, რომელიც კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად გვხვდება: ფუსტალიტაბლიელ, რაც “ბატონის ტაბლაობას,” ანუ “ღმერთის ზეციურ ზეიმს” ნიშნავს.

ტერმინი ფუსდ ადამიანთან დაკავშირებით:

მახა ლღდგარვი ფუსდ ერხი ჰარაყსი ჯიდე ლღდგარი საფლავთეჟრნ ლეფანად (სექ, ბზ., გვ. 8) – ახალი მიცვალებულის პატრონს ზოგს არაყიც მოაქვს მიცვალებულის საფლავზე საკურთხად; ოთარშა ბაღენჩუნა ფუსდ ლღმარხ. ბაღენჩუნ ფუსდ დარ ხაყენახ (სექ, ბზ., გვ. 60) – ოთარანთი (დადეშქელიანები) ბალსქვემოთა ბატონები ყოფილან, ბალსზემოთ ბატონი არავინ ჰყოლიათ.

ფუსდ ვ. თოფურიას და მ. ქალდანის სვანურ ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობით არის განმარტებული: “ფუსდ ზს., ფუს ბზ., ფუს ოჟ ბზ., ლაშხ. (იმშაშ-არ||ღჟარ||-დმაღუ ბზ., -დედუ ბქ., -არ ლშხ.), ფუსტ (-არ) ლენტ. 1. მეუფე, უფალი, ღმერთი. 2. ბატონი, მფლობელი, მბრძანებელი. ჯი როქ მინე ფუსდ მამ ლი (ბზ., 436) – მე თქვენი ბატონი არა ვარო. 3. პატრონი, მესაკუთრე. ჩი ხატხეხ ფუსდედუს. – ყველაფერს უბრუნებენ პატრონებს. 4. ბატონო (მიმართვის ფორმა) ხელწიფ ფუსდ, ქათსგი ლაჯურაქა! (ბზ. 285) – ხელმწიფეც ბატონო, გაიხედე ფანჯარაში!”

ს. ჯანაშია ფუხსდს განიხილავს ჩერქ. – ფსტ. უწრც/ყ და აფხაზ. ს-ამეტა-ამბგსთა ტერმინებთან შეპირისპირებით. “მათი შედარებითი ანალიზი ადასტურებს ამ ტერმინის მატარებელი ეთნიკური კოლექტივების ისტორიული შემადგომადობის რიგს საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ რაიონებში: ჩერქეზები → სვანები → აფხაზები. დამოწმებულია სიტყვის შემდეგი ფორმები: ფუს, ფუსდ, ფუსტ, ფუსთ, ფუსნ, ფუსდა, ფუსნა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიტყვა ორ ფუძედ იშლება, რომელთაგანაც პირველი ფუხს გამოდის, მეორე – კი -დ(ა) || -ტ(ა) || -ნ(ა). ხომ არ არის იმ ჩერქეზული ფუძის ნაშთი, რომელიც “მამას” აღნიშნავს ამჟამად: ყაბ. „ადწ“? [ჯანაშია, 1957, გვ. 131-133].

დასკვნა

ტერმინ ღმერთთან დაკავშირებით ბიბლიური ტექსტების ტექსტოლოგიურმა კვლევამ საინტერესო სურათი მოგვცა. განსაკუთრებულ თავისებურებას ავლენს ლევიტელთა წიგნი, რომლის ქართული ვარიანტის AKSB რედაქციაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იხმარება ღმერთი. ლევიტელთას G რედაქციაში კი ტერმინ ღმერთის ნაცვლად გვაქვს ტერმინი უფალი. G რედაქცია ამ შემთხვევაში ტერმინოლოგიურად ემთხვევა ლევიტელთას ბერძნულ ტექსტს, რომელიც, თავის მხრივ, ებრაული ტექსტიდან უნდა იყოს თარგმნილი, სადაც ელღვას (ქართ. ღმერთს) არ ახსენებდნენ. მის ნაცვლად ხმარობდნენ ადონაი-ს. ეს ენობრივი ფაქტი საენათმეცნიერო ლიტერატურაში ევფემიზმად არის კვალიფიცირებული.

ტერმინისათვის წაყენებული ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მის მონოსემიურობას ითვალისწინებს. ქრისტიანთა ღმერთის (ღვთის) სინონიმურ ტერმინთაგან ასეთ მოდელს ინარჩუნებენ ნასესხები ლექსემები: ღესლ, ქრისტე, მესია, ემანუელ. ეს ტერმინები აღნიშნავენ “მე ღვთისას”.

ძველ ქართულში ტერმინი უფალი პოლისემიური მნიშვნელობისაა. საფიქრებელია, რომ თავიდან იგი მხოლოდ ყოფითი ტერმინი იყო, შემდეგ უნდა შეეძინა პოლისემიური მნიშვნელობა და, ბოლოს, როგორც “ღმერთის” აღმნიშვნელი ეპითეტი, მონოსემიურობისაკენ იღებს გეზს. უფალ ტერმინმა მხოლოდ რელიგიური დატვირთვა დაიტოვა.

გვაქვს ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, რომელთაც თავიდან პოლისემიური დატვირთვა ჰქონდათ და ასეთადვე დარჩნენ. ესენია: მეუფე და მამა.

ტერმინი მეუფე ძველ ქართულში უპირველესად იხმარებოდა, როგორც ყოფითი ტერმინი, ხოლო შემდეგ – როგორც საკრალური. ქეგლ-ის მიხედვით კი მეუფე უპირველესად რელიგიური ტერმინია, ხოლო შემდეგ – ყოფითი.

ტერმინი მამა საბასთან პირველ რიგში საკრალურ ტერმინადაა მიჩნეული, შემდეგ – ყოფითად, ქეგლ-ის მიხედვით კი – პირიქით.

ღმერთის აღმნიშვნელი ისეთი სახელებიც გვხვდება, რომელთაც ჯერ მონოსემიური მნიშვნელობა ჰქონდათ და შემდეგ მიიღეს პოლისემიური, ე. ი. დაირღვა მონოსტრუქტურული მოდელი. ეს ტერმინებია: შემოქმედი, დამბადებელი, სამება, მკსნელი.

ვფიქრობთ, სემანტიკური ველის რღვევა გამოიწვია უზენაესისადმი ადამიანის დამოკიდებულების შეცვლამ.

ხშირად გვხვდება უფლისადმი მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი მიმართვები: იესო ქრისტე, უფალო ღმერთო, ქრისტე მაცხოვარო... როგორც ჩანს, მოკრძალების გამო უფლის სახელი ეპითეტის გარეშე არ იხსენიებოდა. ტერმინი იესო, როგორც “მე ღვთისას” სახელი, ორიგინალურ ტექსტებში ცალკე არ იხმარება. არც მეგრულში გვხვდება იგი დამოუკიდებელ ტერმინად. მას ეპითეტად ურთავენ ტერმინ ქრისტეს: იოსე ქრისტე. მეგრულში ხმოვანთა მეტათეზისის შედეგად ტერმინ იესოსაგან ვიღებთ იოსე ფორმას. ზემოსვანურში ტერმინი იესო არ გვხვდება, ქვემოსვანურში კი იხმარება შესიტყვება იესო ქრისტე.

სვანურსა და მეგრულში უფლის ზედწოდების აღმნიშვნელი სახელები ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა სვანურში მაინც გვხვდება ერთი გამონაკლისი, რომელსაც ს. ჯანაშია ჩერქეზულ და აფხაზურ ტერმინებთან შეპირისპირებით განიხილავს. ეს არის ტერმინი ფუსდ, რომელიც ისეთივე პოლისემიური მნიშვნელობის მქონეა, როგორც ძველ ქართულშია ტერმინი უფალი, ბერძნულში – κρίσις, ებრაულში – ელოჰიმ და ადონაჲ.

თავი II

რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული საკრალური ტერმინები

საკრალური ტერმინი, როგორც ცნობილია, “რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული” (უცხო სიტყვათა ლექსიკონი) სიტყვაა. აქ მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული საკრალური ტერმინებით შემოვიფარგლეთ. ნაშრომის პირველ თავში განხილული იყო ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინები, მეორე თავში კი წარმოვადგენთ რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს.

1. დიდება

1. ქართული

სიტყვა დიდება იმ საკრალურ ლექსიკურ ერთეულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ძველ ქართულში მხოლოდ უფალთან კონტექსტში იხმარება. დიდება აქა-იქ გვხვდება ადამიანთან დაკავშირებითაც, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან დიდების მიღება, ანუ დიდებისმოყვარება გააზრებულია როგორც უარყოფითი თვისება. დიდება ძველ ქართულში კრავს ჯაჭვს შემოქმედსა და ქმნილებას შორის. შემოქმედი ადიდებას მთელ სამყაროს იმით, რომ შექმნა იგი, ადამიანი კი ადიდებას თავის შემქმნელს.

დიდება შეესატყვისება ბერძნულ δόξα-ს, ზოგ შემთხვევაში კი – Μεγάλα-ს. “სიტყვა δόξα ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში ორი უმთავრესი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: 1) თვალსაზრისი, მოსაზრება; 2) დიდება, მადლიერება, სიდიადე. საინტერესოა ტერმინ δόξα-ს მეორე მნიშვნელობა: “საეკლესიო მწერლობის უდიდეს ნაწილში δόξα მადიდებლობითი შინაარსის ტერმინად გვხვდება და მისი თელემატურ-დოქსასტური მნიშვნელობა მხოლოდ ცალკეულ საღვთისმეტყველო შრომებში იჩენს თავს, კერძოდ, იმ შრომებში, რომლებიც ეფუძნებიან ცნებით აზროვნებას, თუმცა ასეთ შრომებში δόξα-ს დამოწმებანი ხშირი არ არის” [ჭელიძე, 1996, გვ. 538].

ვნახოთ, როგორია დიდება სიტყვის კონტექსტური ხმარება. ერთმანეთთან შედარებულია ბიბლიური ტექსტების ბერძნული ვარიანტი და ქართული რედაქციები:

1. ადამიანი ადიდებს ღმერთს:

ა) დიდება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

οὐτός μου θεός, καὶ δοξάσα αὐτόν, θεὸς τοῦ πατρὸς μου, καὶ ἰψάσω αὐτόν (გამ. 15, 2).

ესე არს ღმერთი ჩუენი და ვადიდოთ ესე და ღმერთი მამისა ჩემისა და აღვამაღლოთ ესე (B).

... ἄπαν τὸ σπέρμα Ἰακωβ, δοξάσατε αὐτόν (ფსალ. 21, 24).

... ყოველი ნათესავი იაკობისი ადიდებდით მას.

ἰδόντες δὲ οἱ ὄχλοι ἐφοβήθησαν καὶ ἐδόξασαν τὸν θεὸν (მ 9, 8).

იხილა რაჲ ესე ერმან, დაუკვრდა და ადიდებდეს ღმერთსა (FG).

... και ἐδόξασαν τὸν θεὸν Ἰσραήλ (მ 15, 31).

... ადიდებდეს ღმერთსა ისრაჴლისასა (FG).

... και ἐδόξαζαν τὸν θεὸν λέγοντες ὅτι Προφήτης μέγας ἠγέρθη ἐν ἡμῖν... (ლ 7, 16).

... ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომილ არს ჩუენს შორის... (FG).

... ἀπήλθεν εἰς τὸν οἶκον αὐτοῦ δοξάζων τὸν θεόν (ლ 5, 25).

... წარვიდა სახედ თვსა და ადიდებდა ღმერთსა (FG).

ἵνα ὁμοθυμαδὸν ἐν ἐνὶ στόματι δοξάζητε τὸν θεὸν και πατέρα τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ (ჰრ. მიმ. 15, 6).

რადთა ერთბაშად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.

διὰ τῆς δοκιμῆς τῆς διακονίας ταύτης δοξαζόντες τὸν θεόν... (II კორ. მიმ 9, 13).

გამოცდილებითა მით ამის მსახურებისადათა ადიდებდით ღმერთსა...

...δοξάσωσιν τὸν θεὸν ἐν ἡμέρα ἐπισκοπῆς (I პეტ. 2, 12).

... ადიდებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა.

ბ) დიდება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

...Αὕτη ἡ ἀσθένεια οὐκ ἔστιν πρὸς θάνατον ἀλλ' ὑπὲρ τῆς δόξης τοῦ θεοῦ, ἵνα δοξασθῆ ὁ υἱὸς τοῦ θεοῦ δι' αὐτῆς (ი 11, 4).

... ესე უძლურებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რათა იდიდოს ძჳ ღმრთისაჲ მისგან (FG).

...και νῦν μεγαλυνθῆσεται Χριστὸς ἐν τῷ σώματί μου, εἴτε διὰ ζῶης εἴτε διὰ θανάτου (ფილიპ. მიმ 1, 20).

... აწცა იდიდოს ქრისტე ჳორცთა ზედა ჩემთა, გინა თუ ცხოვრებით, გინა თუ სიკუდილით.

ὅπως ἐνδοξασθῆ τὸ ὄνομα τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ ἐν ἡμῖν... (II თეს. მიმ. 1, 12).

... იდიდოს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუნ შორის...

გ) დიდება (სახელი):

ἐνέγκατε τῷ κυρίῳ δόξαν και τιμῆν (ფსალ. 28, 1).

შეწირვიდეთ უფალსა დიდებასა და პატივსა.

οὐχ ἐνρέθησαν ὑποστρέψαντες δοῦναι δόξαν τῷ θεῷ... (ლ 17, 18).

ვერ იპოვნეს ეგოდენი, რადთამცა მოიქცეს და მისცეს დიდება ღმერთსა ... (FG).

... Αὕτη ἡ ἀσθένεια οὐκ ἔστιν πρὸς θάνατον ἀλλ' ὑπὲρ τῆς δόξης τοῦ θεοῦ... (ი 11, 4).

... ესე უძლურებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებასათჳს ღმრთისა... (FG).

τῷ δὲ θεῷ και πατρὶ ἡμῶν ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων, ἀμήν (ფილიპ. მიმ. 4, 20).

ღმერთსა და მამასა ჩუენსა დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დ) დიდებაული (ვნებითი გვარის მიმღეობა):

τίς ὁμοίός σοι ἐν θεοῖς, κύριε, τίς ὁμοίός σοι, δεδοξασμένος ἐν ἁγίοις... (გამ. 15, 11).

ვინ-მე არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის უფალო? ანუ ვინ გემსგავსოს შენ, დიდებულ, წმიდასა შინა (AK, B) || ვინ მსგავს შენდა? დიდებული წმიდათა შორის? (C) || ... ვინ მსგავს შენდა? წმიდათა შორის დიდებული? (S).

ტერმინი დიდება ორიგინალური ტექსტებიდან:

ა) დიდება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით ორიგინალური ტექსტებიდან:

...მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა (შუშ. 39); წარვიდა სახიდ თვსად და ადიდებდა... ღმერთსა (გრ. ხანძთ. ცხ. 137); იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაჲ უჩუმიოდა (ვეფხ. 361); აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე (ვეფხ. 1305).

ბ) დიდება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით ორიგინალური ტექსტებიდან:

... სული წმიდაჲ იხარებნ შორის მათსა თავყანის-ცემული, და მამაჲ იდიდებინ და კაცთ-მოყუარებაჲ იგი და ქველის-მოქმედებაჲ ძისაჲ იქადაგებინ (აბო 59); იდიდოს ღმრთეებაჲ შენი... (წამ. ქეთ. 28, 20).

გ) დიდება (სახელი):

...დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვიდეს... (შუშ. 43); დიდება შენდა არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა (ვეფხ. 926).

ორიგინალურ ტექსტებში გვხვდება აგრეთვე ამ ფუძის შემცველი სხვადასხვა ნაწარმოები ფორმები:

დ) მადიდებელი (მოქმედებითი გვარის მიმღეობა):

...ესრწთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადიდებელნი (გრ. ხანძთ. ცხ. 109); ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა, კეთილად მორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი (გრ. ხანძთ. ცხ. 108).

ე) სადიდებელი (ვნებითი გვარის მიმღეობა)

რაოდენსა იქმოდა, სადიდებლად ღმრთისა აღასრულებდა (წამ. ქეთ. 13, 10); აღესრულა ჟამთა უკუანასკნელთა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ (წამ. ქეთ. 32, 25).

2. ღვთისაგან მომდინარე დიდება:

დიდება ბიბლიურ ტექსტებში:

ა) დიდება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

καὶ παραδοξάσω ἐγὼ ἐν τῷ καιρῷ ἐκείνῳ ἀνὰ μέσον τῶν κτηνῶν τῶν Αἰγυπτίων καὶ ἀνὰ μέσον τῶν κτηνῶν τῶν σὶν Ἰσραήλ... (გამ. 9, 4).

და ვადიდო მე მას ჟამსა შინა შოვრის საცხოვართა მათ ეგვპტელთაჲსა და შოვრის საცხოვართაგან ძეთა ისრაელისათაჲ არცა ერთ (OB) || და ვისაკვრველო მე შორის საცხოვართა მეგვპტელთაჲსა და შორის საცხოვართა ისრაელთაჲსა... (C).

ამ შემთხვევაში “გამოსვლათს” C რედაქციაში ვადიდო ფორმას ცვლის ვისაკვრველო.

ἐμεγάλυνεν κύριος τοῦ ποιῆσαι μεθ' ἡμῶν... (ფსალ. 125, 3).

განადიდდა უფალმან ყოფად ჩუენ თანა.

ბ) დიდება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... καὶ ἐν ὀνόματι θεοῦ ἡμῶν μεγαλυνθησόμεθα (ფსალ. 19, 6).

... სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისადათა ჩუენ განვდიდნეთ.

გ) დიდება (სახელი):

ἀπαγγείλατε οὖν τῷ πατρὶ μου πᾶσαν τὴν δόξαν μου τὴν ἐν Ἀιγύπτῳ... (შეს. 45, 13).

უთხართ უკვე მამასა ჩემსა ყოველი დიდება ჩემი ეგვპტეს შინა... (CB).

... δόξῃ καὶ τιμῇ ἐστεφάνωσας αὐτόν (ფსალ. 8, 6).

... დიდებითა და პატივითა გვრგვნოსან ჰყავ იგი.

... οὐδε Σολομών ἐν πάσῃ τῇ δόξῃ αὐτοῦ περιεβῆλετο ὡς ἔν τούτῳ (მ 6, 29).

... არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა თვისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი (FG).

αὐτῷ ἢ δόξα ἐν τῇ ἐκκλησίᾳ καὶ ἐν Χριστῷ Ἰησοῦ εἰς πάσας τὰς γενεὰς τοῦ αἰῶνος τῶν αἰῶνων, ἀμήν (ევ. მიმ. 3, 21).

დიდება ეკლესიასა შინა ქრისტე იესუმს მიერ ყოველთა ნათესავთა მიმართ საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

καὶ ὁισουσιν τὴν δόξαν καὶ τὴν τιμὴν τῶν ἔθνῶν εἰς αὐτὴν (გამოცხ. 21, 26).

მიიღონ დიდება და პატივი წარმართთა მუნ, რადთამცა შევიდეს.

დ) სადიდებელ-ი:

ἀλλὰ λαλοῦμεν θεοῦ σοφίαν ἐν μυστηρίῳ τὴν ἀποκεκρυμμένην, ἣν προώρισεν ὁ θεὸς πρὸ τῶν αἰῶνων εἰ δόξαν ἡμῶν (1 კორ. მიმ. 2, 7).

ვიტყვთ სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელი-იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა.

ტერმინი დიდება ორიგინალურ ტექსტებში:

ა) დიდება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი (შუშ. 42); ... ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა (აზო 78); ... ადიდა მეუფემან ღუაწლი იგი მოწამისა თვისისა და მოვიდა ნათელი ბრწყინვალე (წამ. ქეთ. 29, 23).

ბ) დიდება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... ძლევით-შემოსილი იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა (გრ. ხანძთ. ცხ. 109);

გ) დიდება (ვნებითი გვარის მიმღეობა):

შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დიდება ხარ (აზო 78).

3. ღმერთი თავისთავად დიდების შემცველია (დიდება საზღვრულია, ღმერთი – მართული მსაზღვრელი):

დიდება (სახელი):

καὶ πρῶς ὅψισθε τὴν δόξαν κυρίου... (გამ. 16, 7).

განთიად იხილოთ დიდება უფლისა (B)

... θαυμαστός ἐν δόξαις, ποιῶν τέρατα (გამ. 15, 11).

... საკვრველ ხარ შენ დიდებითა მით, რომელმან ჰყავ ნიშები იგი და სასწაულები (B) || ... საკვრველ დიდებათა შინა მოქმედი ნიშებისა (C).

ἐξεπλήσονται δὲ πάντες ἐπὶ τῆ μεγαλειότητι τοῦ θεοῦ... (ლ 9, 43).

განუკვრდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა... (FG).

καὶ τότε ὄψονται, τὸν υἱὸν τοῦ ἀνθρώπου ἐρχόμενον ἐν νεφέλαις μετὰ δυνάμεως πολλῆς καὶ δόξης (მრკ 13, 26).

მაშინ იხილონ ძე კაცისა, მომავალი ძალითა და დიდებითა მრავლითა (FG).

... Ὁ θεὸς τῆς δόξης ὠφθη τῷ πατρὶ ἡμῶν Ἀβραάμ... (საქ. 7, 2).

... ღმერთი დიდებისა ეჩუენა აბრაჰამს...

... προσδεχόμενοι τὴν μακαρίαν ἐλπίδα καὶ ἐπιφάνειαν τῆς δόξης τοῦ μεγάλου θεοῦ καὶ σωτῆρος ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ (ტიტ. მიმ. 2, 13).

... მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა ღიღისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.

... μὴ ἀγάσαι τὸν φητισμὸν τοῦ εὐαγγελίου τῆς δόξης τοῦ Χριστοῦ... (II კორ. მიმ. 4, 4).

... არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი...

4) მამა ღმერთი ადიდებს ძე ღვთისას, ხოლო ძე ღვთისა – მამა ღმერთს.

ა) დიდება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

καὶ νῦν δόξασόν με σὺ πάτερ, παρὰ σεαυτῶ τῆ δόξη ἣ εἶχον πρὸ τοῦ τὸν κόσμον εἶναι παρὰ σαί (ი 17, 5).

და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა მე წინაშე შენსა უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას (FG).

τοῦτο δὲ εἶπεν σημαίνων ποίω θανάτῳ δοξάσει τὸν θεὸν (ი 21, 19).

ესე თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს უფალი... (FG).

ἐγὼ σε ἐδόξασα ἐπὶ τῆς γῆς τὸ ἔργον τελειώσας ὃ δέδοκάς μοι ἵνα ποιήσω (ი 17, 4).

მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე ადვასრულე, რომელი მომეც მე, რაფთა ვყო (FG).

πάτερ, δόξασόν σου τὸ ὄνομα. ἦλθεν οὖν φωνὴ ἐκ τοῦ οὐρανοῦ: Καὶ ἐδόξασα καὶ πάλιν δοξάσω (ი 12, 28).

მამაო, ადიდე სახელი შენი, მოიწია მისა ჳმა ზეცით, გადიდე შენ და კუალად გადიდო (FG).

... Πάτερ, ἐλήλυθεν ἡ ᾠρα δόξασόν σου τὸν υἱόν, ἵνα ὁ υἱὸς δοξάσῃ σέ (ი 17, 1).

... მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენ, რაფთა ძემანცა გადიდოს შენ (FG).

ბ) დიდება (სახელი):

καγὼ τὴν δόξαν ἣν δέδοκάς μοι δέδωκα αὐτοῖς, ἵνα ᾧσιν ἐν καθὼς ἡμεῖς ἐν (ი 17, 22).

დიდება, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რადთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ (FG).

καὶ νῦν δόξασόν με σύ, πάτερ, παρὰ σεαυτῶ τῆ δόξῃ ἣ εἶχον πρὸ τοῦ τὸν κόσμον εἶναι παρὰ σαί (ი 17, 5).

და აწ მადიდე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებათა მით, რომელი მაქუნდა მე წინაშე შენსა უწინარეს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას (FG).

სიტყვა დიდების ხმარება ადამიანთან კონტექსტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყოფითად არის შეფასებული, რადგანაც “დიდების მოყვარება” ცოდვას. მაგალითები:

ა) დიდება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

‘Όταν οὖν ποιῆς ἐλεημασύνην, μὴ σαλπίζης ἔμπροσθέν σου, ὥσπερ οἱ ὑποκριταὶ ποιοῦσιν ἐν τοῖς συναγωγαῖς καὶ ἐν ταῖς ῥύμαις, ὅπως δοξασθῶσιν ὑπὸ τῶν ἀνθρώπων... (მ 6, 2).

ხოლო რაჟამს იქმოდო ქველის-საქმესა შენსა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რადთა იდიდნენ კაცთაგნ (FG).

ბ) დიდება (სახელი):

ὁ ἀφ’ ἑαυτοῦ λαλῶν τὴν δόξαν τὴν ἰδίαν ζητεῖ ὁ δὲ ζητῶν τὴν δόξαν τοῦ πέμψαντος αὐτὸν οὐκ ἄλλοις ἐστὶν καὶ ἀδικία ἐν αὐτῷ οὐκ ἔστιν (ი 7, 18).

რამეთუ რომელი თავით თვისით იტყვან, დიდებასა თავისა თვისისასა ეძიებენ, ხოლო რომელი ეძიებენ დიდებასა მომავლინებელისა თვისისასა, იგი ჭემმარიტ არს და სიცრუე არა არს მის თანა (FG).

ἠγάπησαν γὰρ τὴν δόξαν τῶν ἀνθρώπων μάλλον ἢπερ τὴν δόξαν τοῦ θεοῦ (ი 12, 43).

შეიყუარეს დიდება კაცთა უფროდს, ვიდრე დიდებად ღმრთისად (FG).

οὔτε ζητοῦντες ἐξ ἀνθρώπων δόξαν οὔτε ἀφ’ ἑμῶν οὔτε ἀπ’ ἄλλων (1 თეს. მიმ. 2, 6).

არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან.

დიდება ფშაურ დიალექტსა და სვანურში

დიდება ფშაურ დიალექტსა და უმწერლობო სვანურშიც იმავე საკრალური დანიშნულებით იხმარება, როგორც სალიტერატურო ქართულში. მოგვყავს ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი “ფშაველი ხევსბრის დიდებიდან”: “ღმერთო! დიდების მეტი და მადლობის მეტი შენ არა მოგეხსენების... დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზს, დიდება შენთვის, თამარს დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს! თქვენ გადიდოსთ ღმერთმა... ” (გვ. 113).

სვანური:

დიდება ქართულის გზით სვანურშიც დამკვიდრდა. საილუსტრაციო მასალა:

რ, დიდება ღმერთს, დიდაბგნქა მნმგვემ იმდი, დიდაბუ აჯკედა ელ ლენჯარაშს (სექ, ბზ., გვ. 7) – ო, დიდება ღმერთს, დიდების გარდა არაფერი იკადრება,

დიდება მოგივიდეს ელ ლენჯერის; ...დიდაბი ლეკედ ხომამ ღერბათ ი ქრისდე მაცხვარს გუნ ხალტენახ (სექ, ბზ., გვ. 91) – დიდება მისასვლელ დიდ ღმერთს და ქრისტე მაცხოვარს ძალიან ჰყვარებიათ; ...დიდაბი ლეკედ ჯგერწგს ლახონავა ქრისდე... (სექ, ბზ., გვ. 91) – დიდება მისასვლელ წმინდა გიორგის დასიზმრებია ქრისტე; ...დიდაბი ლეკედ ქა ლახნგან მუხვირთე (სექ, ბზ., გვ. 90) – დიდება მისასვლელი კუთხეში მიმდგარა; ...სერ დიდაბი ლეკედ ხომამ ღერბათ ოთჟინდა მგრეს (სექ, ბზ., გვ. 90) – დიდება მისასვლელ დიდ ღმერთს, ალბათ, შეეცოდა.

ფშაური დიალექტიდან და სვანურიდან მოყვანილმა მასალამ გვიჩვენა, რომ დიდება მხოლოდ ღმერთთან დაკავშირებით კი არ იხმარება, ეს ტერმინი წმინდანების მიმართაც გამოიყენება.

სვანებს ეკლესიის მინაშენისათვის დაურქმევიათ ლა-დბ-წმ. ლა- – -წმ დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსებია. დბ ძირისთვის ამოსავალი უნდა იყოს დიდება, რომელიც სვანურში გვაძლევს ხმოვანმოკვეცილ დიდაბ-ს, ხმოვნის დაკარგვა კი კვალს ტოვებს უმლაუტის სახით, “ე+ა პოზიციისეული ა ხმოვანი წინამავალ ე-ს იმსგავსებს და ა-დ აქცევს. ამის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაცია არის ნასესხები მასალა” [ქალდანი, 1961, გვ. 25-26].

ლენტ. ზ. ს. ქართ.

დიდაბ < დიდაბ < დიდება

განცხდაბ < განცხდაბ < განცხადება

ლა-დბ-წმ სიტყვის აღდგენილი ფორმა იქნება *ლა-დიდაბ-წმ, მაგრამ სვანური ენის ბუნება ვერ იგუებს ბგერათა ასეთ წყობას: CVCVCVCVC. ამიტომ, როგორც ჩანს, მოხდა რედუქცია და მივიღეთ *ლა-დდაბ-წმ. ისევ ბგერათა არაბუნებრივი წყობის, კერძოდ, დენტალური თანხმოვნების დდ თავმოყრის გამო ერთ-ერთი იკარგება, რის შედეგადაც მივიღეთ *ლა-დაბ-წმ. კვლავ მეორდება სიტყვის პირვანდელი კონსტრუქცია ერთი მარცვლის გამოკლებით. ამიტომ ენა ისევ რედუქციას მიმართავს და სიტყვა იღებს საბოლოო ფორმას: ლა-დბ-წმ. სვანური ლა- პრეფიქსი ქართული სა- პრეფიქსის ბადალია, -წმ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. *ლა-დიდაბ-წმ ფორმის ქართული შესატყვისია სადიდებლისა, რომელიც აღნიშნავს იმ ადგილს, საიდანაც ადიდებდნენ უფალს. სვანურში არსებობს გამოთქმა “ლადბწმითე ესხერი” – ქართ. “სადიდებლად მივდივარ”. სვანურში იხმარება აგრეთვე “ლიდაბწმი”, რაც უშუალოდ დიდების პროცესზე მიუთითებს.

საილუსტრაციო მასალა:

ჰელიმ ლადან ზურნან ღერბ ლადბწმითე ჯვიდი თარინგზელთე: ამეჩუნ ჟი იდბწმი (სექ, ბზ., გვ. 39) – სულთმოფენობის დღეს ქალები მიდიან სადიდებლად ჯვიდის მთავარანგელოზის ეკლესიაში. აქ ადიდებდნენ; ეჩხავ ზურალან ლადბწმითე ღვრდახ... (სექ, ბზ., გვ. 21) – იქ ქალები სადიდებლად მიდიოდნენ...

ს.-ს. ორბელიანი თავის “სიტყვის კონაში” სიტყვა დიდებას ასე განმარტავს: “დიდება არს ღმრთისა ყოველთა სიწმიდეთა და სახიერებათა და ქველის მოქმედებათა მისთა მადლობით ვსენება, ხოლო კაცთა ზედა დიდება – წყალობისა და სიმდიდრისა და მღევანობისა მიცემა”.

ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონი” დიდებას განმარტავს, როგორც: “პატივისცემა, განდიდება, ქება, აღმატება, კურთხევა, ქება, ოსანა”.

ახალ ქართულში დიდება მიემართება აგრეთვე ადამიანს ადამიანისაგან. ქეგლ-ის ერთტომეულში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: “1) სახელი ადიდებს ზმნის მოქმედებისა. 2) პატივი, ღირსება, შემახილი იმისადმი, ვისი სახელიც საყოველთაოდაა აღიარებული და ცნობილი, ვისი (რისი) ღრმა სიყვარული და დიდი პატივისცემა აქვთ”. აქვე მოყვანილია ფრაზა “არაფრის დიდებით”, რომელიც ნიშნავს: “არაფრის გულისთვის”, “არავითარ შემთხვევაში”, რაც ძველ ქართულში არა გვაქვს.

დიდება ფორმისაგან მივიღეთ დიდებ-ულ-ი, ე.ი. ის, ვინც უკვე იდიდა. -ულ სუფიქსი ნამყო დროის მიმღობის მაწარმოებელია [შანიძე, 1980, გვ. 573]. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ადიდებს ზმნა მყოფადის მწკრივს ვერ აწარმოებს. ადიდებს და განადიდებს – ზმნისწინიანი ფორმაც და უზმნისწინოც – ერთ დროს, აწმყოს გამოხატავს, გაადიდებს ფორმა კი პრაქტიკულად უკვე სხვა ზმნაა [ჭუმბურიძე, 1986, გვ. 92].

ამრიგად, მოცემული მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდება სიტყვამ განიცადა სემანტიკური ცვლილება. ხდება ამ საკრალური ლექსიკური ერთეულის დესაკრალიზაცია. საბჭოურ ხანაში დიდება უსინონიმდება ფორმულებს: გაუმარჯოს, ვაშა (შდრ.: დიდება პარტიას || ვაშა პარტიას || გაუმარჯოს პარტიას). თავს იჩენს ფსევდომიმართვები, რაც გარკვეულ ცვლილებას იწვევს სინტაქსურ კონსტრუქციებში: დიდების ადრესატი მიცემითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს. ადრესატია არა მარტო ადამიანი, არამედ აბსტრაქტული სახელიც. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმართვასთან კი არა, არამედ ფსევდოპირებთან ან ფსევდოჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე, რაც იწვევს ზემოთ განმარტებული ლექსიკური ერთეულის სემანტიკურ პოლისემიას.

2. ქ ე ბ ა

ალ. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონის” მიხედვით, ტერმინ ქების სინონიმებია: დიდება, დიდების აღვლენა, ქება-დიდება (მასზე ბევრი ქება-დიდება მსმენია), გუნდრუკის კმევა, ხოტბა, ოდა, საარი, (ქების) შესხმა, განდიდება, ცამდე აყვანა, (ცამდე) აწევა, მკობა, შემკობა, მოძვ. აზმა (“მეორე სახელი არს და ქებადაც ითქმის” – საბა). რელიგ. ოსანა მაღალთა შინა! დაუჯერებელი (მავედრებელი შესხმა).

ბიბლიურ ტექსტებში ქების ობიექტია უფალოდ, ხოლო აგიოგრაფიულ ძეგლებში – წმინდანებიც. საერო ლიტერატურაში ქების ობიექტი უფალოდ ერთად შესაძლებელია ადამიანიც იყოს.

ს.-ს. ორბელიანი ქებას შემდეგნაირად განმარტავს: “ქება – შესხმა, დიდება, გინა კეთილთა მისთა წარმოთქმა, გინა მადლობა, გინა მოთხრობა ქვეყნის მოქმედებისა მისისა (II კორ. მიმ. 6, 8).

ქების ილ. აბულაძისეული განმარტება ასეთია: “ქება-კურთხევა, შესხმა”.

ზ. სარჯველაძე “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ქების შემცველ კომპოზიციას – ქებისმეტყუელს განმარტავს როგორც მეხოტბეს: “საღმრთოდ ქებისმეტყუელად განიჩინებოდა” (A=684 22r, 10-11).

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა ბიბლიური ტექსტებიდან ბერძნული შესატყვისებითურთ:

1) ადამიანი აქებს ღმერთს

ა) ქების ზმნური ფორმა:

Αἶνει, ἡ ψυχὴ μου, τὸν κύριον (ფსალ. 145, 1).

აქებს სული ჩემი უფალსა.

... καὶ πας ὁ λαὸς ἰδὼν ἔδωκεν αἶνον τῷ θεῷ (ლ 18, 43).

... და ყოველმან მან ერმან ვითარცა იხილეს, აქებდეს ღმერთსა (FG).

Λαλοῦντες ἑαυτοῖς [ἐν] ψαλμοῖς καὶ ὕμνοις καὶ ᾠδαῖς πνευματικαῖς, ᾄδοντες, καὶ ψάλλοντες τῇ καρδίᾳ ὑμῶν τῷ κυρίῳ (ეფ. მიმ. 5, 19).

... ეტყოდეთ თავთა თვსთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა უფალსა.

... καὶ εἶδεν πᾶς ὁ λαὸς αὐτὸν περιπατοῦντα καὶ αἰνοῦντα τὸν θεόν (საქ. 3, 9).

იხილა იგი ყოველმან ერმან, ვიდოდა რაჲ და აქებდა ღმერთსა.

... Αἰνεῖτε, πάντα τὰ ἔθνη, τὸν κύριον καὶ ἐπαινεσάτωσαν αὐτὸν πάντες οἱ λαοί (ჰრ. მიმ. 15, 11).

... უგალობდით უფალსა ყოველი თესლები და აქებდით მას ყოველი ერი.

... Αἰνεῖτε τῷ θεῷ ἡμῶν... (გამოცხ. 19, 5).

... აქებდით ღმერთსა ჩუენსა.

ბ) ქება(დ) (სახელი):

... αἰνῶν ἐπικαλέσομαι κύριον καὶ ἐκ τῶν ἐχθρῶν μου σωθήσομαι (ფსალ. 17, 4).

ქებით ვხადო უფალსა და მტერთა ჩემთაგან განვერე.

... ἦρξαντο ἅπαν τὸ πλῆθος τῶν μαθητῶν χαίροντες αἰνεῖν τὸν θεὸν φωνῇ μεγάλῃ (ლ 19, 37).

... იწყო ყოველმან სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ჳმითა დიდითა... (FG).

δι' αὐτοῦ [οἱ] ἀναφέρωμεν θυσίαν αἰνέσεως διὰ παντὸς τῷ θεῷ... (ებრ. მიმ. 13, 15).

ამისთვის შევსწირავთ მსხუერპლსა ქებისასა მარადის ღმრთისა...

გ) სა-ქებ-ელ-ი (ვნებითი გვარის მიმღეობა):

εἰς ἔπαινον δόξης τῆς χάριτος αὐτοῦ... (ეფ. მიმ. 1, 6).

[გვჩინნა] საქებულად დიდებისა მადლისა მისისა...

2) ღმერთი აქებს ადამიანს

ა) ქების ზმნური ფორმა:

ἐν τῷ θεῷ ἐπαινέσω τοὺς λόγους μου... (ფსალ. 55, 5).

ღმრთისა მიერ ვაქნე სიტყუანი ჩემნი.

ბ) ქება(დ) (სახელი):

... Ἀγαλλιᾶσθε, δίκαιοι, ἐν τῷ κυρίῳ, τοῖς εὐθέσι πρέπει αἰνεῖσθε (ფსალ. 32, 1).

... იხარებდით მართალნი უფლისა მიერ და წრფელთა შუენის ქებად.

... οὐκ ἔστιν ἔπαινος οὐκ ἐξ ἀνθρώπων ἀλλ' ἐκ τοῦ θεοῦ (ჰრ. მიმ. 2, 29).

... ქებად არა არს კაცთაგან, არამედ ღმრთისაგან.

3) “ველმწიფებისაგან” მომდინარე ქება:

... θέλεις δὲ μὴ φοβείσθαι τὴν ἐξουσίαν τὸ ἀγαθὸν ποίει, καὶ ἕξεις ἔπαινον ἐξ αὐτῆς (ჰრ. მიმ. 13, 3).

... გნებავს თუ რაფთა არა გემინოდეს ველმწიფებისაგან? კეთილს იქმოდე და მოილო ქებად მისაგან.

4) ადამიანი იქებს საკუთარ თავს (ისევე როგორც იდიდებს საკუთარ თავს). ქება ამ შემთხვევაში უარყოფითი სემანტიკური ველის მქონე სიტყვაა:

... καὶ τότε εἰς εαυτὸν μόνον τὸ καυχῆμα ἔξει καὶ οὐκ εἰς τὸν ἕτερον (გალ. მიმ. 6, 4).

... მაშინ თავისა თვისისა ხოლო ქებად აქუნდეს, და არა მოყუსისა მიმართ.

მაშასადამე, ბიბლიურ ტექსტებში ქების ბერძნული შესატყვისებია: αἰνέω, ἑπ-აინέω, ψάλλω. ერთადერთ შემთხვევაში მას ცვლის καυχάομαι. ქების ბერძნულ შესატყვისთა ვაისმანისეული განმარტებებია: αἰνέω- хвалить, одобрять, допускать, позволять; ἑπ-აინέω - хвалить, одобрять; ψάλλω - Н.З. славить, τιμι кого-л. τῷ κυρίῳ; καυχάομαι - хвалиться, хвастаться, 2. Н.З. хвалить.

საილუსტრაციო მასალა ორიგინალური ტექსტებიდან:

1. ადამიანი აქებს ღმერთს

ა) ქება(დ) (სახელი):

განცხადებად ღმრთისა სიტყუათად განმანათლებელ არს და გონიერ ჰყოფს ჩჩვლთა, რომელთა მიერ დაემტკიცოს ქებად ქრისტესი (გრ. ხანძთ. ცხ. 116).

ბ) სა-ქებ-ელ-ი (მიმღეობა):

... განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა შუმანიკისი სადიდებულად და საქებულად ღმრთისა... (შუმ. 46-47).

... არ-საქებელი სმენითა... (ვეფხ. 926).

გ) ქება ზმნური ფორმით:

გაქლ, ვით გაქლ, რა გაქლ, არ-საქებელი სმენითა,

დიდება შენთა არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა (ვეფხ. 926).

2. ღმერთი აქებს ადამიანს

ა) ქება (სახელი):

...უფროდს გონებისა ჩემისა ადმალდა ქება სათნობათა შენთა (აბო 77).

ბ) ქებ-ულ-ი (ვნებითი გვარის მიმღობა):

... ყოვლად-ქებულ ქრისტეს მოწამეო (აბო 77).

3. ადამიანი აქებს წმინდანს

ა) ქება ზმნური ფორმით:

აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ... (აბო 77); ... განმარტებულითა ენითა ვაქებდით კეთილად-მოღუაწებასა მისსა... (აბო 77); ... აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა... (გრ. ხანძთ. ცხ. 198); ... გაკსენებდა და დიდად ხოლო გაქებდა (გრ. ხანძთ. ცხ. 143).

ბ) ქება (სახელი):

ქება სანატრელისა წმიდისა ჰაზოფსი (აბო 56).

... მნებავს ქებად შენდა... (აბო 77).

გ) სა-ქებ-ელ-ი (ვნებითი გვარის მიმღობა):

აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? (აბო 77).

4. ადამიანი აქებს მეფეს

ქება (სახელი):

დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა (ვეფხ. 47).

როგორც ვხედავთ, ქება, შესწავლილი მასალის მიხედვით, ეძღვნება ღმერთს, წმინდანს, მეფეს, ღვთისაგან – თავის ყველაზე სრულქმნილ ქმნილებას ადამიანს.

ქება მეგრულსა და სვანურში

ქების მეგრული შესატყვისია – ცქუაფა, სვანური – ლიფგმჭდი. მაგრამ ამ ტერმინთა სემანტიკა მხოლოდ ყოფითი მნიშვნელობით შემოიფარგლება.

მოგვყავს ქების განმარტება ქეგლ-ის რვატომეულის მიხედვით საილუსტრაციო მასალითურთ: “ქება – 1. სახელი აქებს ზმნის მოქმედებისა, ვისიმე ან რისიმე მოწოდებით მოხსენიება, ხოტბის შესხმა. “თავის ქება კიტრად არ ღირსო” (ანდაზა). “ქებას ნახვა სჯობიაო” (ანდაზა). “დაძრახვით ნურვინ დამძრახავს, სმენაც არ მიყვარს ქებისა” (ვაჟა). “ამისთანა სიტყვას წუნისა იქნება თუ ქებისა, ვერც ვერავინ ითაკილებს, ვერც ვერავინ იწყენს” (ილია); 2) ძველი სახოტბო ლექსი, ოდა, ხოტბა. ჩახრუხამემ ლექსად შეთხზა ქება თამარისა წინათ უხმარებელი ლექს-წყობილებით (ი. გოგებაშვილი)”.

ქება-დიდება – სახელი აქებ-ადიდებს ზმნის მოქმედებისა.

ქება და დიდება – დიდი ქების შესხმა, მეტისმეტი შექება. “არც სახელი მინდა, არც ქება-დიდება” (ვაჟა). იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავდაბალი ვაჟა იყო (დ. კლდ.).

ქებათა-ქება – დიდი ქება. ქებათა-ქებას შევასხამთ ყოველ კუთხეს და მხარესა (შ. მღვიმელი).

ქეგლ-ში დამოწმებულ საილუსტრაციო მასალაში ქების ობიექტად მხოლოდ ადამიანი იგულისხმება. უფლის მიმართ ეს ტერმინი არ დასტურდება.

3. გ ა ლ ო ბ ა

გალობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის მითითებული, უძველესი წარმოშობის სიტყვა ჩანს. “იგი იხმარებოდა ძველ ქართულ ენაში საზოგადოდ სიმღერა-გალობის, ადამიანის ხელოვნებისმიერი კმაცემის აღმნიშვნელად” [კვირიკაშვილი, 1979, გვ. 85].

რაც შეეხება ტერმინ სიმღერას, დღევანდელი მნიშვნელობით იგი გვიან ჩამოყალიბებული ჩანს. ძველ ქართულში სიმღერას, შექცევას, თამაშს, ხტომას, ცეკვას, ლალობას ნიშნავდა. სიმღერას სვანურში შე-ესატყვისება ლიღრჭლ. ქვემო სვანურის დიალექტებში იგი თამაშის მნიშვნელობითაა გააზრებული (ისევე, როგორც ძველ ქართულში). ჩანს, გალობა საკრალური მნიშვნელობის მქონე ტერმინად ჩამოყალიბდა. ამიტომ ენამ “ადამიანის ხელოვნების მიერ კმაცემის აღმნიშვნელად” სიტყვა სიმღერა შეარჩია. საკრალური ტერმინი გაემიჯნა ყოფითს.

არსებობს ტერმინ “გალობის” ეტიმოლოგიური ანალიზი სემანტიკური პარალელების გათვალისწინებით. “რიგვედას” ენაში პოეტურ მეტყველებას ქლოვად სახავენ. ბერძნულში გალობის აღმნიშვნელი ტერმინის ძირი ქლოვას უკავშირდება. ე.ი. “ქსოვის”, “კერვის”, “წვნის” მეტაფორული გააზრების გზით მივდივართ “გალობამდე”. იქსოვება, იკერება, იწვნება საგალობელი, სიტყვა უპირატესად ბრძენისა, პოეტისა” [კვირიკაშვილი, 1979, გვ. 88].

ქართული გალობისათვის ამოსავლად მიჩნეულია გალა. ეს აზრი ეყრდნობა ლექსიკოგრაფიულ წყაროებს: ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, გალა არის “მხალი დაწნული გასაჯმობად”. ქეგლ-ის მიხედვით – “გალა (გალისა) – გასაშრობად და შესანახად დაწნული ბოსტნეული ან ხილეული (უმთავრესად ხახვი, ნიორი, ღოღო და მისთ.)”

მკვლევარი ასკვნის, რომ “სიტყვის ან საგალობელის წნვა “გალობას” მაშინ უნდა გამოეხატა, როდესაც პოეტური ქმნილება და გალობის მოქმედთა ხელოვნება არ იყო მკვეთრად გამიჯნული სხვა ოსტატთა საქმისაგან” [კვირიკაშვილი, 1979, გვ. 90].

აკ. შანიძემ გალობა თავისებურ ზმნად მიიჩნია. იგი “გარდაუვალია, ერთპირიანი, მაგრამ იხმარება გარდამავლადაც, ორი პირის გაგებით: ვგალობ. საერთო წესის თანახმად, მყოფადში მოსალოდნელი იყო “ვიგალებ” (შდრ. ვხუმრობ – ვიხუმრებ, ვცელქობ – ვიცელქებ და სხვ.) მაგრამ თემის ნიშანი -ობ შენახულია იმავე ფუძისგან ნაწარმოებ ზმნაში: “ვიგალობებ” [შანიძე, 1980, გვ. 534].

გალობის ილ. აბულაძისეული განმარტება ასეთია: “გალობა – ფსალმუნება, მაქებლობა, მღერა, კურთხევა, მხიარულება”.

ეფრემ მცირე ტერმინ გალობას ასე განმარტავს: “გალობა არს თვისისაებრ უკუე სიტყვსა ჳმად რამე ყოვლისა ჳმისა მიერ ჳმა ტკბილობით თქმული და ყოვლითავე ორღანოთა მუსიკებრითა და იხილვების დამწყებელად ამისა და საღმრთოდ ოდენ მოსე... გალობა არს ხედვად გონებისად წულილადი და ღვთის მეტყუელებად უცთომელი და მართალი, რომელნი ესე იყვნენ სულთა შინა მართალთასა და იწურთებოდინ მათ მიერ და აღიწევინ სსმენელად უფლისა (მოს. გალ. 1)” [დობორჯგინიძე, 1998, გვ. 91].

ტერმინ გალობის ს.-ს. ორბელიანისეული განმარტება: გალობა არს თვისისაებრ უკვე სიტყვისა ჳმა რამე ყოვლისავ ჳმისა მიერ ჳმატკბილობით თქმული და ყოველივე ორღანოთა მუსიკებრითა მადლობა. გალობა არს რაოდენი რა ხედვისა მადლისა ღმრთის(ა) მეტყველებითისა მქონებელ იყოს. გალობა არს ჳმად ავაჯიანი შეწყობით აღტვეებული თვინიერ ჳმაცემისა რომლისავე ორღანოსა; გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთის მეტყველება, რომლისა თვით თავით თვისით იწვრთიდეს შეწირვასა ღმრთისასა სულისა სრულისა ვისიმე გალობა არს თვისისაებრ უკვე სიტყვისა ჳმა, რამე ყოვლისავე ჳმისა მიერ ჳმატკბილობით თქმული და ყოველივე ორღანოთა მუსიკებრივ მადლობა” [საბა, 1966].

ამ განმარტებებისა და საილუსტრაციო მასალის მიხედვით, რომელსაც ქვემოთ ვიმოწმებთ, გალობა უმთავრესად უფალს მიემართება.

საილუსტრაციო მასალა ბიბლიური ტექსტებიდან, შესაბამისი ბერძნული ტექსტის დართვით:

1) გალობა ზმნური ფორმით:

... Τότε ἤσεν Μωσῆς καὶ οἱ υἱοὶ Ἰσραὴλ τὴν ᾠδὴν τοῦτην τῷ θεῷ καὶ εἶπαν... (გამ. 14, 32).

... უგალობდეს უფალსა მოსე და ძენი ისრაელისანი. გალობასა ამას იტყოდეს... (B) ||

... გალობდეს მოსე და ერნი ისრაელისანი გალობასა ამას... (AK) || ... მაშინ იგალობა მოსე და ძეთა ისრაელისათა გალობა ესე ღმრთისა მიმართ... (S).

... Ἕμμεν τῷ κυρίῳ, ἐνδόξως γὰρ δεδόξασται (გამ. 15, 21).

... უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს (B).

... προσεσχόμενοι ὑμῖν τὸν θεόν... (საქ. 16, 25).

... ილოცვიდეს და უგალობდეს ღმერთსა...

Κατοπαθεῖ τις ἐν ὑμῖν, προσεσχέσθω εἰς ὑμῖν τις ψαλλέτω (იაკ. 5, 13).

უჭირდეს თუ ვისმე თქუენგანსა, ილოცვიდინ, მოლხინე თუ ვინმე არს, გალობდინ.

... προσεύξομαι τῷ πνεύματι, προσεύξομαι δὲ καὶ τῷ νοί ψαλῶ τῷ πνεύματι, ψαλῶ δὲ καὶ τῷ νοί (I კორ. მიმ. 14, 15).

... ვილოცვიდე თუ სულითა, ვილოცვიდე გონებითაცა, ვგალობდე თუ სულითა, ვგალობდე გონებითაცა.

... ἐν [τῇ] χάριτι ᾄδοντες ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν τῷ θεῷ (კოლ. მიმ. 3, 16).

მადლითურთ უგალობდით გულთა შინა თქუენტა უფალსა.
 και ᾄδουσιν [ᾠδῆς] ᾠδὴν καινήν ἐς ἄπαιον τοῦ θρόνου... (გამოცხ. 14, 3).
 და გალობდეს გალობასა ახალსა წინაშე საყდრისა...

2) გალობა (სახელი):

...Τότε ἦσεν Μωσῆς και οἱ υἱοὶ Ἰσραηλ τὴν ᾠδὴν τούτην τῷ θεῷ και εἶπαν...(გამ. 14, 32).
 ... უგალობდეს უფალსა მოსე და ძენი ისრაელისანი. გალობასა ამას იტყოდეს... (B) ||
 ... გალობდეს მოსე და ერნი ისრაელისანი გალობასა ამას... (AK) || ... მაშინ იგალობა
 მოსე და ძეთა ისრაელისათა გალობა ესე ღმრთისა მიმართ...

Και ἔγραψεν Μωσῆς τὴν ᾠδὴν ταύτην... (მეორ. სჯ. 32, 44).

დაწერა მოსე გალობა ესე მას დღესა შინა... (BDES).

Και ὑμνήσαντες ἐξῆλθον εἰς τὸ ὄρος τῶν Ἐλαιῶν (მ 26, 30).

გალობად წართქუეს და განვიდეს იგინი მთასა მას ზეთისხილთასა (FG).

... διδάσκοντες και νουθετοῦντες ἑαυτοὺς, ψαλμοῖς ὑμνοῖς ᾠδαῖς πνευματικαῖς (კოლ. მიმ. 3, 16).

... ასწავებდით და ჰმობღურიდით თავთა თქუენტა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა...

και ᾄδουσιν τὴν ᾠδὴν Μωυσέως τοῦ δοῦλου τοῦ θεοῦ και τὴν ᾠδὴν τοῦ ἀριού... (გამოცხ. 15, 3).

და გალობენ გალობასა მოსეს, მონისა ღმრთისა და გალობასა მას კრავისასა...

როგორც ვნახეთ, გალობის ბერძნული შესატყვისებია: ᾠδή-из ἀοιδίη, песнь, ос. лирическое стихотворение; ὑμνος - гимн, песня хвалебная, в честь богов, героев и победителей და ψάλλω - славить, τιμῶ кого-л. το κυριῶ.

ეს უკანასკნელი ტერმინ ქების შესატყვისადაც შეგვხვდა ბერძნულში.

მაგალითები ორიგინალური ტექსტებიდან:

1) გალობა ზმნური ფორმით:

ღირსებასა თანა და სიყუარულითა ღმრთისადათა გალობედ მეცნიერებით მარადის ლოცვისა შეწირვითა (გრ. ხანძთ. ცხ. 99).

2) გალობა (სახელი):

...ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით (შუმ. 35).

3) საგალობელი (ვნებითი გვარის მიმღეობა):

... საგალობელად მუჯლისა მის თქვს შემდგომად სიტუად იგი ნეტარისა მის ავაზაკისა (აბო 73); ... ქებით საგალობელსა და დღესასწაულსა შუენიერსა შეუმზადებთ კეთილად მძლესა და ყოვლად სანატრელსა დედოფალსა (წამ. ქეთ. 6,5).

ქეგლ-ის რვატომეულში ტერმინი გალობა განმარტებულია ამ სიტყვის დღევანდელი და ძველ ქართულში არსებული გააზრების მიხედვით: “გალობა – 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება (ადამიანის) ხმით, სიმღერა, მღერა. გაჩნდა

ლილინი, გალობა, სიმღერა კრიმანჭულითა (აკაკი). ქალიშვილების... სიცილ-კისკისი, ჩანგურის დაკვრა და გალობა აცოცხლებდა... მიდამოს (ე. ნინოშვილი) || ფიგურ. სხვა რამეს ეძებს ეს ჩემი ქნარი, სხვა ხანი უნდა ჩემსა გალობას (აკაკი) || გადატ. ჭიკჭიკი, სტვენა (ფრინველთა). ბულბულისათვის გალობა დაუწუნია რომელსა? (ვაჟა); 2. ძვ. ხმით შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები რელიგიური ხასიათისა, – საეკლესიო სიმღერა, საგალობელი. მღვდელი და დიაკვანი გალობით გაუძღვნენ მიცვალებულს (ვაჟა)”. აქვე გვხვდება “გალობანი” – ძვ. ცხრა გალობისაგან შედგენილი კანონი საეკლესიო ჰიმნებისა”.

ზემოთ განხილული “დიდება” და “ქება” ტერმინებით ადამიანი აქებდა და ადიდებდა ღმერთს და თავად უფალიც ადიდებდა და აქებდა ადამიანს. გალობა კი მხოლოდ ღვთისთვის განკუთვნილი “მსხვერპლშეწირვა” იყო. ენა მას საკრალურ ტერმინად იყენებდა. თანამედროვე ქართულში კი გალობა პოლისემიური გახდა.

4 . კ უ რ თ ხ ე ვ ა

I) ქართული

ტერმინ კურთხევისათვის ამოსავალი უნდა იყოს ფორმა კურთხი. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი აღნიშნავენ: “ისეთი შემთხვევების ანალიზი, რომელთა ერთსა და იმავე მორფემაში “ურედუქციო” და “ნარედუქციალ” ფორმათა მონაცვლეობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და რომელთა ეტიმოლოგიური კავშირები უკვე დიდი ხნიდან არის გაწყვეტილი, გვაფიქრებინებს, რომ უ-სა და უ-ს მიმართება ქართული ენის განვითარების უძველეს პერიოდში არ უნდა ყოფილიყო იგივე, რაც ძველ ქართულში, კერძოდ, “ურედუქციო” ფორმებში ხმოვნის წინ უნდა გვექონოდა ჭუ, ხოლო “ნარედუქციალ” ფორმებში თანხმოვნებს შორის – მარცვლოვანი ჭუ:

კურთხი – ა-კურთხ-ევ-ს

გან-ვ-კურთხე – სა-კურთ-არ-ი

კურთხელ¹ ბერკი¹ – ახ. ქართ. მო-კურთხელ-ა” [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 49].

ამ შემთხვევაში მახვილის ფაქტორი უნდა თამაშობდეს განსაკუთრებულ როლს, რის შედეგადაც ხდება რედუქცია [ახვლედიანი 1956, გვ. 134]. სრულხმოვანი უ-საგან კურთხ-ში მივიღეთ ნახევარხმოვანი უ *კურთხ-ი > კურთხ-ი > კურთხი. თავდაპირველად გვექნებოდა კურთხევა, სადაც რედუქციის შედეგად იკარგება ე ხმოვანი და ვიღებთ კურთხევას (კურთხევა > კურთხევა).

ეგრემ მცირისა და ფსალმუნთა გამოკრებულ თარგმანებში მოცემული კურთხ-ის განმარტება კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის კურთხ – კურთხ ფუძეთა ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობას.

ეგრემ მცირის განმარტება: “კურთხ ღმრთისა ეწოდების ოდესმე გუემასა, რომელსა მოაწევს განსასწავლელად უგუნურთა და ოდესმე ნუგემის-ცემასა, რომელსა

მოავლინებს განსაძლიერებლად უძღურთა. და კუალად, ამათ ყოველთაგან კიდე, კუერთხ ეწოდების ძელსა საუფლოდსა ჯუარისასა, რომელი მიიღო სასწაულად მთავრობისა, გან-რა-ვიდოდა წყობად მთავრობათა და ჰელმწიფებათა ბნელისათა” [დობორჯგინიძე, 1998, გვ. 47].

კუერთხის განმარტება ფსალმუნთა გამოკრებილი თარგმანებიდან: “ვითარ-იგი კუერთხ მამისა არს ძმ, აგრეთვე კუერთხ ძისა არის ჯუარი, რომელსა-იგი ოდესმე მგუემელობისა და ოდესმე ჰელის აღმპყრობელობისათვის კუერთხ ეწოდა” [დობორჯგინიძე, 1998, გვ. 47].

ტერმინ კუერთხევის სალექსიკონო განმარტებები:

სულხან-საბას განმარტება: “კუერთხევა არს გადიდება სახელისა მისისა, გინა ლოცვის მიღება, გინა განცხადება, გინა მიახლება ღთისა, გინა მოახლოება ღ”თისა მიერ”.

ილ. აბულაძის “მველი ქართული ენის ლექსიკონში” კუერთხევა იგივეა, რაც დიდება. კუერთხევა აქვე განმარტებულია დალოცვის მნიშვნელობითაც.

ქეგლ-ის რვატომეულის განმარტება კონტექსტებითურთ: “კუერთხევა – სახელი აკუერთხებს ზმნის მოქმედებისა: 1. ეკლ. სასულიერო პირის (მღვდლისა და მისთ.) მიერ დალოცვა (ადამიანისა, ხალხისა) ჯვრის გადასახვით. “ის არის? – ვჰკითხე გლახუკას, თვალი-კი იმ მღვდლისაკენ დამრჩა, – “აბა, ის არის, წამო, კუერთხევა ვსთხოვოთ (ილია). 2. ეკლ. სასულიერო პირის მიერ (სათანადო წესით) დალოცვა (წყლისა, ახალი შენობისა, სუფრისა და მისთ.) განათვლა, მონათვლა, სახლის კუერთხევა, ქორწილი და ყველა ამგვარი სამსახური ხერხდებოდა მაშინ, როცა უფრო ეცალა მღვდელს (ვ. ბარნ.). 3. მადლი, წყალობა. || ფიგურ. ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კუერთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო! (ნ. ბარათ.). 4. ეკლ. საეკლესიო წესების შესრულებით დამტკიცება (მაგ., მღვდლად, მეფედ). დავითმა მღვდელს მიანიჭა დამოუკიდებლობა და უფლება ეპისკოპოზად კუერთხევისა (ი. გოგებ.). კუერთხევას ჩამოართმევს. ძვ. კუერთხევას მიიღებს (მღვდლისაგან). “მე თავი დავუკარი [მღვდელს] და კუერთხევა ჩამოვართვი” (ილია) კუერთხევით ზმნის. დალოცვით. ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იგი გლეხი-კაცი, რომელსაც დღეს ჩვენ იოსებ დავითაშვილის სახელითა კუერთხევით ვიხსენებთ და ვგლოვობთ (ილია). 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი ლოცვა-კუერთხევა.

კუერთხევისგანაა ნაწარმოები ნარიანი მრავლობითის ფორმა კუერთხევანი და ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღობა: კუერთხეული. ქეგლ-ისეული განმარტება: “კუერთხეული – 1. ვინც ან რაც აკუერთხეს, – ნაკუერთხი. მღვდლად კუერთხეული. 2. დალოცვილი, მადლიანი, სადიდებელი”. “კუერთხევანი – ეკლ. საეკლესიო წიგნი, რომლის მიხედვითაც სრულდება ნათვლა, საეკლესიო ქორწინება, მიცვალებულის წესის აგება და სხვა”.

ტერმინი კუერთხევა სამგვარ კონტესტში შეიძლება შეგვხვდეს, კერძოდ, როცა:

- 1) ღმერთი მიმართავს ადამიანს;

- 2) ადამიანი მიმართავს ღმერთს;
- 3) ადამიანი მიმართავს ადამიანს.

თავდაპირველი მისი დატვირთვა უნდა ყოფილიყო ზემდგომის (ღმერთის, ან ასაკითა თუ სოციალური მდგომარეობით უპირატესი ადამიანის) მიმართვა ქვემდგომისადმი. “უმცირესი იგი უმჯობესისაგან იკურთხევის” (ებრ. მიმ. 7, 7).

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა ბიბლიური ტექსტებიდან ბერძნული შესატყვისებითურთ:

1) ღვთისგან მომდინარე კურთხევა

ა) კურთხევა ზმნური მოქმედებითი გვარის ფორმით:

... καὶ κύριος εὐλόγησεν τὸν Ἀβραάμ κατὰ πάντα (შეს. 24, 1).

... უფალმან აკურთხა აბრაამ ყოველთავე (CB).

... ἐν παντὶ τόπῳ οὗ ἐὰν ἐποιούμῃσιν τὸ ὄνομά μου ἐκεῖ, καὶ ἦξω πρὸς σὲ καὶ εὐλογήσω σε (გამ. 20, 24).

... ყოველსა ადგილსა, რომელსა დასდვა სახელი ჩემი, მუნ მოვიდე და გაკურთხო შენ (OB).

εὐλόγησον, κύριε, τὴν ἰσχὺν αὐτοῦ καὶ τὰ ἔργα τῶν χειρῶν αὐτοῦ δέξαι...(მეორ. სჯ. 33, 11).

აკურთხე, უფალო, ძალი მისი და საქმენი ჯელთა მისთანი შეიწყნარენ... (BDES).

Εὐλόγησαι σε κύριος καὶ φυλάξαι σε (რიცხ. 6, 24).

გაკურთხენ შენ უფალმან და დაგიცვენ შენ (S).

Ἐσθόντων δὲ αὐτῶν λαβῶν ὁ Ἰησοῦς ἄρτους καὶ εὐλόγησας ἔκλασεν καὶ δούς τοῖς μαθηταῖς, εἶπεν, λάβητε φάγετε τοῦτο ἐστὶν τὸ σῶμα μου (მ 26, 26).

... მოილო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ, ჭამეთ ესე არს ჯორცი ჩემი (FG) || ... მოილო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჯორცი ჩემი (HIK).

მათეს სახარების HIK რედაქციის ამ უკანასკნელ მაგალითში ფორმა აკურთხა-ს ნაცვლად გვაქვს ჰმადლობდა, ე.ი. ეს ტერმინები ერთმანეთის მიმართ სინონიმებია.

... Εἰ μὴν εὐλογῶν εὐλόγησά σε καὶ πληθύνων πληθυσῶν σε (ებრ. მიმ. 6, 14).

კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განგამრავლო შენ.

ბ) კურთხევა ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... καὶ ἐνευλογηθήσονται ἐν σοὶ πᾶσαι αἱ φυλαὶ τῆς γῆς (შეს. 12, 3).

... და იკურთხეოდნან შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი (CB).

გ) კურთხევა(ა) (სახელი):

καὶ ἀποστελῶ τὴν εὐλογίαν μου ὑμῖν ἐν τῷ ἔτει τῷ ἕκτῳ (ლევ. 25, 21).

მე მოვავლინო კურთხევა ჩემი თქუენ ზედა წელსა მას მეექუსესა (CB).

... καὶ εγενήθη εὐλογία κυρίου ἐν πᾶσιν τοῖς ὑπάρχουσιν αὐτῷ... (შეს. 39, 5).

... და იყო კურთხევა უფლისაჲ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა... (O).

Τότε προσηρέχθησαν αὐτῶν παιδιά τὰς χεῖρας ἐπιθῆ αὐτοῖς καὶ προσεύχεται οἱ δὲ μαθηταὶ ἰ ἐπέτιμησαν αὐτοῖς (მ 19, 13).

მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რადთამცა ჯელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა იგინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ (HIK).

დ) მაკურთხეველი (მოქმედებითი გვარის მიმღეობა):

ἴμῃν πρῶτον ἀναστήσας ὁ θεὸς τὸν παῖδα αὐτοῦ ἀπεστείλει αὐτὸν εὐλογοῦντα ἡμᾶς... (ს აქ. 3, 26).

თქვენ პირველად აღვიდგინა ღმერთმან ძე თვისი იესუ, რომელი-იგი მოავლინა მაკურთხეველად თქვენდა...

ე) კურთხეული (ვნებითი გვარის მიმღეობა):

... Δεῦτε οἱ εὐλογημένοι τοῦ πατρὸς μου, κληρονομησατε, τὴν ἡτοιμασμένην ἡμῖν βασιλείαν ἀπὸ καταβολῆς κόσμου (მ 25, 34).

... მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისადათ (FG).

... καὶ ἔσῃ εὐλογητός (შეს. 12, 2).

... და იყო კურთხეულ... (CB).

ვ) კურთხევითი გაკურთხო (პარონომაზიული გამოთქმა):

... Εἰ μὴν εὐλογῶν εὐλόγησα σε καὶ πληθύνων πληθύνῃ σε (ებრ. მიმ. 6, 14).

კურთხევითი გაკურთხო შენ და განმრავლებით განგამრავლო შენ.

2) ადამიანი მიმართავს ღმერთს:

ა) კურთხევა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

καὶ εὐδοκῆσας προσεκύνησα κυρίῳ καὶ εὐλόγησα κύριον τὸν θεὸν τοῦ κυρίου μου Ἀβρααμ... (შეს. 24, 48).

თაყუანის-ვეც უფალსა და ვაკურთხე უფალი ღმერთი უფლისა ჩემისა აბრაჰამისი ... (CB).

καὶ αὐτὸς ἐδέξατο αὐτὸ εἰς τὰς ἀγκάλας καὶ εὐλόγησεν τὸν θεὸν (ლ 2, 28).

ამან მოიქუა იგი მკლავთა თვსთა ზედა, აკურთხევდა ღმერთსა (FG).

ἐν αὐτῇ εὐλογοῦμεν τὸν κύριον καὶ πατέρα...(იაკ. 3, 9).

რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა...

ბ) კურთხევა(დ) (სახელი):

λέγοντες: Ἄμην, ἡ εὐλογία καὶ ἡ δόξα καὶ ἡ σοφία καὶ ἡ εὐχαριστία καὶ ἡ τιμὴ καὶ ἡ δύναμις καὶ ἡ ἰσχὺς τῷ θεῷ ἡμῶν εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. ἄμην (გამოცხ. 7, 12).

და იტყოდეს: ამინ, კურთხევა და დიდება და სიბრძნე და მადლობა და პატივი და ძალი ღმრთისა ჩუენისადა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

გ) კურთხეული (ვნებითი გვარის მიმღეობა):

Εὐλογετὸς κύριος ὁ θεὸς του Σημ (შეს. 9, 26).

კურთხეულ არს უფალი ღმერთი სემისი (CB).

დ) მაკურთხეველი (მოქმედებითი გვარის მიმღეობა):

... καὶ εὐλόγησα τοὺς εὐλογοῦντάς σε...(შეს. 12, 3).

... და ვაკურთხენე მაკურთხეველნი შენნი... (CB).

3) ადამიანი მიმართავს ადამიანს:

ა) კურთხევა ზმნური მოქმედებითი გვარის ფორმით:

εὐλόγησαν Ρεβεκκαν τὴν ἀδελφὴν αὐτῶν... (შეს. 24, 60).

აკურთხეს რებეკა, და მათი... (CB).

καὶ εὐλόγησας Ἰακώβ τὸν φαραῶ ἐξήλεγεν ἀπ' αὐτοῦ (შეს. 47, 10).

აკურთხა იაკობ ფარაო და გამოვიდა მისგან (O) || და მაკურთხებელი ფარაოს იაკობ გამოვიდა მისგან (CB).

(შესაქმეს წიგნიდან მოყვანილ ამ მაგალითში O რედაქცია იყენებს ზმნას აკურთხა, ხოლო CB მოქმედებითი გვარის მიმღობას – მაკურთხებელი).

Καὶ αὕτη ἡ εὐλογία ἦν εὐλόγησεν Μωσῆς ἄνθρωπος τοῦ θεοῦ τοὺς υἱοὺς Ἰσραὴλ πρὸ τῆς τελευτῆς αὐτοῦ (მეორ. სჯ. 33, 1).

და ესე კურთხევა, რომლითა აკურთხნა მოსემან... ძენი ისრაელისანი პირველ აღსრულებისა მისისა ... (G).

εὐλογεῖτε τοὺς καταραμένους ὑμᾶς, προσεῦχεσθε περὶ τῶν ἐπιηρεαζόντων ὑμᾶς (ლ 6, 28).

აკურთხევედით მწყევართა თქუენტა და ილოცვედით მათთჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ (FG).

Πίστει Ἰακώβ ἀποθνήσκων ἕκαστον τῶν υἱῶν Ἰωσήφ εὐλόγησεν καὶ προσκύνησεν ἐπὶ τὸ ἄκρον τῆς ῥάβδου αὐτοῦ (ებრ. მიმ. 11, 21).

სარწმუნოებით იაკობმან, მო-რა-კუდებოდა, თვთოეულად ძენი იოსებისნი აკურთხნა და თაყუანის-სცა წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა.

εὐλογεῖτε τοὺς διώκοντας [ὑμᾶς], εὐλογεῖτε καὶ μὴ καταρᾶσθε (ჰრ. მიმ. 12, 14).

აკურთხევედით მდევართა თქუენტა, აკურთხევედით და ნუ სწყევთ.

ბ) კურთხევა (სახელი):

Καὶ αὕτη ἡ εὐλογία ἦν εὐλόγησεν Μωσῆς ἄνθρωπος τοῦ θεοῦ τοὺς υἱοὺς Ἰσραὴλ πρὸ τῆς τελευτῆς αὐτοῦ (მეორ. სჯ. 33, 1).

და ესე კურთხევა, რომლითა აკურთხნა მოსემან... ძენი ისრაელისანი პირველ აღსრულებისა მისისა ... (G).

... τοὺναντίον δὲ εὐλογοῦντες ὅτι εἰς τοῦτο ἐκλήθητε ἵνα εὐλογίαι κληρονομήσητε (I პეტ 3, 9).

... წინააღმდეგომსა აკურთხევედით და უწყოდეთ, რამეთუ ამისთჳს მეზრ იხინენით, რადთა კურთხევა(ე) დაიმკვდროთ.

საილუსტრაციო მასალა ორიგინალური ტექსტებიდან:

ორიგინალურ ტექსტებში უფლისგან მომდინარე კურთხევის დამადასტურებელი მაგალითები იშვიათია. მოგვყავს მაგალითები “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან”:

1) ღვთისგან მომდინარე კურთხევა

შენ, უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვდრებელი მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხითა ... (გრ. ხანძთ. ცხ. 109); აკურთხენ ქრისტე, ვითარცა აკურთხენ წმიდანი მოციქულნი ... (გრ. ხანძთ. ცხ. 149).

2) ადამიანი აკურთხებს ღმერთს

ა) კურთხევა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

და უფროდს ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა... (აბო 55-56); ... სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშვედობით შეკრებისა მათისა-თვს (აბო 65); ამით მადლითა თავყანის- გცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, ... რომელმან ივნე ჩუენთვს ქრისტე ღმერთო... (აბო 62).

ბ) კურთხეულ (ვნებითი გვარის მიმღეობა):

... კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი... (შუშ. 44); რომე ღმერთმან გაგვახარნა, კურთხეულ არს მისი ღმრთება (ვეფხ. 1462); ... უფალმან მომცა და უფალმან წარმიღო, იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე (წამ. ქეთ. გვ. 22, 10).

3) ადამიანი აკურთხებს ადამიანს

ა) კურთხევა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

მაშინდა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი (შუშ. 42); მაკურთხე მე და ცოლი ჩემი (შუშ. 40); ...მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის-სცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა ცხოვრებისათა... (აბო 65); აკურთხეს ყრმაჲ იგი და ლოცვაჲ ყო კათალიკოზმან მცხეთის აჲმან და ყოველთა ეპისკოპოსთა და მეფედ დასვეს (წამ. ქეთ. გვ. 17-18, 25).

ბ) კურთხევა ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... მოვიდენ ჩემ თანა და იგინიცა იკურთხნენ წმიდათაგან ლოცვათა შენთა (გრ. ხანძთ. ცხ. 70).

გ) კურთხევა(ე) (სახელი):

ხოლო მე, მადლითა ღმრთისაჲთა, კურთხევა შენი დავიმკვდრო... (გრ. ხანძთ. ცხ. 122); ... კურთხევა მიაწაჲ კურაპალატსა... (გრ. ხანძთ. ცხ. 110).

ტერმინ კურთხევისაგან არის ნაწარმოები “საკურთხეველი” სა- – ელ დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი აფიქსებით. საბას განმარტებით, საკურთხეველი არის “მსხვერპლის საცავი”, იგულისხმება უსისხლო მსხვერპლი.

ზ. სარჯველაძის “მველი ქართული ენის ლექსიკონში” საკურთხევის მნიშვნელობით განმარტებულია “საკურთხე-ე – სამსხვერპლო. არამედ ყოვლითურთ თავი შენი საკურთხედ მრგულიად შეწირულად წარუდგინე [A=1103 207v 27 30თ]“. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ საკურთხე-ში კურთხე ფუძეა დაცული კურთხე-ის ნაცვლად.

ქეგლ-ის ერთტომეულის მიხედვით, საკურთხეველი არის “კანკელით გამოყოფილი ნაწილი ეკლესიისა”.

კუერთხ ფუძე დაცულია აგრეთვე ბიბლიურ ტექსტებში სიტყვაში საკუერთხ||საკურთხ. საკუერთხი ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ასეა განმარტებული: “საკუ(ე)რთხ-ი – საკლავი, შესაწირავი, “ყოვლად დასაწუელი”: რადთამცა შეწირეს მას ზედა საკუერთხი” (O, 1 ეზრა 5, 49); საკუერთხი ცოდვათათჳს არა ითხოვე” (C ფსალ. 39, 7); “ყოველნი ოთხფერკნი ვერ კმა არიან საკურთხად” (O)–“ყოველნი ოთხფერკნი ვერ კმა ყოვლად-დასაწუელად” (pb, ეს. 40, 16); სათნომცა გეყოფით შენ, ვითარცა საკურთხი ვერძთაჲ” (მრთ. შ ბ. კეს. 40-თჳს. 120, 12); შეწირეს მას დღესა შინა საკუერთხები დიდ-დიდები” (O, ნემ. 12, 39)”.

საკურთხი||საკუერთხი საბასთან განმარტებულია, როგორც “მსხუერპლი მრგულიად დასაწველი”. ტერმინი განმარტებულია ორმოცდამეათე ფსალმუნის მიხედვით.

ქეგლ-ის ერთტომეულში კი საკურთხი ასეა განმარტებული: “საკურთხი (ეკლ.) 1. ვინც, რაც უნდა აკურთხონ. 2. ჭირისუფლის მიერ მიცვალებულის საფლავზე მიტანილი საჭმელ-სასმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა – ტაბლა”.

საკურთხი ა. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” მიჩნეულია” შესაწირავის, მსხუერპლის სინონიმად.

საილუსტრაციო მასალა ბიბლიური ტექსტებიდან:

οἱ δὲ λεῖπται ἐπιθήσουσιν τὰς χεῖρας ἐπὶ τὰς κεφαλὰς τῶν μόσχων, καὶ ποιήσει τὸν ἕνα περὶ ἁμαρτίας καὶ τὸν ἕνα εἰς ὀλοκαύτωμα κυρίῳ ἐξιλάσασθαι περὶ αὐτῶν (რიცხ. 8, 12).

ხოლო ლევიტელთა მათ დაასხნეს ჯელნი მათნი თავთა ზედა მათ ზუარაკთასა, და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს და ერთი იგი საკუერთხად უფლისა, სალხინებლად მათთჳს (S) || ხოლო ლევიტელთა მათ დაასხნეს ჯელნი მათნი თავთა ზედა მათ ზუარაკთასა. და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს და ერთი იგი საკურთხეველად უფლისა, სალხინებლად მათ (B) || ხოლო ლევიტელთა დაასხნენ ჯელნი თავებსა ზედა ზუარაკთასა; და ჰყო ერთი იგი ცოდვისათჳს და ერთი იგი ყოვლადდასაწუელად უფლისა, ლხინებისათჳს მათისა (G).

ὀλοκαυτώματα καὶ περὶ ἁμαρτίας οὐκ εὐδόκησας (ებრ. მიმ. 10, 6).

საკუერთხი ცოდვათათჳს არა ინებე.

ἀνώτερον λέγωσιν ὅτι: Θυσίας καὶ προσφορὰς καὶ ὀλοκαυτώματα καὶ περὶ ἁμαρτίας οὐκ ἠθέλησα ὁ οὐδὲ εὐδόκησας, αἵτινες κατὰ νόμους προσφέρονται (ებრ. მიმ. 10, 8).

ზემო კერძო იტყვს, ვითარმედ: მსხუერპლი და შესაწირავი და საკუერთხი, და ცოდვათათჳს არა ინებე, არცა სათნო-იყავ რომელნი-იგი მსგავსად შჯულისა შეიწირვინ.

პირველ მაგალითში რიცხვთას სამ რედაქციაში საკურთხი სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: საკუერთხი, საკურთხეველი, ყოვლად-დასაწუელი. საკუერთხ-ში გამოიყოფა კუერთხ, ხოლო კურთხევისაგან კი სა- – ელ აფიქსებით

ნაწარმოები მომავალი დროის მიმღობა მივიღეთ: სა-კურთხ-ევ-ელ-ი. საკურთხის ბერძნული შესატყვისია ἁγιασμα. ვაისმანი მას ასე განმარტავს: “всесожжение, жертва, вполне сжигаемая”.

კურთხევას ბერძნულში, როგორც საილუსტრაციო მასალამ გვიჩვენა, შეესაბამება εὐλογέω. ვაისმანი მას ასე განმარტავს: “1. хорошо говорить, хвалить, прославлять. 2. Н.З. благословлять, благодарить.” ბერძნულში კურთხევის, საკურთხეველის ფარდი სიტყვები სხვადასხვა წარმოშობისაა. საკურთხეველს ბერძნულში შეესაბამება θυσιαστήριον, რომლის განმარტებაც ასეთია: “жертвенник, алтарь Н.З.” ამოსავალი მისთვის არის θυσία- “жертва”; θυσιαστήριον-ის ზუსტი ქართული შესატყვისია სამსხვერპლო. საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ქართულ კურთხევას ერთადერთ შემთხვევაში შეესაბამება εὐλογεω-ს ნაცვლად εὐχομαι (მ 19, 13), ანუ ლოცვა. კურთხევა და ლოცვა “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” სინონიმებადაა მიჩნეული. ამავე ლექსიკონის მიხედვით, კურთხევის სინონიმებია: “ზელდასხმა, ხელის დადება, შედგომა (ბერად, მონაზვნად შედგომა), შედგა (ეკურთხა). ჯვრის გადასახვა (მღვდლისა და მისთ. მიერ). ტერმინ კურთხევას ხმარობდნენ გამეფების დროსაც: “მეფედ კურთხევა (ეკურთხა), გვირგვინის კურთხევა (გვირგვინი იკურთხა)” [ნეიმანი, 1979].

2) მეგრული და სვანური

ა) მეგრული

მეგრულში კურთხევა, საკურთხი ქართულიდან არის ნასესხები.

ი. ყიფშიძე კურთხ ფორმას ასე განმარტავს: “კურთხუა, მუნო-კურთხუა – благословлять, благословение; დუდიში მუნო-კურთხუა – благословение головы, т. е. начала” [ი. ყიფშიძე, 1994].

1) კურთხევა ზმნური ფორმით:

გოლა ჩქიმი ეუდე ვკურთხაფე – გუმინ ჩემი სახლი ვაკურთხებინე; მეზობელიმ ბომ პაპათ აკურთხეს – მეზობლის ბიჭი მღვდლად აკურთხეს (მასალა ჩვენია – ნ. გ.).

2) საკურთხი:

ჯგირი სქუა ბაბუს უკეთენდუა საკურთხის, გლახაქ მუმასით ვოუკეთუა (ხს, გვ. 190, 1865) – კარგი შვილი პაპას უკეთებდა საკურთხს, უხეირომ მამასაც ვერ გაუკეთა.

ბ) სვანური

კურთხევის სვანური შესატყვისია ლი-ჯგრ-ი. მოგვყავს საილუსტრაციო მასალა სვანური ტექსტებიდან:

... ბაპი ჳედენდა ჩვაჯგირდა საფლავწრჷნ ტაბგწრს (სექ, ბზ., გვ. 17) – მღვდელიც მოვიდოდა, აკურთხებდა საფლავებზე ტაბლებს; ალ ლადწლ ქვინი ლადწლ ლწსვ ი ლეჯგრიდ ი ლეფწნად დწმგვაშ ძწრ აზწრა (სექ, ბზ., გვ. 16) – ეს

დღე სულის (ე.ი. მიცვალებულთა) დღე იყო და საკურთხევლად და სულის მოსახსენებლად საკურთხის დადგმით არავინ არაფერს ზოგავდა; ხოლა ბენზბ ესწა ხემთქვანდა ი ეჩნოვშ იდგაროლდა, ეჯას ლჯგირ ვერჟინ დარ ამდილვდა (სექ, ბზ., გვ. 40) – ვისაც ცუდი ზნე სჭირდა და იმითი კვდებოდა, მას ნაკურთხ მიწაზე არ ასაფლავებდნენ; ისეუ ნაჯგრვ ნაფანვ ისგვა ლდდგარუს ფისემი ტრმბდუ ლახზაზახ (სექ, ბზ., გვ. 56) – შენი ნაკურთხი და საკურთხის დადგმა შენს მიცვალებულებს ფისის ტბად მიგებებოდეო.

როგორც საილუსტრაციო მასალამ გვიჩვენა, ლიჯგრი მხოლოდ მიცვალებულთან დაკავშირებულ კონტექსტში იხმარება. მისი სინონიმი შეიძლება იყოს ლიფანე, რომლის ეტიმოლოგიაც საკვლევია.

ვ. თოფურია და მ. ქალდანი “სვანურ ლექსიკონში” ლიჯგრის ასე განმარტავენ: “ლიჯგრი – სახელი აჯგრი, ხ-ოჯგრი... ზმნათა მოქმედებისა: კურთხევა. ნგცე ლიჯგრი წმკედელი (ბზ. 69) – წყალკურთხევის დროა (“წყლის კურთხევა მოსულა); ლიჯგრის საფლანუჟი თუით დინრს ჩოჟ ადნსგუხ (ბქ. 9) – კურთხევისას საფლავზე თითო პური დადევითო; ეხმარის მუჯღურამუდ ხომა ტაბგი ლიჯგრის (ლაშხ. 38) – მოემზადებიან საშემოდგომოდ დიდი სუფრის კურთხევისათვის (“კურთხევას”); ალეს ხტყაყლედ ლიჯგრის (ლენტ. 55) – ამას ვეძახით კურთხევას”.

ამავე ლექსიკონში ლიფანე განმარტებულია როგორც “საკურთხი სუფრის წადგმა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად”.

ლ. პალმაიტისი და ჩ. გუჯეჯიანი სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში ლიჯგრის და ლიფანეს განმარტავენ, როგორც მიცვალებულის სახელზე გაშლილ სუფრასთან დაკავშირებულ ტერმინებს.

ლიფანეს კონტექსტური ხმარების შემთხვევები სვანურში:

მახა ლდდგარი ფუსდ ერხი ჰარწყსი ჳიდე ლდდგარი საფლანვეთჟინ ლიფანად (სექ, ბზ., გვ. 8) – ახალი მიცვალებულის პატრონი ზოგი არაყსაც ამოიტანს მიცვალებულის საფლავზე საკურთხისათვის; ნაფანუნდ ხოჩა ი ფიშირ შვიმიშ ლეზებ ხეკვეს ხუღვანდებ (სექ, ბქ., გვ. 174) – მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სუფრაზე კარგი და მრავალი სახის კერძები უნდა ჰქონდეთ.

აკ. შანიძე ლი-ჯგრი-ში გამოყოფს ჯგირ ფუძეს, რაც მეგრულად “კარგს” ნიშნავს და ლი-ჯგრი-ის გაკარგებასთან, წმინდა ყოფასთან აიგივებს: “კურთხევა (ვაკურთხევ – εὐλογέω, нлагословляю) თავისი მნიშვნელობით ახლოს დგას “წმიდაყოფასთან”, “განწმედასთან”: წმიდა-ვჰყოფ [ἀγιάζω, освящаю]. ძველად ეს ორი ზმნა ძალიან გამიჯნული იყო ერთმანეთისგან მნიშვნელობით (შდრ. ამისთვის აკურთხა ღმერთმან დღჳ იგი მეშვდჳ და წმინდა-ყო იგი”. გამ. 20, 11), მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ ჯგირ ფუძეს მიეღო “განწმედის”, “წმიდაყოფის” მნიშვნელობაც. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, освящать, освятить ქართულად იქნება “კურთხევა”, освящать церковь – “ეკლესიის კურთხევა”, ივანე ნიჟარაძე სვანურად მსგავსადვე თარგმნის: освящать, освятить – ლიჯგრი. სვანურად წმიდა (წმინდა)

არის “წყილიან (წყელიან) მაგ. ძღვდ წყელდანდ (ძალიან წმიდად). ალას ჯადუსგა ვიჯ ხოსდან, ათხე ჟ' ანკვარ, სერ ქანწყელდანან. ამას მუცელში გველი ჰყავდა, ახლა ამოაგდო, მერმე წმინდა გახდა... ჯგირ ფუძე მეგრულში ამჟამად “კარგს, კეთილს ნიშნავს, მაგრამ ძველად მას “წმიდის” მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, მსგავსად ოსურის დიგორულ კილოში ხმარებული ხუაზ სიტყვისა (ხუაზ ნიკკოლა-ში)” [შანიძე, 1973, გვ. 116-119].

5. წყალობა

1) ქართული

ტერმინი წყალობა ქრისტიანობამდელი წარმოშობის სიტყვა ჩანს. მისთვის ამოსავალია წყალ ფუძე. ტერმინ წყალობას იმთავითვე საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. თ. სახოკია აღნიშნავს: “უხსოვარ დროს, როცა, როგორც ამას ილ. ჭავჭავაძე აღნიშნავს, ქართველთა წინაპრებს მდ. ტიგროსისა და ევფრატისკენ ჰქონდათ დადებული პირველი სავანე, წყალი მარად საძებრად, მარად ნატვრის საგნად ჰქონიათ გადაქცეული. ამას ამტკიცებს ჩვენს ენაში დარჩენილი ამდენი სიტყვა, წყლისგან წარმოებული და თვით ის უდიდესი მნიშვნელობა, წყალს რომ ბუნებრივად მიჰნიჭებია. მაგ: სიწყალული – სიბრალული, წყალობა – მოწყალება (წყლის მიცემა) – სიქველე, მფარველობა, გულკეთილობა, სვიანობა, ღმობიერება, მეწყალვის (მინდა წყალი დავალევი) – მებრალვის, მეცოდება; უწყალო (ვისაც წყალი არ ემეტება მოყვასისათვის) – უღმობელი, გულქვა, შეუბრალბელი; უწყალო (ვისაც წყალი არა აქვს) – ღარიბი, უქონელი გაჭირვებული, უპატრონო; წყლიანი სიტყვა (სიტყვა, რომელსაც წყალი მიჰყვება) – სინდისიანი, ღამაზი სიტყვა; საწყალი ანუ საწყალობელი (ვისაც წყალი სჭირია) – შესაცოდებელი, საბრალო, უპოვარი, ხელმოკლე; მიწყალე, შემიწყალე (წყალი მასვი) – შემბრალე, მომხედე, მილხინე, გაჭირვებისაგან მიხსენ. პირწყალგასაწყვეტი (წყევლა, პირში წყალგამოსავლელი) – უნამუსოდ დასარჩენი” [სახოკია, 1979, გვ. 877]. აქ მოცემულია წყალ-ფუძისაგან შემდგარ ტერმინთა ჯერ პირვანდელი სემანტიკა, შემდეგ კი – სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შედეგად მიღებული განმარტებები. თ. სახოკია “ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში” გვაწვდის აგრეთვე წყლის კულტთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალას.

წყლის კულტი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხალხურ დღესასწაულებში. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ჯ. რუხაძე: “წყალს საახალწლო და ბუნების აღორძინებისადმი განკუთვნილ დღესასწაულებში, როგორც გვალვა-დეღემისადმი მიძღვნილ წეს-ჩვეულებებში, ცენტრალური ადგილი უჭირავს. წყლის მაგიური მნიშვნელობა ჩანს ზღაპრებში, თქმულება-გადმოცემებში, წყალთან დაკავშირებულია რწმენა-წარმოდგენები სეზონური ცვლილებების – ბუნების სიკვდილისა და აღორძინების შესახებ. წყლის კულტს უშუალოდ ეხმიანება ის რთული

მიტოლოგიური პასაჟები, რომლებსაც საკრალურ იერს ანიჭებს მამრობითი ღვთაებისაგან მომდინარე ფალიკური სცენები. წყალი, მიწის ალორძინებისა და სიუხვის სიმბოლო – ყოვლისშემძლე ძალა და მასთან დაკავშირებული ქმედებები ერთიან სისტემად არის ჩამოყალიბებული” [რუხაძე, 1999, გვ. 155].

წყალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სარწმუნოებაში. მას “ემღევა თვისება განკურნებისა, განწმენდისა, ცოდვათა მიტევებისა” [სახოკია, 1979, გვ. 878].

კ. დანელიას მიაჩნია, რომ: “წყალი ქართულში პოლისემიურია და ბევრ იდიომურ ერთეულს ქმნის, მაგრამ ბრწყინვალეების, ლამაზის, ძვირფასის მნიშვნელობით მისი ხმარება XII საუკუნის საერო ძეგლებში სპარსულის გავლენას უნდა მიეწეროს: სპარ. აბ. “წყალსაც ნიშნავს და “ბრწყინვალეა – სიძვირფასეს”. “თამარიანშია” სოფლისა წყალთა დამშვენებარე (V, 7), მეფე მთავართა, მგლობელი ჯავართა, სოფლისა წყალთა დამშვენებარე (XI, 9). “აბდულმესიანშია”: რიყე თვალისა სწორ-ნათალისა, წყალნი მგზნებარობს შიგან ალითა (43, 2). შდრ. “ვეფხისტყაოსნიდან”: როსტევანი თინათინზე ამბობს: “ჩემი ლხინი და ჯავრი, ჩემი სოფლისა წყალიო” (104, 2). აქ ჯავარი იგივე სპარს. გოვარია “ძვირფასი ქვაა”, ოღონდ არაბული ფორმით. ამდენად, ბუნებრივია, რომ “თამარიანში” მოწყალე ნიშნავს “მბრწყინავს”, “მოელვარეს”: ჯავარ მოწყალე, ჯავარ მოწყალე, თურქთა მრისხანედ შემრისხებარე (V, 28) [დანელია, 1988, გვ. 87].

წარმოვადგენთ ტერმინ წყალობის სალექსიკონო განმარტებებს:

ს.-ს. ორბელიანის მიხედვით წყალობა არის “მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა”, “მეწყალეა – მოწყალეების მიღება”, “მოწყალე – წყალობის მოქმედი”. აქვე განმარტებულია საწყალი, საწყალობელი, “საწყალობელი – შესაბრალისსავით”.

ილ. აბულაძის განმარტება: წყალობა – სიბრალული, შებრალეა, შეწყალეა, დაზოგვა, “რიდება”, “მოწყალეა”: “მიწყალენ ჩუენ” (მთ. 9, 27) “ნუ სწყალობთ ისართა თქუნთა” (O), - || “ნუ ჰრიდებთ მშვლდავსა თქუნსა ზედა” (პბ, იერემ. 50, 14); “ნუ სწყალობთ ჭაბუკთა მისთა” (O), - || “ნუ ჰრიდებთ ჭაბუკთა მისთა ზედა (პბ, იერემ. 51, 3). წყალობა ყავ ჩუენტვს” (DE, 9, 21) || ნუ განმაშორებ წყალობასა შენსა (მოწყალეათა შენთა) ჩემგან” (ფსალ. 39, 12)”.

ქეგლ-ის რვატომეულის მიხედვით, ტერმინ წყალობის განმარტება ასეთია: “წყალობა – 1. კეთილგანწყობილება, კარგი დამოკიდებულება. “ვარსქენმა ქრისტიანობაზე უარი თქვა და მით სპარსეთის მეფის წყალობა დაიმსახურა” (ივ. ჯავახ.) “რისხვაც ვიცი და წყალობაც” (ნ. ლორთქ.). 2. კარგი რამ, სიკეთე. || მოწყალეა გასაკითხი. “[სოფიო] ჭამდა საჭმელს ნაზად, თითქოს მტრისას იჯდა და მტრის წყალობას ჭამდა” (ლ. არდაზ.) || ფიგურ. ადამიანიც სარგებლობს ბუნების უხვი წყალობით (უიარ.) || ნაწყალობევი, საჩუქარი “გამოვდევი სარს თქვენი წყალობა ჩოხა” (აკაკი).”

აქვე მოყვანილია ტერმინ წყალობის შემცველი იდიომები და ენობრივი ფორმულები:

წყალობას გაიღებს იგივეა, რაც წყალობას მიიღებს.

წყალობის თვალთ გადამოხედავს, შეხედავს.

წყალობის კალთას გადააფარებს იგივეა, რაც მოწყალების კალთას გადააფარებს.

წყალობას უზამს (წყალობა უქნა).

ღვთის წყალობა იგივეა, რაც ღვთის მოწყალება. || ეტყვიან მას, ვინც ცხვირს დააცემინებს. “თხამ დააფრუტუნა, მგელმა უთხრა: ღვთის წყალობაო” (ანდაზა).

ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ესმის, კარგს ეუბნებიან. მას კი ცუდი ჰგონია. მოგეცა ღვთის წყალობა – ჩართული წინადადება – აღნიშნავს კმაყოფილებას. “ჩვენ დავანებეთ თავი დოხტურს და დავეკითხეთ მკითხავს. იმან, მოგეცა ღვთის წყალობა, მართალი გვითხრა” (აკაკი).

(ღმერთმან) შენი (თქვენი) წყალობა ნუ მომიშალოს – ძვ. მადლობის ფორმულა. “არაფერია... მოვრიგდებით... დაგაცდი” – “ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომიშალოს!” (აკაკი).

(ვისამე, რისამე) წყალობით (ვისიმე, რისამე) მიზეზით, მეოხებით, გამო, გამოისობით, თქვენი წყალობით ჩართული გამოთქმა – იტყვიან, როდესაც რაიმე სიკეთის შესახებ ჰყვებიან.

ენობრივი ფორმულებისა და იდიომების საშუალებით კარგად იკვეთება ტერმინ წყალობის საკრალური დატვირთვა. იგი შეიძლება ქრისტიანობამდელი წარმოშობის საკრალურ ტერმინად მივიჩნიოთ.

აკ. შანიძე წყალობას თავისებურ ზმნათა რიგში ათავსებს: საერთო წესის თანახმად, მყოფადში მოსალოდნელი იყო ვუწყალებ (შდრ. ვხუმრობ – ვიხუმრებ, ვცელქობ – ვიცელქებ და სხვ.), მაგრამ თემის ნიშანი -ობ შენახულია იმავე ფუძისგან ნაწარმოებ ზმნაში ვუწყალობებ. აქვე მითითებულია, რომ მწყალობელ სიტყვისგანაა ნაწარმოები ფშაურ-ხევსურული “ვამწყალობნებ”, რომელიც დალოცვის ფორმულიდანაა ამოღებული: “მწყალობელიც ხარ მავანისა!” ან “მწყალობელიმც არს ლაშარის ჯვარი!” (ან სხვა რომელიმე “ხატი”) [შანიძე, 1980, გვ. 534]. დამწყალობება გვხვდება მოხეურშიც: “ამწყალობებენ, ამწყალობებენ! გოჩა ამწყალობებს! – ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა... საერთოდ, ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ”... (“ხევსბერი გოჩა”, გვ. 278-279).

ბიბლიურ ტექსტებში ვხვდებით ფორმებს: შეწყალება, მოწყალება, მოწყალე, წყალობა. შეწყალება ძირითადად ზმნური ფორმით გვხვდება. კონტექსტები ასეთია: ადამიანი მიმართავს ღმერთს, ან ისევ ადამიანს და ითხოვს მისგან შეწევნას.

წყალობა-მოწყალეობა კი, თ. სახოკიას განმარტებით, სიქველეს, მფარველობას, გულკეთილობას, სვიანობას, ლმობიერებას ნიშნავს [სახოკია, 1979, გვ. 877].

საილუსტრაციო მასალა ბიბლიური ტექსტების მიხედვით (პარალელურად დამოწმებულია ბერძნული ტექსტიც):

1) შეწყალეობა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

... οὐκ ἔληψεν ὁ θεὸς τὸν παῖδά σου (შეს. 33, 5).

... შეიწყალა ღმერთმან მონა შენი (CB) || ... შემიწყალა ღმერთმან... (AKS).

... Πάτερ Ἀβραάμ, ἐλέησόν με... (ლ 16, 24).

... მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე... (FG).

... ἡ δὲ ἐλθοῦσα προσεκύνει αὐτῷ λέγουσα· Κύριε, βοήθει μοι (მ 15, 25).

... თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე (FG).

... Ἐλεῖσά ὄν ἂν ἐλεῶ καὶ οἰκτιρήσῃ ὄν ἂν οἰκτίρῃ (ჰრ. მიმ. 9, 15).

... შევიწყალო, რომელი-იგი შევიწყალო და შევიწყნარო, რომელი-იგი შევიწყნარო.

2) შეწყალეობა ზმნური ვნებითი გვარის ფორმით:

... εἶδεν αὐτὸν ὁ πατὴρ αὐτοῦ καὶ ἐσπλαγχνίσθη... (ლ 15, 20).

... იხილა იგი მამამან თვსმან და შეეწყალა... (FG).

σπλαγχνισθεὶς δὲ ὁ Ἰησοῦς ἴψατο τῶν ὀμμάτων αὐτῶν... (მ 20, 34).

შეეწყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა... (FG).

συνέκλεισεν γὰρ ὁ θεὸς τοὺς πάντας εἰς ἀπίθειαν, ἵνα τοὺς πάντας ἐλεήσει (ჰრ. მიმ. 11, 32).

შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რადთა ყოველნი შეიწყალნეს.

3) მოწყალე

... Κύριος ὁ θεὸς οἰκτίρμων καὶ ἐλεήμων, μακρόθυμος καὶ πολυέλεος καὶ ἀληθινὸς (გამ. 34, 6).

... უფალი ღმერთი მოწყალე და შემწყნარებელი, სულგრძელ და დიდად მოწყალე და ჭეშმარიტ (B) || ... უფალი ღმერთი მოწყალე და მწყალობელი, სულგრძელი და მრავალმოწყალე და ჭეშმარიტი (A).

ამ მაგალითის A რედაქციაში მწყალობელს ენაცვლება შემწყნარებელი, რაც მათ სინონიმურობაზე მიუთითებს, მოწყალეს შემცველ კომპოზიტს – მრავალმოწყალეს კი ცვლის დიდად მოწყალე. მრავალმოწყალე ბერძნული πολυέλεოს-ის კალკს წარმოადგენს.

... θεὸς οἰκτίρμων κύριος ὁ θεὸς σου... (მეორ. სჯ. 4, 31).

... უფალი ღმერთი მოწყალე არს... (ABES).

Γίνεσθε οἰκτίρμονες καθὼς [καὶ] ὁ πατὴρ ὑμῶν οἰκτιρμων ἐστίν (ლ 6, 36).

იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს (FG).

4) მოწყალეობა:

Ἐνδύσασθε οὖν, ὡς ἐκλεκτοὶ τοῦ θεοῦ ἅγιοι καὶ ἡγαπημένοι, σπλάγγνα οἰκτιρμοῦ χριστοῦ τα ταπεινοφροσύνην πραῖτητα, μακροθυμίαν (კოლ. მიმ. 3, 12).

შეიმოსეთ უკუე, ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდათა და საყუარელთა, მოწყალეობა, შეწყნარება, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვედე, სულგრძელებად.

Παρακαλῶ οὖν ἡμᾶς, ἀδελφοί, διὰ τῶν οἰκτιρμῶν τοῦ θεοῦ... (ჰრ. მიმ. 12, 1).

გლოცავ თქვენ, ძმანო, მოწყალეობათა ღმრთისათა...

5) წყალობა:

καὶ ποιῶν ἔλεος εἰς χυλιάδας τοῖς ἀγαπῶσιν με... (მეორ. სჯ. 5, 10).

ვევი წყალობა ათასამდე ნათესავადმდე მოყუარეთათვს სახელისა ჩემისათა... (ABEKS) || მოქმედი წყალობისა ათასამდე მოყუარეთა ჩემთა... (GB).

ἄφες τὴν ἀμαρτίαν τῷ λαῷ τούτῳ κατὰ τὸ μέγα ἔλεος σου... (რიცხ. 14, 19).

მიუტევე ცოდვად ერსა მას დიდისაებრ წყალობისა შენისა... (S).

Καὶ ἦν κύριος μετὰ Ἰωσηφ καὶ κατέχευεν αὐτοῦ ἔλεος... (შეს. 39, 21).

და იყო უფალი იოსების თანა და მოსცემდა მას წყალობასა... (O).

... Βοήθησον ἡμῖν σπλαγχνισθεῖς ἐφ’ ἡμᾶς (მრკ 9, 22).

... შემეწიე ჩვენ, უფალო, და წყალობა-ყავ ჩვენთვის (FG).

ზემოთ მოყვანილ მაგალითში წყალობა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. წყალობა-ყავ, აღწერთი ფორმა, მოითხოვს -თვის თანდებულის კონსტრუქციას (წყალობა-ყავ ჩვენთვის), განსხვავებით შემეწილენ ფორმისა, რომელიც შეიძლება აღწერთ წარმოებას ჩაენაცვლოს.

... προσδεχόμενα τὸ ἔλεος τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ εἰς ζωὴν αἰῶσιον (იუდა 1, 21).

... მოელოდეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ცხორებად.

ἔσται μεθ’ ἡμῶν χάρις ἔλεος εἰρήνη παρὰ θεοῦ πατρὸς καὶ παρὰ Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ υἱοῦ τοῦ πατρὸς... (II იოვ. 1, 3).

იყავნ თქვენ თანა მადლი, წყალობად და მშველობად ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესუ ქრისტესა ძისა მისისა...

Τιμοθέω γρησὶά τέκνω ἐν πίστει, χάρις ἔλεος εἰρήνη ἀπὸ θεοῦ πατρὸς καὶ Χριστοῦ Ἰησοῦ τοῦ κυρίου ἡμῶν (1 ტიმ. მიმ. 1, 2).

ტიმოთეს ერთგულსა შვილსა სარწმუნოებით, მადლი, წყალობად, მშველობად ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა.

როგორც საილუსტრაციო მასალამ ცხადყო, შეწყალება ფორმის ბერძნული შესატყვისებია: ἔλεος, σπλαγχνίζομαι. ერთადერთ შემთხვევაში შეგვხვდა βοήθημα. წყალობის – Ἐλεος; მოწყალის – οἰκτιρμος; მოწყალეების – σπλαγχνίζομαι, οἰκτιρμός, ἔλεος.

ჩამოთვლილ ბერძნულ ტერმინთა ვაისმანისეული განმარტება ასეთია: οἰκτιρμός – сожалеание, сострадание, милосердие; σπλαγχνίζομαι σπλάγχνιον - сжаливаться; βοήθημα- помощь, защита; Ἐλεος - сожалеание, сострадание. Н.З. милосердие – милость.

ორიგინალურ სასულიერო ტექსტებში შე- ზმნისწინიანი შეწყალება თითქმის არ შეგვხვედრია, მაგრამ შეგვხვდა იგი “ვეფხისტყაოსანში”:

1) შეწყალება (ზმნური ფორმა):

მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან (ვეფხ. 810); მაგრა ვითა გაგახარნე, შენცა აგრე შემიწყალე (ვეფხ. 577).

შესაძლოა, შეწყალებას აღწერითი ფორმა წყალობა-ყავ ცვლიდეს, რომელიც მოითხოვს -თვის და ზედა თანდებულის კონსტრუქციებს:

2) წყალობა ყავ (აღწერითი ფორმა):

წმიდაო ღმრთისაო, კაცთაგან განწირულისა ამისათვის წყალობა ყავ (გრ. ხანძთ. ცხ. 186); წყალობა ყავ ყოველთათვის ქრისტეანეთა... (გრ. ხანძთ. ცხ. 149); წყალობა ყავ უფალმან ჩუენ ზედა... (გრ. ხანძთ. ცხ. 140); წყალობა ყავ ყრმასა ამას ზედა ... (გრ. ხანძთ. ცხ. 133).

3) წყალობა (სახელი):

... უწყალოებისა მისისათვის მე წყალობასა მოველი... (შუშ. 41); ... მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყუარულსა მისსა და წყალობასა... (აბო 79); ...უკუნისამდე არს წყალობად მისი (გრ. ხანძთ. ცხ. 104); ... მაკლია ღმრთისა წყალობა (ვეფხ. 380); წყალობად და ჭემმარიტებად ნუმცა მოგაკლდებიან შენ (წამ. ქეთ. 18, 10);

4) მოწყალე:

უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე... (შუშ. 18); ესრცთ მიიღის საზრდელი საგლახაკოდ ჯორცთა თვსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა ... (გრ. ხანძთ. ცხ. 100); მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი (ვეფხ. 33); მოხედენ თუალითა მოწყალითა (წამ. ქეთ. 15, 25);

5) მოწყალეობა:

... გლახაკთა არაჲ აქუს, თვნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალეობისაჲ (გრ. ხანძთ. ცხ. 121); მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალეობითა ზენითა (ვეფხ. 1209).

ორიგინალურ ტექსტებში ვხვდებით აგრეთვე ტერმინს საწყალობელი. იგი ნაწარმოებია წყალობა ფუძეზე სა- – ელ აფიქსების დართვით.

6) საწყალობელი:

საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ ყო ჭემმარიტი ღმერთი... (შუშ. 5); ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისი ვითარმე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ, ვითარიგი განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტესი (შუშ. 4); საწყალობელსა მას კუალადცა უბრკუმა და დაეცა... (აბო 78); მივიდა ... საწყალობელი იგი და შეუვრდა მას ცრემლით (გრ. ხანძთ. ცხ. 140); მან, გლახ, იგინი გახადნა მტერთაცა საწყალობელად (ვეფხ. 97); ... აღმოუტევს ერთობით საწყალობელად ჯმად მათი (წამ. ქეთ. 21, 5).

2) მეგრული და სვანური

ტერმინ წყალობის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს მისი მეგრული შესატყვისი – ჰყოლოფა (ღორონთიმ ჰყოლოფა ვე მერკებუდას = ქართ. ღმერთის

წყალობა არ მოჰკლებოდეს). წყალ ფუძის შესატყვისი დღევანდელ მეგრულში არის წყარი. წყალ- ფუძე დაცულია რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელ კომპოზიტიში წაკურთხია. ი. ყიფშიძე მეგრულ-რუსულ ლექსიკონში ტერმინ წყარი-ს განმარტებისას იმოწმებს შემდეგ ფორმებს: წყა-კურთხია, წა-კურთხია [ი. ყიფშიძე, 1994]. აქ “წყ კომპლექსი გამარტივდა მომდევნო დეცესიური თხ კომპლექსის გავლენით (დისიმილაციით): ქართ. წყალ-კურთხევა > მეგრ. წა-კურთხევა > წაკურთხია” [როგავა, 1973, გვ. 136]. წყარი არნ. ჩიქობავას ქართულიდან ნასესხებად მიაჩნია. მის ზანურ შესატყვისად კი მიაჩნია ჰყორ. ტერმინ ჰყოლოფაში დაცულია ქართულ-ზანური ბგერათმესატყვისობანი წ – ჰ; ა – ო [ჩიქობავა, 1938, გვ. 182]. ი. ყიფშიძე აღნიშნულ ლექსიკონში განმარტავს ფორმებს: ჰყოლოფუა, მიჰყოლოფი, ნა-ჰყოლოფუ: “ჰყოლოფუა – милость; оказывать милость, благодеяние; მიჰყოლოფი – окажи мне милость; ნა-ჰყოლოფუ – пожалованный” [ი. ყიფშიძე, 1994].

სვანურში ქართულიდან ნასესხები წყალობ-ის გვერდით ვხვდებით ფორმას ჟღრ. მეჟღრ სვანურში ნიშნავს “სველს”. როგორც ჩანს, ჟღრ რედუქციის შედეგად მიღებული ფორმაა და სემანტიკურად იგი სისველესთან, დასველებასთან დაკავშირებული ტერმინია. მეგრულში დაცულია ჟუერე. იგი “სველ ბალახს” ნიშნავს. (ჟუერე რე დო ვემმართა = ქართ. ბალახი სველია და ნუ შეხვალ.). იგივე ტერმინი ქართული ენის რამდენიმე დიალექტში დასტურდება, მაგრამ სემანტიკური გადაწევის შედეგად მას უკვე პირველადი მნიშვნელობა დაჰკარგვია. აღ. ღლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში ჟვერ სიტყვას სამი სხვადასხვა განმარტება აქვს სხვადასხვა დიალექტის მიხედვით: “1) ჟვერ-ი (გურ. ქვ. იმერ.) – ცუდი ბალახი ერთად სქლად ამოსული (ჰყონ.), ფოთლოვანთა ბუჩქნარი (ა. ღლ.), ეკალ-ბარდის ბუჩქნარი (პ. ჯაჯან.), ფოთლიანი რტო (საბა, ნ. ჩუბ. დ. ჩუბ.); 2) ჟვერ-ი (აჭარ.) – მცენარის ფოთოლი საზოგადოდ (პ. ჯაჯან.); 3) ჟვერ-ი (ლეჩხ.) – ბრგე, დიდი, ახოვანი (მ. ალავე)”. აქვე განმარტებულია ჟვაჟი: “ჟვაჟი (გურ.) დაცვარული მაღალი ბალახი ან ბალახ-ბულახი (ი. ჰყონ.), ნამი, ცვარი (ს. ჟღ.), დილის ნამით დასველებული ბალახი (პ. ჯაჯან.)”. ს-ს. ორბელიანი კი ჟვაჟს განმარტავს, როგორც: “ზის ნაწვიმარი ცვარი (C) ხის ცვარი (DE)”. ჟვერე მეგრულში ნიშნავს აგრეთვე წყალნარევ არაყსაც.”

ჟღრ სიტყვის შემცველი საილუსტრაციო მასალა სვანური ტექსტებიდან:

ჯ'ესერ ჟ'ნგენი ი ერქანღვ' ესერ ჯა მიჩ განხან ლ'დგერნი ი ამსვლდ' ლიმშედანლე ჟღრს ესერ ლაჰვენდე (სეე, ბზ., გვ. 91) – თავად ავდგებო და მერე გვერდით დაგიყენებ და ადამიანის განკურნების (წყალობას) უნარს მოგცემო; ...მეთხვდარ მარე აფსათს ხემზირდ, ერე ნათხვდარე ლოჰოდენს მიჩა ჟღრშვ ი წყალობშვ (სეე, ბზ., გვ. 21) – მონადირე კაცი აფსათზე ლოცულობდა, რომ აფსათს თავისი წყალობით მათთვის მოსანადირებელი მიეცა.

ეს მაგალითი საყურადღებოა იმით, რომ სვანური ჟღრ და ქართულიდან ნასესხები წყალობა სინონიმებად იხმარება.

ო, დიდაბ აჯკად, გუშკვე ლაგვირკას ალ მარე სკ' აგვაჯიდვინ აგვხო ისკვა ჟდრდ ქა გვარ ალე (სექ, ლენტ., გვ. 294) – ო, დიდება მიგივიდეს, ჩვენო წმინდაო კვირიკე, ეს კაცი შემოგვაყვანინე სახლში – და შენს წყალობად ესეც გვეყოფა.

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა, ტერმინი წყალობა იმთავითვე საკრალურ ტერმინად ჩამოყალიბებულიყო, რასაც ხელს შეუწყობდა წყლის კულტის არსებობა საქართველოში. ტერმინი წყალობა რომ ქრისტიანობამდელი წარმოშობის ლექსიკური ერთეულია, ამას ადასტურებს მისი მეგრული ფონეტიკური შესატყვისი ჰყოლოფა და სვანური სემანტიკური შესატყვისი ჟდრ, რომელიც ზოგადქართული ფორმა ჩანს (როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი სისველესთან, დასველებასთან არის დაკავშირებული. შდრ. ჟინჟლავს). საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ სვანური ქართულიდან ნასესხებ წყალ ფორმას მხოლოდ საკრალურ ტერმინთა საწარმოებლად იყენებს, ხოლო მისსავე ლექსიკურ ფონდში არსებულ ლიც-ს = “წყალი” ყოფით დანიშნულებას მიუჩენს.

წყელიან || წყილიან ფორმებს სვანურში ვხვდებით “წმინდა-ს” მნიშვნელობით.

ლ. პალმაიტისი და ჩ. გუჯეჯიანი სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში განმარტავენ წყელიან ფორმას, როგორც: “1. სუფთა, წმინდა, სამღვთო; 2. ვერცხლი.” წყელიან-ისთვის ამოსავალი უნდა იყოს წყლიანი. ამ სიტყვის საბასეული განმარტება ასეთია: “წყლიანი – მოკდომილ-შვენიერი”. სვანურში გვაქვს უარყოფითის უ პრეფიქსით ნაწარმოები ურწყუ || ლიურწყუ-ე/ი, რაც მიცვალებულის სულისათვის მარხვას ნიშნავს. შდრ. უიჰმ – მარხვა, იგი უჰმელობასთან არის გაიგივებული [გაგუა, 1986, გვ. 217]. როგორც ჩანს, ურწყუ “უწყლობას” ნიშნავს). “მველი ქართულის ურწყო-ს – სუფთა, წყალშეურველი” – სემანტიკაა ამოსავალი სვანური ურწყვ და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებისათვის. ი-ურწყვ-ე – “მარხულობს”, ნა-ურწყვ – “ნამარხულები”, მურწყვ-ე – “ის ვინც მარხულობს” [გაზდელიანი, 1988, გვ. 69]. სიტყვა ურწყულ კი სვანურში უწმინდურს ნიშნავს. ეს ტერმინიც ქართულიდან ნასესხები ჩანს, მხოლოდ სვანური ურწყულ და ქართული ურწყული სემანტიკურად არ ემთხვევა ერთმანეთს. ურწყულის საბასეული განმარტება ასეთია: “ურწყული – ქვეყანა უწყლო”.

საილუსტრაციო მასალა სვანური ტექსტებიდან:

1) ურწყვ (მარხვა):

მურწყვი ზურალ ოხდრისი ნაჯაბ შედისგა ნასყნვ ლეზობ დემ იზობდა (სექ, ბზ., გვ. 44) – მმარხველი ქალი სახსნილო საჰმელის მონახარშ ქვაბში გაკეთებულ კერძს არ ჰამდა; ამის ეჯღა იჩომდახ ზურალარ, ერე ალ ლიურწყვევ ესერ ლდგარს ეჩაბუნსდ ლასგრგებ ხარ (სექ, ბზ., გვ. 44) – ამას იმიტომ აკეთებდნენ ქალები, რომ მარხვა მიცვალებულებს იმქვეყნად წაადგებათო. ... ამლა გუნ კრინკდ ხოგანხ მურწყოვა მინე ლიურწყვევის ლიშრავალჩიქდ. ობშინ სამ ი

რწმინდის ზავისგა იურწყვევდახ ზურალწრ (სექ, ბზ., გვ. 44) – ამიტომ დიდი მონდომებით უდგებოდნენ მმარხველები თავიანთ მარხვას გახსნილებამდე. ზოგჯერ წელიწადში სამჯერ და ოთხჯერ მარხულობდნენ ქალები.

2) წყლიან (წმინდა, სუფთა):

დიდაზი ლეკედ ყერ ლწთშვ გარ ისგვჯინი ი იმვწა მაშენე წყილძან ადგილ ხაბჟა, ეჩეჩუნ იგნი. ყერ როქვ აგლეზვრე ნწყვილ ლი ი ეჩრ ლიმზირ მწრა მაშედ ხწრ. ქადაწყილძან მწრე ერვწაღლი, ეჩის გარ ხეწვენი (სექ, ბზ., გვ. 53) – დიდება მისასვლელი ყერი მხოლოდ ღამით გამობრძანდება და რომელსაც ყველაზე წმინდა ადგილად მიიჩნევს, იქ გაჩერდება. ყერი ანგელოზების შთამომავალი არისო და იმაზე ლოცვა ადამიანს შველისო. ჩვენებითაც წმინდა კაცი ვინცაა, იმას ეჩვენება; ... ზურალწრ ჰამს დრსგ კალვს ქწაქელვწლის გუნ წყილძანდ (სექ, ბზ., გვ. 123) – ქალები დილით ადრე ეზოს დაგვიან ძალიან სუფთად; ... შომვწაღქსერ მიჩ ამსვწლდ გვიწყლიანჟინ მიჩ ქა ლწხვგრი ი ლიმშედწლს ხაშგვმინნე ეჩქას ესერ ეჩრ ლიმშედწლე ჰაჯუ ლახვემ (სექ, ბზ., გვ. 90) – როცა ადამიანი წმინდა გულით რამეს შემეხვეწება და შველას მთხოვს, იმისი შველის ძალა მომეციო.

წყელიან ამ შემთხვევაში კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგება. გვიწყლიან-ის ქართული შესატყვისია გულწმინდა, წმინდა გულის მქონე.

3) ურწყულ – უწმინდური:

... ალ ლწმზერთესგა ეშხუ მემგრშკელ ურწყულდ აწჩედელი... ამხანქა მგრშკელწრს ლიმზერ ჩვათურწყვლენახ (სექ, ბზ., გვ. 54) – ამ სალოცავში ერთი მგრშკელელი უწმინდურად შესულა... მისგან (მის გამო) მურშკელელებს ლოცვა გაუუწმინდურდათ; ... ამსვწლდამ მწაღქავინ ჩუ ლემწრელი: დწვ, ჰეც, ურწყულ ი ამკალიბვწრ ჩი ლუმხვიტინ ი ხოლამ გარ ხწჩვმინა (სექ, ბზ., გვ. 88) – ადამიანისთვის რაც მავნე ყოფილა: დევი, მხეცი, უწმინდური და ასეთები, ყველას ხოცავდა და ყველაფერ ცუდს უკეთებდა.

ჩამოთვლილ სიტყვათაგან ურწყვ და წყილიან სვანურში ქართულის გზით დამკვიდრებული საკრალური ტერმინებია. ამ შემთხვევაში სვანური სესხების გზით რელიგიურ ტერმინებს მიჯნავს ყოფითისაგან (რომლებიც არ არის ნასესხები).

6. დაბადება, შექმნა

ტერმინებს – დაბადებას და შექმნას ერთად განვიხილავთ, რადგან ძველ ქართულში ისინი სინონიმურ წყვილს წარმოადგენენ, ზოგ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდითაც იხმარებიან.

წ. მარი “დაბადებას” უკავშირებს “დედა” ფორმას და მას განმარტავს, როგორც “შობას”. ახალ ქართულში, მართალია, “დაბადება” “შობის” მნიშვნელობით გვაქვს,

მაგრამ ისტორიულად ის “დედა” სიტყვისგან წარმომდგარი არ უნდა იყოს, რადგან ძველ ქართულში დაბადება მხოლოდ ღმერთის მოქმედებაა და არც ერთი სხვა არსებისა (ამის შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ). ნ. მარი თავის მოსაზრებას ამგვარად ასაბუთებს: “груз. დედა -ჯ (დიალ. დედა-ჯ) мать представляет основу დედ с усеченным женским окончанием ა, რესპ. ე, та же основа сохранилась и с полным окончанием ж. рода ალ: დედალ-ი – самка. сама основа დედ (*< წდედ) представляет причастие действительного залога в форме კტელ (< კტელ) от слабого трехбуквенного корня წდედ, яфетического эквивалента самит წლდ. В яфетической ветви первый звук წ, რესპ. ვ этого корня также появляется, но с подъемом в ბ (ბდედ). напр. груз. ბადა (*<ბადდა) родил” [Март, 1933, გვ. 36].

დაბადება და შექმნა, მართალია, სინონიმებია ძველ ქართულში, მაგრამ მათ შორის რაღაც განსხვავება უნდა არსებობდეს, ისევე როგორც ნებისმიერ სინონიმურ წყვილს შორის [ფოჩხუა, 1974, გვ. 30-36]. ჰ. ფენრიხი “დაბადებას” უდარებს სვანურ “ლი-ბდ-ეს”, რაც განმარტებულია, როგორც “გამოყრა, გამობნევა, გადასხმა, გადაღვრა” [Фенрих, 1980, გვ. 178]. ამ მოსაზრებას აქვს ერთი წინააღმდეგობა: ლი-ბდ-ე პირველ სერიაში იქნება ბიდ-ე. შეკუმშული ბდ ძირი აღიდგენს ღ ხმოვანს და გვაქვს ბიდ, ნაცვლად ბად-ისა.

1) წარმოვადგენთ დაბადება, შექმნა ტერმინთა კონტექსტური ხმარების შემთხვევებს ბიბლიური ტექსტების მიხედვით.

ძველი აღთქმის შესწავლილ ტექსტთა სხვადასხვა რედაქციებში დაბადება და შექმნა ერთმანეთს ენაცვლებიან. მაგალითები:

... Ἐκτείνω τὴν χεῖρά μου πρὸς τὸν θεὸν τὸν ὑψιστον, ὅς ἐκτίσει τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν (შეს. 14; 22).

... განვიპყრობ ჳელსა ჩემსა ღმრთისა მიმართ მაღლისა, რომელმან შექმნა ცაჲ და ქუეყანა (CB) || ... განვიპყრე ჳელნი ღმრთისა მიმართ მაღლისა, რომელმან დაჰბადნა ცანი და ქვეყანაჲ (O).

ἰδοὺ ἐγὼ ἴα ταύτην τὴν ἄραν αὔριον χάλαζαν πολλὴν σφόδρα, ἥτις τοιαύτη οὐ γέγινεν ἐν Αἴγυπτῳ ἀφ’ ἧς ἡμέρας ἐκτίσται ἕως τῆς ἡμέρας ταύτης (გამ. 9, 18).

... რომლისა ეგევითარი არა იქმნა ეგვპტეს შინა დღით, რომლითგან შექმნა იგი ვიდრე ამად დღედმდე (C) || აჰა, ეგერა ვაწვმო ჟამსა ოდენ ამას ხვალე სეტყუაჲ დიდადი ფრიად, რომელი ეგევითარი არა ყოფილ იყოს ეგვპტეს, ვინაჲთგან დაეზადა, – ვიდრე აქამომდე (OB) || რომელი ეგევითარი არასადა ყოფილ არს ყოველსა ქუეყანასა ეგვპტელთასა ჟამითგან დაბადებისა მისისათ მოაქამომდე (AK). AK რედაქციაში ზმნური ფორმის ნაცვლად გვხვდება მასდარი დაბადება.

ტერმინთა დაბადება, შექმნა ერთ წინადადებაში ხმარების შემთხვევები დასტურდება როგორც ბიბლიური ტექსტის თარგმანებში, ისე ორიგინალურ ძეგლებშიც.

ტერმინები დაბადება, შექმნა ერთმანეთის გვერდით:

ა) დაბადება, შექმნა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

Αἱ χεῖρές σου ἐποίησάν με καὶ ἔπλασάν με (ფსალ. 118, 73).

ველთა შენთა შემქმნეს და დამზადეს მე.

σὺ ἐποίησας πάντα τὰ ὅρια τῆς γῆς θέρος καὶ ἔαρ, σὺ ἔπλασας αὐτα (ფსალ. 73, 17).

შენ შექმენ ყოველნი საზღვარნი ქუეყანისანი, შენ დაჰზადე ზაფხული და არე.

...οὐκ αὐτὸς οὐτός σου πατήρ ἐκτίσατό σε καὶ ἐποίησεν σε καὶ ἔκτισεν σε (მეორ. სჯ. 32, 6).

... ამან სამე თავადმან მამამან შენმან მოგიპოვა შენ, შექმნა შენ და დაგზადა შენ (BDES).

...Οὐκ ἀνέγνωτε ὅτι ὁ κτίσας ἀπ’ ἀρχῆς ἄρσεν καὶ θῆλυ ἐποίησεν αὐτούς (მ 19, 4).

... არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰზადა დასაზამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი? (FG).

ბ) დაზადება მასდარული ფორმით, შექმნა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

ἀπὸ δὲ ἀρχῆς κτισεως ἄρσεν καὶ θῆλυ ἐποίησεν αὐτούς (მრკ 10, 6).

დასაზამითგან დაზადებისადთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი ღმერთმან.

გ) დაზადება, შექმნა ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

αἰνεσάτωσαν τὸ ὄνομα κυρίου, ὅτι αὐτὸς εἶπεν, καὶ ἐγενήθησαν, αὐτὸς ἐνετείλατο, καὶ ἐκτίσθησαν (ფსალ. 148, 5).

აქედით სახელსა უფლისასა, რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან ბრძანა და დაეზადნეს.

ამ მაგალითში შექმნა უზმნისწინოდ არის მოცემული.

ღ) დაზადება, შექმნა ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოცემული:

αὐτοῦ γὰρ ἔσμεν ποίημα, κτισθέντες ἐν Χριστῷ Ἰησοῦ ἐπὶ ἔργοις ἀγαθοῖς... (ეფ. მიმ. 2, 10).

მისი შექმნულნი ვართ და დაზადებულნი ქრისტე იესუმს მიერ საქმეთათვის კეთილთა...

2) მასალა ორიგინალური ტექსტებიდან

ტერმინები დაზადება, შექმნა ერთმანეთის გვერდით:

ა) დაზადება, შექმნა, ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოცემული:

... რამეთუ მისი შექმნულნი ვართ და დაზადებულნი და სიყუარულითა მისითა ნათელ-გვლებიეს (აბო 57).

ბ) დამზადებელი (მოქმედებითი გვარის მიმღეობა). შექმნული (ვნებითი გვარის მიმღეობა):

ქეშმარიტად ქუეყანისა დამზადებელი იგი ქუეყნად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათ-გან მიწისა ბუნებისა იგი ჯორცნი, ვითარცა შუენიერი ჯეჯლი, აღმოსცენდა ქუეყანით და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანნი თვსნი მოციქულნი... (აბო 61).

გ) დაზადება, ზმნის მოქმედებითი გვართა და ვნებითი გვარის მიმღეობით წარმოდგენილი. უზმნისწინო ქმნულ-ი, ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოცემული:

ღმერთო, უშრომელად დაჰბადენ დაბადებულნი ყოველნი და ჰელმწიფებით განმგებელ ხარ ყოველთა ქმნულთა შენთა (გრ. ხანძთ. ცხ. 118).

დ) დამბადებელი, შემოქმედი:

... ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი და ქუეყანისა დამამტკიცებელი... წულილადთაცა საქმეთა მოქმედვე ხარ... (გრ. ხანძთ. ცხ. 118).

... ყოველი სხეული იმ სამის (იგულისხმება განზომილება – ნ. გ.) საშუალებით განსხეულდება დამბადებელი და შემოქმედი (მზადისა და მექმის) ღმერთის მიერ (ი. პეტრ. გვ. 46).*

ე) დასაბადებელი (ვნებითი გვარის მიმღეობა), შექმნა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით გადმოცემული:

ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად (ვეფხ. 1094).

1) ტერმინ დაბადების ცალკე ხმარების შემთხვევები ბიბლიურ ტექსტებში:

ა) დაბადება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

ἐξαποστειλῆς τὸ πνεῦμα σου, καὶ κτισθήσονται καὶ ἀνακαινιῆς τὸ πρόσωπον τῆς γῆς (ფსალ. 103, 30).

გამოავლინო სული შენი და დაჰბადენ იგინი და განაახლო პირი ქუეყანისა ὁ πλάσας κατὰ μόνας τὰς καρδίας αὐτῶν... (ფსალ. 32, 15).

რომელმან დაჰბადნა მხოლოდ გულნი მათნი...

καλσόντων γαμεῖν, ἀπέχεσθαι, βρωμάτων, ἃ ὁ θεὸς ἄκτισεν εἰς μετάληψιν μετὰ εὐχαριστίας τοῖς πιστοῖς καὶ ἐπεγυακῶσι τὴν ἀλήθειαν (1 ტიმ. მიმ. 4, 3).

აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საქმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადნა მისაღებლად მაღლობით მორწმუნეთათჳს და რომელთა იციან ჭეშმარიტებად.

... σὺ ἔκτισας τὰ πάντα... (გამოცხ. 4, 11).

... შენ დაჰბადენ ყოველნივე...

ბ) დაბადება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... Τὸ σάββατον διὰ τὸν ἄνθρωπον ἐγένετο καὶ οὐχ ὁ ἄνθρωπος διὰ τὸ σάββατον (მრკ 2, 27).

... შაბათი კაცისათჳს დაეზადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს.

... οὐκ ἐκτίσθη ἄνθρωπος διὰ τὴν γυναῖκα, ἀλλὰ γυνή διὰ τὸν ἄνδρα (1 კორ. მიმ. 11, 9).

... არა დაეზადა მამაკაცი დედაკაცისთჳს, არამედ დედაკაცი მამაკაცისთჳს.

ὅτι ἐν αὐτῷ ἐκτίσθη τὰ πάντα... τὰ πάντα δι' αὐτοῦ καὶ εἰς αὐτὸν ἔκτισται (კოლ. მიმ. 1, 16).

მის მიერ დაეზადა ყოველივე... ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაეზადა.

... καὶ διὰ τὸ θέλημα σου ἦσαν καὶ ἐκτίσθησαν (გამოცხ. 4, 11).

* დ. მელიქიშვილი სინონიმური პარალელიზმის (ჰენდიადისის) ხერხს მიმართავს და პეტრიწისეულ ტერმინს ახალი ვარიანტის გვერდით მრგვალ ფრჩხილებში სვამს, რათა მკითხველი მათ თანდათან შეეჩვიოს.

... და ნებითა შენითა იყვნეს და დაეზადნეს.

Ἄδὰμ γὰρ πρῶτος ἐπλάσθη, εἶτα Εὐὰ (1 ტიმ. მიმ. 2, 13).

ადამ პირველად დაიზადა და მერმე – ევა.

გ) დაზადება (მასდარი):

... ἡγάπησάς με πρὸ καταβολῆς κόσμου (ი 17, 24).

... შემიყვარე მე უწინარეს სოფლის დაზადებისა.

καθὼς ἐξελέξατο ἡμᾶς ἐν αὐτῷ πρὸ καταβολῆς κόσμου... (ეფ. მიმ. 1, 4).

ვითარცა-იგი გამოგზინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლისა დაზადებისა.

ἐπεὶ ἔδει αὐτὸν πολλάκις παθεῖν ἀπὸ καταβολῆς κόσμου... (ებრ. მიმ. 9, 26).

უკუეთუ ჯერ ვიდრემე-იყო მისა მრავალგზის ვნებად სოფლის დაზადებითგან.

... πάντα αὐτῶς διαμένει ἀπ’ ἀρχῆς κτίσεως (II პეტ. 3, 4).

... ყოველივე ესრეთ ჰგიეს დასაზადითგან დაზადებისაფთ.

დ) დაზადებული (ვნებითი გვარის მიმღობა):

...Πορευθέντες εἰς τὸν κόσμον ἅπαντα κηρῶσατε τὸ εὐαγγέλιον πάση τῇ κτίσει (მრკ 16, 15).

წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველთა დაზადებულთა.

καὶ οὐκ ἔστιν κτίσις ἀφανῆς ἐνώπιον αὐτοῦ... (ებრ. მიმ. 4, 13).

არაჲ არს დაზადებული დაფარულ წინაშე მისსა.

ὅτι καὶ αὐτὴ ἡ κτίσις ἐλευθερωθήσεται ἀπὸ τῆς δουλείας... (ჰრ. მიმ. 8, 21).

... თვთ იგიცა დაზადებული გან-ვე-თავისუფლდეს მონებისაგან...

2) ტერმინი დაზადება ცალკე ორიგინალურ ტექსტებში:

ა) დაზადება ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

ღმერთმან... უკანადასათვს ჟამთა დაჰზადუნა იგინი მონაზონთა სამკვდრებელად და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელად ორ კერძოვე (გრ. ხანძთ. ცხ. 115); შენ დაჰზადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა (ვეფხ. 820); ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰზადებს (ვეფხ. 1500); სამ თვე ვლეს, _ ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაზადოსა (ვეფხ. 1586); კაცი ჩემდა სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავზადე (ვეფხ. 283); ვინ დამზადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთა (ვეფხ. 800); ხოლო მოძრავი მიზეზები და დამზადებელნი (მზადნი) მოძრავებსავე ჰზადებუნ და წარმოაყენებუნ (ი. პეტრ. გვ. 184).

ბ) დაზადება ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... ღმერთი მხოლოდ იცანთ, რომლისა მიერ დაეზადა ყოველი... (აბ. ნეკრ. 168); რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზეცა დაეზადა (ვეფხ. 740); ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაეზადენით (ვეფხ. 939); მე და უსენი შვილითურთ აწ ახლად დავზადენით (ვეფხ. 1129).

გ) დაზადება:

ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუნადსთათჳს ჟამთა დაჰბადნა იგინი... (გრ. ხანძთ. ცხ. 115).

დ) დაბადებული:

შენ ყოველთა დაბადებულთა პატივგცეს (აბო 79); განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიაჲ, ცივი, ჳმელი და ცეცხლი... (აბ. ნეკრ. 168); ქრისტე ღმერთო! ჳორც-შესხმისა შენისა განგებულებაჲ ღმრთეებრ აჩუენე შენთა დაბადებულთა... (გრ. ხანძთ. ცხ. 108).

ე) დამბადებელი (მზადი):

ხოლო მოძრავი მიზეზები და დამბადებელი (მზადნი), მოძრავებსვე ჰბადებენ... (ი. პეტრ. გვ. 184); მიზეზთა ყოველი მიზეზობა და დამბადებელთა დამბადებლობა (ნაბადთა მზადობა) ზესთ მზადისა და ზესთ მიზეზისაგან არისო (ი. პეტრ. გვ. 119).

ვ) დაბადებადი:

ერი დაბადებადი აქებდა უფალსა... (გრ. ხანძთ. ცხ. 100).

ზ) დამბადებლობა (მზადობა):

... მიზეზთა ყოველი მიზეზობა და დამბადებელთა დამბადებლობა (ნაბადთა მზადობა) ზესთ მზადისა და ზესთ მიზეზისაგან არისო (ი. პეტრ. თ. 56); ... რადგან დამბადებლობის (მზადობის) წარმოქმნის (წარმოჩენის) და მიზეზობის მთავრობის ხვედრის მქონეთ [ეს ხვედრი] სხვა არსაიდან მოუპოვებიათ, თუ არ ზესთათა ზესთასაგან... (ი. პეტრ. თ. 56).

თ) დამბადებლობითი (მზადობითი):

... რა ძალიც აქვთ შემდგომებს _ იქნება ეს დამბადებლობითი (მზადობითი) თუ მპყრობელობითი _ პირველითგან აქვთ (ი. პეტრ. თ. 56).

ი) დანაბადი:

ვერცა თუ ნახეს მნახველი ღმრთისაგან დანაბადია (ვეფხ. 120); შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანაბადამან (ვეფხ. 1253); თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია (ვეფხ. 40).

კ) არსებადაუბადებალი:

... არსება-დაუბადებლისა, კაცთმოყუარისა სამებისა წმიდისა მადლითა მიუწდომელად ჩუენგან დაწერილთა, საუკუნოდ ზეცათა შინა ანგელოზთა თანა, წიგნსა მას ცხოველთასა... (გრ. ხანძთ. ცხ. 100).

როგორც ორიგინალური ტექსტებიდან მოყვანილმა მასალამ გვიჩვენა, დაბადება ზმნური მოქმედებითი გვარის ფორმით “ვეფხისტყაოსანში” ირიბ ობიექტური პირის ჳ ნიშნითაც გვხვდება და მის გარეშეც: დაჰბადებს (ვეფხ. 1500), დაბადოს (ვეფხ. 1586). “ვეფხისტყაოსანში” ხშირია დაბადების ენიანი ვნებითის ფორმებიც. ერთ მაგალითში დაბადება ენიანი ვნებითითაც შეგვხვდა: “აწ ახლად დავიბადენით” (ვეფხ. 1129).

ბიბლიური ტექსტებიდან მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში ტერმინი დაბადება შეესატყვისება ბერძნულ ტერმინებს: τίκτω, γίγνομαι, καταβολή, πλάσσω. ყველაზე ხშირად ჩამოთვლილ ტერმინთაგან ვხვდებით პირველს _ τίκτω. καταβολή

დაბადებას შეესატყვისება იმ შემთხვევაში, თუ პირველქმნადობაზეა ლაპარაკი.. წარმოვადგენთ ბერძნულ ტერმინთა ვაისმანისეულ განმარტებებს: τίκτω – рождать, производить; γίγνομαι – рождаться, делаться, происходить, быть, случаться; καταβολή □ Н.З. основание, сотворение, начало; πλάσσω – изображать, представлять, создавать, образовывать, выдумывать, вымышлять.

1) ტერმინი შექმნა ბიბლიური ტექსტების მიხედვით:

ა) შექმნა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

καὶ ἐποίησεν ὁ θεὸς τὰ κήτη...□(შეს. 1; 21).

და შექმნა ღმერთმან ვეშაპნი... (AC).

Καὶ ἐφύτευσεν κύριος ὁ θεὸς παράδεισον ἐν Ἐδεμ κατὰ ἀνατολὰς καὶ ἔθετο ἐκεῖ τὸν ἄνθρωπον, ὃν ἔπλασεν□(შეს. 2, 8).

და დაჰნერგა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავალით და დადვა მუნ კაცი, რომელი შექმნა (CB).

... ἦς ἔκτισεν ὁ θεὸς ἄνθρωπον ἐπὶ τῆς γῆς...□□(მეორ. სჯ. 4, 32).

... შექმნა ღმერთმან კაცი იგი პირსა ზედა ქუეყანისასა (ABES) || ... აღაგლ ღმერთმან კაცი ქუეყანასა ზედა... (G).

ამ შემთხვევაში მეორე სჯულის G რედაქციაში მოცემული აღაგლ ზმნა ენაცვლება ABES რედაქციაში მოცემულ შექმნას.

ἄφρονες, οὐχ ὁ ποιήσας τὸ ἔξωθεν καὶ τὸ ἔσωθεν ἐποίησεν□(ლ 11, 40).

... რომელმან...იგი გარეშე შექმნა, მანცა შინაგანი შექმნა.

... Ὁ ποιῶν τοὺς ἀγγέλους αὐτοῦ πνεύματα καὶ τοὺς λειτουργοὺς αὐτοῦ πουρὸς φλόγα (ებ რ. მიმ. 1, 7).

... რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა.

ὁ δὲ κατεργασάμενος ἡμᾶς εἰς αὐτὸ τοῦτο θεός, ὁ δούς ἡμῖν τὸν ἀραβῶνα τοῦ πνεύματος (II კორ. მიმ. 5, 5).

ხოლო რომელმან-იგი შემქმნა ჩუენ ამისთვის მებრვე ღმერთმან, რომელმან მომცა ჩუენ წინდი იგი სულისაჲ.

... ἐν ᾧ καὶ ἐκκληρώθημεν προορισθέντες κατὰ πρόθεσιν τοῦ τὰ πάντα ἐνεργοῦντος κατὰ τὴν βουλὴν τοῦ θελήματος αὐτοῦ□□(ეფ. მიმ. 1, 11).

... წინადწარ ვიჩინენით ნებითა ღმრთისაჲთა, რომელმან-იგი ყოველივე შექმნა ზრახვისაებრ ნებისა მისისა.

ბ) შექმნა ზმნის ვნებითი გვარის ფორმით:

... τῇ ἡμέρᾳ ταύτῃ γέγονας εἰς λαὸν κυριῶ τῷ θεῷ σου (მეორ. სჯ. 27, 9).

... დღეს შეიქმენ შენ ერად უფლისა ღმრთისა შენისა (BDES) || ... დღეს დღე შეექმენ შენ ერად უფალსა ღმერთსა შენსა (G).

BDES რედაქცია ამ შემთხვევაში იყენებს ენაიანი ვნებითის ფორმას (შეიქმენ), ხოლო G რედაქცია – ენაიანი ვნებითისას (შეექმენ).

ἡ γὰρ κατὰ θεὸν λύπη μετάνοιαν εἰς σωτηρίαν ἀμεταμέλητον ἐργάζεται ἢ δὲ τοῦ κόσμου λύπη θάνατον κατεργάζεται (II კორ. მიმ. 7, 10).

ღმრთისა მიერი იგი მწუხარებად სინანულსა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა ამის მწუხარებად სიკუდილსა შეიქმს.

ვ) შესაქმე (სახელი):

Αὕτη ἡ βίβλος γενέσεως ἀνθρώπων... (შეს. 5, 1).

ესე წიგნი შესაქმისა კაცთასა... (CB).

[ἡ γλῶσσα]... καὶ φλογίζουσα, τὸν τροχὸν τῆς γενέσεως καὶ φλογιζομένη ὑπὸ τῆς γείνους (იაკ. 3, 6).

[ენა]... აღაგზებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა და აღგზნებულ არს გეჰენისაგან.

2) საილუსტრაციო მასალა “ვეფხისტყაოსნიდან” და იოანე პეტრიწის “განმარტება პროკლე დიადოხოსის “ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა”-დან:

ა) შექმნა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა (ვეფხ. 1); ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა (ვეფხ. 2); ბოროტიმცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა (ვეფხ. 116).

ბ) შემქმნელი(ა) (მოქმედებითი გვარის მიმღობა):

ღმრთეებრივებს შორის ყოველი მამებრივი პირველი შემქმნელია (აღმქმნელ) არს... (ი. პეტრ. გვ. 172. თ. 151).

... ყოველივე იმის შემქმნელი (მექმე) და მამა, რასაც გვარი ხვდა წილად, არის გონება... (ი. პეტრ. გვ. 184).

გ) შესაქმე (სახელი):

ამიტომაც გვავალია, გამგონეო, საღმრთისმეტყველო ხედვებში შემავალო, რომ ყოველივე ამისი, როგორც შესაქმეთა და დასაბამთა, მცოდნე (მეცნიერ) იყო, რათა არა დაგიბრკოლდეს თვალთახედვა (ი. პეტრ. გვ. 147).

დ) შემოქმედებითი:

ყოველ საკუთრივ მიზეზად წოდებულს შემოქმედებითი წესი და ადგილი უკავია (ი. პეტრ. გვ. 132); ... თუკი რაიმე უმრავლესთა მიზეზია, უფრო შორს გამწვდომია შემოქმედებითი ძალით (ი. პეტრ. გვ. 131).

როგორც ბიბლიური ტექსტებიდან დამოწმებულმა საილუსტრაციო მასალამ გვიჩვენა, შექმნის ბერძნულ შესატყვისად უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ποιέω - делать, производить, творить, совершать, строить; ἐργά-ζομαι - работать, трудиться, делать... გვხვდება აგრეთვე γίγνομαι, πλάσσω, რომლებიც ტერმინ დაბადების შესატყვისებადაც დავადასტურეთ.

როგორც დამოწმებული მასალა გვიჩვენებს, ტერმინი დაბადება ძველ ქართულში მხოლოდ უფლის მოქმედებას გულისხმობს. ფსევდოდოიონისე არეოპაგელი თავის ნაშრომში “საღმრთოთა სახელთათვს” დაბადებას განმარტავს, როგორც ღვთის ბუნებას: “ბუნება სახიერისა არს დაბადებად და ცხოვნებად, ხოლო ბოროტისა განხრწნად და წაწყმედად” [ფსევდოდოიონისე, 1987, გვ. 210]. ეფრემ მცირე დაბადებას და შექმნას ერთად

განმარტავს: “შექმნა ითქუმის ჯორცთათვის, ხოლო დაბადება — სულთათვის... შექმნა ითქუმის პირველისა მისთვის, რაჟამს მიწისაგან შევიქმენით, ხოლო დაბადებად მეორედ განახლებასა ქრისტესმიერსა უწოდთ [დობორჯგინიძე, 1998, გვ. 94].

“დაბადების წიგნში ტერმინი დაბადება არ გვხვდება. აქ მის ნაცვლად გვაქვს შექმნა. ამ წიგნს, როგორც ცნობილია, “შესაქმესაც” უწოდებენ. როგორც ჩანს, იგი უფრო ადრინდელი სახელწოდებაა მისი, “დაბადება” კი გვიანდელია, შესაძლოა ნასესხებიც იყოს. ამასვე ადასტურებს ეფრემ მცირის ზემოთ მოყვანილი განმარტებაც, სადაც იგი დაბადებას ქრისტესმიერ მეორედ განახლებას უკავშირებს, შექმნას — სამყაროს შესაქმეს.

ს.-ს. ორბელიანი დაბადებას “სიტყვის კონაში” ასე განმარტავს: “დაბადება არს შექმნა სოფლისა და შობა კაცისა. დაბადება არს დასაბამად შექმნა სოფლისა, დაბადებად ითქმის შობა კაცისა. დაბადება ქმნად ითქმის და არა შობად, რამეთუ რა რასაგან არსად და არსებად ქმნა არს, რამეთუ იტყვის “დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა” და შექმნა ანგელოზნი მისნი აღსულად და შექმნა ადამ და ეგევიტარი, რამეთუ პირველი დაბადება ქმნად ითქმის და არა შობად. ხოლო შობად ითქმის თვისისასა არსებისა და ბუნებისა და მზგავსისა თვისისა წარმოჩენაჲ (დამასკელი, კატელორიაში). დაბადება არს დასაბამად შექმნა სოფლისა, დაბადებად ითქმის შობა კაცისა, დამბადებელი არს ღმერთი” [საბა, 1966].

საბა დაბადებისა და შობის განსხვავებულობაზე, როგორც ჩანს, მყარ აზრს არ გამოთქვამს. საბას დროინდელ ქართულში დაბადება შობის მნიშვნელობით ახალფეხმოკიდებული ჩანს, თუმცა ამის დამადასტურებელი მაგალითი მას არ მოუყვანია. სულხან-საბას ზმნისწინიანი ფორმა შექმნა ლექსიკონში არ შეუტანია. იგი განმარტავს უზმნისწინო ქმნა-ს: “ქმნა (1,1 დაბად.) — ქმნა ვიდრემე არს არამყოფობისაგან მყოფად მოსვლა, რამეთუ რა-იგი არ იყო, პირველ იქმნა; ხოლო ხრწნა წინაუკმო, მყოფობისაგან არამყოფად შეცვალება, ქმნილთაგანი რომელიმე ჩვენ ქვეშე არიან, ხოლო რომელიმე არა ჩვენ ქვეშე. ჩვენ ქვეშე ვიდრემე არიან, რომელთა ჩვენ ვართ მფლობელ ქმნისა და არაქმნისა მათისა, ესე იგი არს ყოველივე ნებსით ქმნილი ჩვენ მიერ (ხოლო არა ჩვენ ქვეშე იძულებით ქმნილი) საჯმარ არს ამისა ცნობად, ვითარმედ გამორჩევაჲ საქმეთა მარადის ჩვენ ქვეშე არიან, ხოლო ქმნად დავეყენებით მრავალგზის სახითა რათამე წინა განგებისაჲთა”. როგორც საბას სჩვევია, ქმნა-ს განმარტებას ამ ტერმინის საკრალური მნიშვნელობით იწყებს, შემდეგ კი ცდილობს მისი ყოფითი მნიშვნელობის წარმოჩენას. ბოლოს იგი ტერმინ ქმნას ყოფითი დანიშნულების გაქარწყლებით ამთავრებს (“ხოლო ქმნად დავეყენებით მრავალგზის სახითა რათამე წინა განგებისაჲთა”).

დაკბადებს და შექმნის ზმნათა მოქმედებას ს.-ს. ორბელიანი ღმერთს მიაწერს (იხ. ტერმინ მამას განმარტება, გვ. 40). ამავე ზმნებისგანაა მიღებული ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი ტერმინები დამბადებელი, შემოქმედი.

დაბადების ილ. აბულაძისეული განმარტება: “დაბადება — დაფუძნება, დამყარება, შექმნა, ქმნა, შობა”. დაბადება — დასაბამი, ქმნილება, ბიბლია”, “დაბადებელი — ქმნილი,

შობილი”. “დაბადებულობა – შექმნილობა”, “დამბადებელი – შემოქმედი”. (“შობის” მნიშვნელობით “დაბადების” შემცველი მაგალითები ავტორს არ მოუცია). ილ. აბულაძე უზმნისწინო ბადებას განმარტავს, როგორც შობას: “ბადება – შობა: ცოლი ვისც და შვილი არა მებადების”. აქვე განმარტებულია კომპოზიტი “პირველდაბადებულ-ი: პირველშექმნილი”, “პირველშექმნილი”: პირველდაბადებული იგი მამად სოფლისა... დაიცვა (O); “პირველშექმნილი მამად სოფლისა... დაიცვენ” (ph, სიბრძ. სოლ. 10,1). ილ. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში” ვხვდებით აგრეთვე უარყოფით ფორმას დაუბადებელი: დაუბადებელი – უქმნელი: “შემოიღებენ ღმრთისა თანა სიჭშირისა დაუბადებელსა” (ბ. კეს. ექუს. დდ. 41, 20).

ივ. იმნაიშვილი “ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში” “დაბადებას” ასე განმარტავს: “დაბადება – გაჩენა, შექმნა”.

ი. პეტრიწის “განმარტება პროკლე დიადოხოსის “ღვთისმეტყველების საფუძვლებისა-ზე” დართულ ლექსიკონში დაბადებად (δημιουργείν) ასეა განმარტებული: “წამოყენება ყოველთა, ანუ თუ მკობად, ანუ სრულქმნად, ანუ დაბადებად... უთვსეს [არს] ყოველთა მიზეზთა: (ი. პეტრ. თ. 25). აქვე განმარტებულია აგრეთვე ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები: მბადი, დამბადებელი და მბადობა-ე, დამბადებლობა: “მბად-ი, დამბადებელი – შემქმნელი (უმეტეს უსახური და უმსგავსო ერთი ერთისა უმცროდსთა მბად და მარსებელ: თ. 61)”. “მბადობით-ი [ძალი] დამბადებლობითი [ძალა] (რააცა აქუს შემდგომთა – ანუ მპყრობელობითი – პირველთაგან აქუს: თ. 56)”.

დაბადება, დამოწმებული საილუსტრაციო მასალისა და სალექსიკონო განმარტებების მიხედვით, შობის სინონიმად არსად არ დადასტურებულია. იგი, როგორც აღინიშნა, ძველ ქართულში “შექმნის” სინონიმი ჩანს.

ქეგლ-ის რვატომეულში დაბადება ასეა განმარტებული: “დაბადება (დაბადებისა) სახელი დაბადებს, დაიბადება ზმნათა მოქმედებისა.
 1. გაჩენა (ცოცხალი არსებისა), – შობა. ბავშვის დაბადება. – დაბადების წელი. – “აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენს შორის მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი” (ილია). 2. შექმნა, გაჩენა, წარმოშობა. “ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურ მედიდურ ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!” (ა. ყაზბ.). დაბადებით ზმნს. დაბადებიდან, შობიდან, გაჩენიდან, იმთავითვე. “დაბადებით არის [გოგო უსინათლო], თუ რაიმე ავადმყოფობით მოუვიდა?” (ნ. ლომოური). მთვარის დაბადება, მთვარის განახლება, მთვარის გადაბრუნება, ახალი მთვარის გამოჩენა. “24 იანვარს მთვარის დაბადების დღესასწაული იყო დაწესებული” (ივ. ჯავახიშვილი). 3. ეკლ. ძველი აღთქმის მოსეს პირველი წიგნის სახელწოდება; ჩვეულებრივ, იხმარება როგორც ძველი აღთქმის წიგნების საერთო სახელწოდება – ბიბლია. “დაბადების პირველი წიგნის ავტორი დარწმუნებულია კიდევ, რომ მქედლობა ტაბალის მოგონილი ხელობაა” (ივ. ჯავახიშვილი).

ალ. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” პირველად დაბადების სინონიმად მიჩნეულია “ბიბლია, საღმთო სჯული”, მეორე შემთხვევაში კი – შობა, გაჩენა.

როგორც სალექსიკონო მასალა გვიჩვენებს, თანამედროვე ქართულ ენაში დაბადება შექმნის სინონიმად აღარ გაიაზრება.

ქველ-ის ერთტომეულის მიხედვით, შექმნა ისევ ყოფითი მნიშვნელობის ტერმინადაა განმარტებული: “შექმნა || შექმნის 1. გააჩენს, წარმოშობს, ჩამოაყალიბებს. ოჯახი შექმნეს. – ძველ აღმოსავლეთში ხეთებმა ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. – საბჭოთა მეურნეობა შექმნეს. 2. შეთხზავს. ხალხმა მრავალი თქმულება შექმნა. 3. ატებს, დაიწყებს, მოჰყვება. წივილ-კივილი შექმნეს. ძაღლებმა შექმნეს ყეფა.”

დაბადება, შექმნა და- და შე- ზმნისწინებით ნაწარმოები ფორმებია. შე- ზმნისწინი “ცენტრისკენული” და- ზმნისწინის სინონიმად და გან-ის ანტონიმად არის ცნობილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში. და- ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავენ თავმოყრას, კონცენტრაციას, ერთ ადგილზე დაფუძნებას. მაგ: დამკვიდრება, დამყარება, დაარსება, დაქუჩება და მისთ [აფრიდონიძე, 1980, გვ. 90]. იგივე შეიძლება ითქვას შე- ზმნისწინზედაც.

აკ. შანიძე “დაჰბადა” ზმნას განსაკუთრებულ ტიპს მიაკუთვნებს იმის გამო, რომ ის ფორმით სამპირიანია, შინაარსით კი – ორპირიანი. მეცნიერს დაკარგულად მიაჩნია ირიბი ობიექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვეყანა ლექსემით. ამასთანავე, დაბადება ძველ ქართულში ხშირად იხმარებოდა ენიანი ვნებითის ფორმით [შანიძე, 1981, გვ. 173]. დროთა განმავლობაში ერთმანეთს გაუთანაბრდა დაჰბადა და დაბადა, დაეზადა და დაიზადა. შესაძლოა, ტერმინ დაბადების სემანტიკური გადახრის გამო იჩინა თავი გრამატიკულმა ცვლილებებმა. ამ მოსაზრების გასამყარებლად მოვიშველიებთ ო. იესპერსენის ნათქვამს: „Форма и функция в жизни языка неотделимы и, когда языковедческая наука говорила об одной из сторон, игнорируя другую и таким образом упускала из виду постоянную взаимосвязь, это наносило ей ущерб“ [Есперсен, 1958, გვ. 40].

ვნახოთ შობის ბერძნული შესატყვისები ბიბლიური ტექსტების მიხედვით, რაც უკეთ გაგვააზრებინებს დაბადების სემანტიკას ქართულში:

ა) შობა ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

θεὸν τὸν γεννησαντὰ σε ἐγκατέλιπες καὶ ἐπέλαθου θεοῦ τοῦ τρέφοντός σε (მეორ. სჯ. 32, 18).

აწ ღმერთი, რომელმან გშვა შენ, დაუტევე და დაივიწყე ღმერთი, გამომზრდელი შენი (BDES).

Ἰακώβ δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰωσήφ τὸν ἄνδρα, Μαρίας ἐξ ἧς ἐγέννηθη Ἰησοῦς ὁ λεγόμενος Χριστός (მ 1, 16).

იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტე (FG).

... ἐγὼ σήμερον γεγέννηκα σε (საქ. 13, 33).

... მე დღეს მიშობიე შენ.

παρακαλῶ σε περὶ τοῦ ἐμοῦ τέκνου, ὃν ἐγέννησα ἐν τοῖς δεσμοῖς, Ὁνήσιμου (ფილ. მიმ. 1, 10).

გლოცავ შენ შვილისა ჩემისათვის, რომელი ვშეგვ კრულებათა შინა ჩემთა, ონისიმე.

ბ) შობა (სახელი):

ἐγένετο δὲ ἐν τῇ ἡμέρᾳ τῇ τρίτῃ ἡμέρα γαλέσεως ἡν Φαραων... (შეს. 40, 20).

მესამესა დღესა დღე იყო შობისა ფარაონის.

Καὶ οὖται αἱ γενέσεις Ααρων καὶ Μωσῆ ἐν ἡ ἡμέρᾳ ἐλάλησεν κύριος τῷ Μωσῆ ἐν ὄρει Σινα, καὶ ταῦτα τὰ ὀνόματα τῶν υἱῶν Ααρων πρωτότοκος Ναδαβ καὶ Αβιουδ, Ελεαζαρ καὶ Ιθαμαρ (რიცხ. 3; 1-2).

ესე შობა (შობანი B) აპრონისი და მოსესი დღესა მას, რომელსა ეტყოდა უფალი მოსეს მთასა ზედა სინასა, და ესე სახელნი ძეთა აპრონისთანნი: პირმშობ ნადაბ და აბიუთ და ელიაზარ და ითამარ (S) || და ესე ქმნანი ოთხნი აარონის და მოსესნი დღესა, რომელსა ეტყოდა ღმერთი მოსეს მთასა ზედა სინასა და ესე სახელები ძეთა აარონისათა: პირმშობ ნადაბ და აბიუდ და ელიაზარ და ითამარ (G).

ამ უკანასკნელ მაგალითში რიცხვთას G რედაქციაში შობის ნაცვლად გვხვდება ქმნანი, ე.ი. შობა და ქმნა ერთმანეთის მიმართ სინონიმებად არის წარმოდგენილი.

βίβλος γενέσεως Ἰησοῦ Χριστοῦ...(მ 1, 1).

წიგნი შობისა იესუ ქრისტესი (FG).

Καὶ παράγων εἶδεν ἄνθρωπον τυφλὸν ἐκ γενετῆς (ი 9, 1).

ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი ბრმა შობითგან (FG).

καὶ ἐν γαστρὶ ἔχουσα, καὶ κράζει ᾠδίνουσα καὶ βασαιζομένη τεκεῖν (გამოცხ. 12, 2).

მუცლად-ილო და ღალადებდა, რამეთუ ელმოდა და იგუემებოდა შობად.

გ) მშობელი (მოქმედებითი გვარის მიმღობა):

θεὸν τὸν γεννήσαντὰ σε ἐγκατέλιπες καὶ ἐπελάθου θεοῦ τοῦ πρέφοντός (მეორ. სჯ. 32, 18).

ღმერთი, მშობელი შენი, დაუტევე და დაივიწყე ღმრთისა მზრდელისა შენისა (G) || ან ღმერთი, რომელმან გშვა შენ, დაუტევე და დაივიწყე ღმერთი, გამომზრდელი შენი (BDES).

მეორე სჯულის BDES რედაქციაში მშობელ ფორმის ნაცვლად გვაქვს ზმნური მოქმედებითი გვარის გშვა.

დ) შობილი (ვნებითი გვარის მიმღობა):

...Ἡμεῖς ἐκ πορνείας οὐ γεγεννήμεθα (ი 8, 41).

... ჩვენ სიძვით არა შობილ ვართ... (FG).

Πᾶς ὁ γεγεννημένος ἐκ τοῦ θεοῦ ἁμαρτίαν οὐ ποιεῖ ὅτι σπέρμα οὐτοῦ ἐν αὐτῷ μένει, καὶ οὐ δύναται ἁμαρτάνειν, ὅτι ἐκ τοῦ θεοῦ γεγέννηται (1 იოვ. 3, 9).

ყოველი რომელი შობილ არს ღმრთისაგან, მან ცოდვა აქა ქმნის, რამეთუ თესლი მისი მის თანა დადგრომილ არს. და ვერ კელ-ეწიფების ცოდვად, რამეთუ ღმრთისა მიერ შობილ არს.

ე) მხოლოდ-შობილი:

θεὸν οὐδέεις ἑώρακεν πώποτε μολογενῆς θεός (ი 1, 18).

ღმერთი არსადა ვინ იხილა, გარნა მხოლოდ-შობილმან ძემან... (FG).

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, შობის შესატყვისად ბერძნულში ძირითადად გვხვდება ტერმინი γίγισμαι (γένεσις). იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ΤΙΚΤΩ.

ს.-ს. ორბელიანი შობას ასე განმარტავს: “შობა უკვე არს არსებისაგან მშობლისა შობად შობილისად და არსებით მზგავსისა და თანასწორისა და ბუნებით თანაზიარისა და თანამოსახელისა თვისისა მიზეზისა”. მისსავე ლექსიკონში განმარტებულია გენეტლია, როგორც ჩანს, იგივე γένεσις. “გენეტლია ბერძნულია, შობისად გამოითარგმანება, ხოლო ეპიტაფია საფლავსა ზედა”. აქვე მოცემულია “გენიტონ – რომელ არს აგებულება”. ასე რომ, ბერძნულში დაბადების ძირითად შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ ΤΙΚΤΩ, შობისა – γίγισμαι.

შობა რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინიცაა. დღევანდელი დაბადების დღის ნაცვლად ძველ ქართულში “შობისა დღენი” გვაქვს. [და ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი როკვიდა ასული ჰეროდიადისი შორის (მ 14, 6) (FG)].

ტერმინ შესაქმესთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი, განიხილავს რა სვანურ ხალხურ დღესასწაულს საქმისად, აღნიშნავს: “რაკი “შესაქმე” ძველ ქართულში შექმნას, წარმოშობას, გენეზისს ჰნიშნავდა, “საქმისად”, მამასადაძმე, შვილოსნობისა და შექმნისათვის განკუთვნილ ორგანოს უნდა ჰნიშნავდეს” [ჯავახიშვილი, 1979, გვ. 112].

ამდენად, დაბადება და შექმნა ძველ ქართულ ენაში საკრალურ ტერმინად იყო მიჩნეული, ახალ ქართულში ტერმინთა საკრალურმა გააზრებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა, ხოლო ყოფითმა მნიშვნელობამ წინ წამოიწია, ანუ, როგორც ზემოთ აღნიშნა, დაბადება, შექმნა სინონიმურ წყვილს აღარ წარმოადგენს: დაბადება შობის სინონიმად იქცა.

დაბადებისა და შექმნის შესატყვისი ტერმინები მეგრულსა და სვანურში არ მოგვეპოვება.

7. რ წ მ ე ნ ა

1) ქართული

რწმენა ტერმინისათვის ამოსავალი უნდა იყოს წამ ძირი (შდრ. მრწამსი, მრწამს). რ სონორი განვითარებული ბგერა ჩანს. იგივე წამ ძირი დაცულია ტერმინში წამ-ებ-ა. რაც ძველ ქართულში “დადასტურებას”, “დამოწმებას” ნიშნავს (ადამიანს ზოგადად სწამს ის, რის არსებობასაც ადასტურებს).

აკ. შანიძე რწამ/რწმენა ფორმას თავისებურ ზმნათა რიგში ათავსებს და აღნიშნავს, რომ მას “ზოგჯერ ეკარგება რ: მრწამს, გრწამს, ჰრწამს, ან მწამს, გწამს, სწამს (“ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო”. ანდაზა) აქვს მარტო აწმყოს წრის მწკრივის ფორმები (მრწამდა, მრწამდეს)” [შანიძე, 1980, გვ. 541].

რწმენის ილ. აბულაძისეული განმარტება: “რწმენა – დაჯერება: “გრწმენინ სახარებისად” (მრკ. 1, 15) “არა გრწმენინ სიტყვანი ჩემნი” (ლ 1, 20); “წარმავლინა მე ქადაგებად ყოველთა წარმართთა რწმენად მისა მიმართ” (ი. მოც. 74, 20)”.

რწმენას ს.-ს. ორბელიანიც განმარტავს, როგორც დაჯერებას. მრწამსი, მისი განმარტებით, არის “მართალი სარწმუნოება”.

ქეგლ-ის რვატომეულში 3-რწამს ასეა განმარტებული: “3რწამს – (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ძვ. გარდაუვ. სტატ. ან მე უგუნურსა რად მწამდა ბედისა დაუსრულება (გრ. ორბელიანი).”

რწმენ-ის ქეგლ-ისეული განმარტება: “რწმენა 1. სახელი სწამს ზმნის მოქმედებისა, – რისამე მიჩნევა დამაჯერებლად, უეჭველად, აუცილებლად, დაჯერება, დარწმუნება რამეში: “მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძლოდა” (ილია). 2. რაც სწამთ, – მრწამსი, მსოფლმხედველობა: “აქაურ ხალხს ერთი რწმენა აქვს: ღამე რაკი მზე ჩაესვენება,... აქ სულიერი არსება ვეღარ გაიჭაჭანებს (ს. მგალობ.). || რელიგიის მიმდევრის მრწამსი, სარწმუნოება: “მეფეს ახალი მოძღვრების ამბავი თუმცა გაუგია, მაგრამ მამაპაპეული რწმენის უარყოფა მაინც არ მოუწოდებია” (ივ. ჯავახიშვილი).” აქვე დამოწმებულია აგრეთვე ტერმინ რწმენა-ს შემცველი კომპოზიციები და მისგან ნაწარმოები სიტყვები: რწმენადაკარგული – ვისაც რწმენა აქვს დაკარგული; რწმენანაკლები (ძველ ქართულში: მცირედმორწმუნე – ნ.გ.) – ვისაც რისამე რწმენა აკლია; რწმუნდებ-ა (დარწმუნდა, დარწმუნებულა) გარდაუვ. ვნებ. არწმუნებს ზმნისა – რისამე რწმენა უჩნდება, იჯერებს რასმე; რწმუნებული – მიმღ. ვნებ. ნამ. 1. პირი, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს სახელმწიფოს, ორგანიზაციის ან კერძო პირის საქმეები და დაიცვას მათი ინტერესები, – წარმომადგენელი. 2. ძვ. ოფიც. (ვისიმე) განკარგულებაში მყოფი, – მინდობილი.

მაშასადამე, ქეგლ-იდან მოყვანილ მასალაში რწმ ძირის შემცველი ზმნური ფორმებია: რწმუნდება, არწმუნებს, მიმღეობური კი – რწმუნებული.

რწმენის სინონიმად ალ. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” მიჩნეულია თვალსაზრისიც.

ობიექტური წყობის მწამს ზმნა გარდაუვალია.

ტერმინ რწმენას ზმნური ფორმები თავისებურებას ავლენენ სინტაქსური წყობის თვალსაზრისით. სიტყვა რწმენასთან შეხამებისას სიტყვა ღმერთი ან მისი შემცველი სინონიმები შეიძლება შეგვხვდეს სახელობითსა და ნათესაობით ბრუნვებში (როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ ენაში). ძველ ქართულშიც და ახალშიც ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებთან შეხამებაში რწმენა ფორმასთან სახელი მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება.

მაგალითები ბიბლიური ტექსტებიდან:

ა) სწამს ზმნასთან სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

...ἃ ἐποίησεν κύριος τοῖς Αἰγυπτίοις ἐφοβήθη δὲ ὁ λαὸς τὸν κύριον καὶ ἐπίστευσαν τῷ θεῷ καὶ Μωσῆ... (გამ. 14, 31).

... შეეშინა ერსა მას უფლისა და ჰრწმენა ღმრთისა და მოსესი, მსახურისა მისისა (B).

... πιστεύετε εἰς τὸν θεὸν καὶ εἰς ἐμὲ πιστεύετε (ი 14, 1).

... გრწმენინ ღმრთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ (FG).

ἀμὴν, ἀμὴν λέγω ὑμῖν ὁ πιστεύων ἔχει ζωὴν αἰώνιον (ი 6, 47).

ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი აქუნდეს ცხოვრება საუკუნოდ (FG).

... καὶ πιστεύετε ἐν τῷ εὐαγγελίῳ (მრკ 1, 15).

... გრწმენინ სახარებისა (FG).

... καὶ θεασάμενοι ἃ ἐποίησεν ἐπίστευσαν εἰς αὐτόν (ი 11, 45).

... მრავალთა ჰრწმენა მისი (FG).

ἐγὼ φῶς εἰς τὸν κοσμον ἐλήλυθα, ἵνα πᾶς ὁ πιστεύων εἰς ἐμὲ ἐν τῇ σκοτίᾳ μὴ μείνη (ი 12, 46).

მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რადთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს (FG).

მოყვანილ მაგალითებში მრწამს ზმნა ნათესაობითი ბრუნვით (ძირითადად კუთვნილებითი ნაცვალსახელით) წარმოდგენილ სახელთან გვხვდება. მრწამს ზმნის თანმხლები სახელი შეიძლება იყოს ღმერთის ამსახველიც და ადამიანისაც...

რწმენა, მრწამს ფორმის ბერძნული შესატყვისი, როგორც გამოირკვა, არის πιστεύω. მისი ვაისმანისეული განმარტება: верить, доверять, полагаться (на кого-л. или что-л.). Н.З. веровать: εἰς θεόν, τό θεω.

ბ) სწამს ზმნასთან სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით:

ὁ πιστεύων εἰς τὸν υἱὸν ἔχει ζωὴν αἰώνιον... (ი 3, 36).

რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუს ცხოვრება საუკუნოდ... (FG).

ὡς τὸ φῶς ἔχετε, πιστεύετε εἰς τὸ φῶς... (ი 12, 36).

ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი... (FG).

... καὶ ἡμῖν πιστεύσασι ἐπὶ τὸν κύριον Ἰησοῦν Χριστόν... (საქ. 11, 17).

... რომელთა-ესე გურწმენა უფალი იესუ ქრისტე...

... Ἐπίστευσεν δὲ Ἀβραάμ τῷ θεῷ... Π(იაკ. 2, 23).

... ჰრწმენა აბრაამს ღმერთი ...

გვხვდება ისეთი შემთხვევები, სადაც რწმენის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმასთან გამოტოვებულია სუბიექტი და ობიექტი, ან მხოლოდ ობიექტი. ამ შემთხვევაში პოტენციურად შესაძლებელია იხმარებოდეს ორივე ბრუნვის ფორმა – როგორც ნათესაობითი, ისე სახელობითი.

1) გამოტოვებულია სუბიექტი და ობიექტი:

... Εἶπον ὑμῖν καὶ οὐ πιστεύετε Π(ი 10, 25).

... გითხარ თქვენ, და არა გრწამს... (FG).

... ὅτι ἄν πιστεύσης ὅψη τῆν δόξαν τοῦ θεοῦ (ი 11, 40).

... უკეთუ გრწმენეს, იხილო დიდება ღმრთისა (FG).

... Τοῦτό ἐστιν τὸ ἔργον τοῦ θεοῦ, ἵνα πιστεύητε εἰς ὃν ἀπέστειλεν ἐκεῖνος (ი 6, 29).

... ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რადთა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოავლინა (FG).

οὐ πιστεύεις ὅτι ἐγὼ ἐν τῷ πατρὶ καὶ ὁ πατήρ ἐν ἐμοί ἐστιν... (ი 14, 10).

არა გრწამს, რამეთუ მე მამისა თანა ვარ და მამად ჩემ თანა?... (FG).

... Πιστεύω βοῦμαι μου τῆ ἀπιστία (მრკ 9, 24).

... მრწამს, შემეწიე ურწმუნობასა ჩემსა (FG).

მრწამს ზმნასთან გამოტოვებულია ობიექტი:

... πολὺς τε ἀριθμὸς ὁ πιστεύσας ἐπέστρεψεν ἐπὶ τὸν κύριον [][] (საქ. 11, 21).

... მრავალსა რიცხუსა ჰრწმენა და მოიქცეს უფლისა.

σὺ πιστεύεις ὅτι εἷς ἐστιν ὁ θεός, καλῶς ποιεῖς καὶ τὰ δαιμόνια πιστεύουσιν καὶ φρίσσει σιν (იაკ. 2, 19).

შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან.

მოყვანილ მაგალითებში რწმენის ზმნური ფორმები ობიექტური წყობითაა წარმოდგენილი, გვხვდება სუბიექტური წყობითაც:

... οὐκ ἐνεπιστεύσατε κυρίῳ τῷ θεῷ ἡμῶν (მეორ. სჯ. 1, 32).

...არავე ერწმუნნეთ თქუენ უფალსა ღმერთსა თქუენსა (ABEKS).

G რედაქციაში ერწმუნნეთ მიმღეობური ფორმითაა წარმოდგენილი:

... არა მრწმუნებელ ექმნენით უფალსა ღმერთსა თქუენსა (G).

სუბიექტური წყობის შემთხვევაში რწმენა სიტყვასთან უფალი ღმერთი მიცემით ბრუნვაში გვხვდება. ობიექტური წყობის ზმნებთან კი ღმერთი (აგრეთვე ღმერთის ზედწოდების აღმნიშვნელი ტერმინები) სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ითხოვს (იხ. გვ. 140-142).

ორიგინალურ ტექსტებში რწმენის ზმნური ფორმები გვხვდება “ღმერთისა” და “ადამიანის” აღმნიშვნელ სიტყვებთან შეხამებაში იმ განსხვავებით, რომ სწამს ზმნასთან შეხამებული სახელი ღმერთი მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას. სხვა შემთხვევაში, კერძოდ, როცა ზმნას “ადამიანის” აღმნიშვნელი სახელი შეეხამება, იგი ნათესაობით ბრუნვაში დგება.

მაგალითები:

მან ღმერთი ცათად და ქუეყანისად აღიარა და ჰრწმენა (შუმ. 13); უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბობად მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე (აბო 73); ... დაჰლეწნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელსცა სახელითა სამებისადთა (აბ. ნეკრ. 109); მრწამს მამად მისა თანა სულით წმიდითურთ და უხრწნელი იგი დედოფალი, მშობელი სიტყვსა ღმრთისაჲ (წამ. ქეთ. 27, 25).

ინვერსიული მრწამს ზმნა ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან კონტექსტში:

... ხილულისა ამის-გან ახლისა მოწამისა პირველთაჲცა მათი გურწმენეს... (აბო 76); გრწმენინ ჩემი, შვილნო... (გრ. ხანძთ. ცხ. 127); გრწმენინ ჩემი, ჭემმარიტსა ვიტყვ წინაშე ღმრთისა (გრ. ხანძთ. ცხ. 135).

ახალ ქართულში საწყისურ (მასდარულ) რწმენა ფორმასთან ღმერთის გენტიური ფორმა (ღვთის რწმენა) ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის, მაგრამ ღმერთის მწამს შეუძლებელი სინტაგმაა, ამდაგვარი სინტაქსური კონსტრუქცია საანალიზო მასალებში არ დადასტურებულა. სახელი ღმერთი მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას მწამს ზმნასთან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები ეწარმოება. მწამს ინვერსიულ ზმნათა რიგს მიეკუთვნება, რომელთა კონსტრუქციაც, როგორც ცნობილია, ასეთია: სუბიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო ობიექტი – სახელობითი ბრუნვით. არსებობს გამონაკლისი – ინვერსიული წარმოების ზმნები, სადაც ობიექტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგალითად: მეშინია მგლის(ა), მერიდება სტუმრის(ა), მრცხვენია მასწავლებლის(ა)... ამ კონტექსტში მწამს ორ კონსტრუქციას გვიჩვენებს: 1) მწამს ღმერთი (სახ. ბრ.) მორწმუნე რელიგიური ვარ. 2) მწამს მეგობრის (ნათ. ბრ.) მჯერა მეგობრისა, ვენდობი მას. მწამს ზმნის ამ თავისებურებას მისი სპეციფიკური სემანტიკური მნიშვნელობა განაპირობებს.

დერივაციული ფორმები:

ბიბლიურ ტექსტებში გვხვდება ტერმინ რწმენისგან მიღებული ფორმები: სარწმუნოება, მორწმუნე, სარწმუნო, კომპოზიტები მცირედ-მორწმუნე, მცირედ-მორწმუნეობა და უქონლობის სახელთა მაწარმოებელ უ- – -ლ აფიქსებდართული უ-რწმუნ-ლ.

მაგალითები ბერძნული შესატყვისებითურთ:

ა) სარწმუნო:

... θεὸς πιστός, καὶ οὐκ ἔστιν ἀδικία... (მეორ. სჯ. 32, 4).

... ღმერთი სარწმუნო არს და არა არს სიცრუვე მის თანა... (BDES).

ბ) სარწმუნეობა:

... παρ' οὐδενὶ τοσαύτην πίστιν ἐν τῷ Ἰσραὴλ εἶπον (მ 8, 10).

... არცაღა ისრაელსა შორის ესოდენი სარწმუნეობა ვპოვე (FG).

ακούσαντες τὴν πίστιν ἡμῶν ἐν Χριστῷ Ἰησοῦ... (კოლ. მიმ. 1, 4).

გუესმა სარწმუნეობა ეგე თქუენი ქრისტე იესუმს მიმართ.

... ἡμῖν ἔχαρισθη τὸ ὑπὲρ Χριστοῦ, οὐ μόνον τὸ εἰς αὐτὸν πιστεῦσαι... (ფილიპ. მიმ. 1, 29).

... თქუენ მიგემაღლა ქრისტესთვის არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნეობა...

გ) მორწმუნე:

σημεῖα δὲ τοῖς πιστεύσασιν ταῦτα παρακολουθήσει... (მრკ 16, 17).

სასწაული მორწმუნეთა ასე შეუდგეს... (FG).

... Εἰ κερίκατέ με πιστὴν τῷ κυρίῳ εἶναι, εἰσελθόντες εἰς τὸν οἶκόν μου μένετε καὶ παρεβιάσατο ἡμᾶς (საქ. 16, 15).

... უკუეთუ შეგირაცხიე მე მორწმუნედ უფლისა, შემოვედით ვანად ჩემდა და მუნ დაადგერთ.

დ) მცირედ-მორწმუნე:

... Τί διαλογίζεσθε ἐν ἑαυτοῖς, ὀλιγόπιστοι, ὅτι ἄρτους οὐκ ἔχετε (მ 16, 8).

... რაღას ზრახავთ გულთა თქუენტა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს (FG).

ე) მცირედ-მორწმუნეობა:

ὁ δὲ λέγει αὐτοῖς, Διὰ τὴν ὀλιγοπιστίαν ἡμῶν ἀμὴν γὰρ λέγω ἡμῖν... (მ 17, 20).

ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მცირედ-მორწმუნეობითა თქუენითა ამენ გეტყვ თქუენ □□□ (FG).

HIK რედაქციაში მცირედ-მორწმუნეობის ნაცვლად გვხვდება ურწმუნო:

ხოლო იესუ ჰრქუა მათ ურწმუნოებისა თქუენისათვის (HIK).

ვ) ურწმუნო:

...καὶ μὴ γίνου ἀπιστος ἀλλὰ πιστός (ი 20, 27).

...ნუ იყოფი ურწმუნო არამედ გრწმენინ (FG).

ვფიქრობთ, ყველა ჩამოთვლილი ტერმინი ბერძნულის კალკს წარმოადგენს.

ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება ტერმინ რწმენა-სგან მიღებული სიტყვები:

მრწამსი, სარწმუნოება, მორწმუნე, სარწმუნო, ურწმუნო. კომპოზიტები: კეთილადმორწმუნეობა, მართლმორწმუნე.

ა) მრწამსი:

წარმოთქუა მრწამსი... (წამ. ქეთ. 27, 25).

ბ) სარწმუნოება:

ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტჳსსა (შუმ. 8); აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოებისა და სიყვარულისა შენისაჲთა (აბო 462); ... სარწმუნოებისაგებრ მეფისა აღაშწნა მონასტერი... (გრ. ხანძთ. ცხ. 115); ... მინიჭებულ იყო საყდარი დიდებისა უფლისაჲ დიდისა მისთჳს სარწმუნოებისა მისისა... (აბ. ნეკრ. 167); ... დაჯსნა ნებაჳს ქრისტიანეთა სარწმუნოებისა (წამ. ქეთ. 14, 30).

გ) სარწმუნო:

შვილო, ყოვლად-კეთილო და სარწმუნო ქრისტჳს მონაო (გრ. ხანძთ. ცხ. 101); წარავლინეს ამათცა კაცი სარწმუნო (წამ. ქეთ. 10, 5).

დ) მორწმუნე:

აწ მოვედით, ქრისტჳს-მორწმუნენო... (აბო 77); ...შეითქუნეს კაცნი ესე ქრისტეს მორწმუნენი (წამ. ქეთ. 12, 10).

ე) ურწმუნო:

... არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა (აბო 66); ... გულისგმა-ყონ ყოველთა... ურწმუნოთა... (აბო 77); აბრაჳამ ქუეყანისა მისაგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან... (გრ. ხანძთ. ცხ. 102).

ვ) კეთილადმორწმუნეობა:

... კეთილად-მორწმუნეობითა ქებულ იყო (გრ. ხანძთ. ცხ. 107).

ზ) მართლმორწმუნე:

...კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიად ხანძთისად შეწევნითა ქრისტესითა... და ყოველთა მართლ-მორწმუნეთადათა (გრ. ხანძთ. ცხ. 109); იქმნა... ნავთსადგურ ცხორების ქრისტეს სამწყსოთა მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა ქრისტეანეთა მართლ-მორწმუნეთადასა (გრ. ხანძთ. ცხ. 119).

2) მეგრული და სვანური

ა) მეგრული

მეგრულში რწმენის, წამების შესატყვისად გვაქვს წანაფა. “ღორონთი ქორწანსდა” – “თუ ღმერთი გწამს”. ფუძისეულ მ-ს მეგრულში ნ სონორი ჩაენაცვლება. ი. ყიფშიძე წამ ძირის განმარტებისას იმოწმებს შემდეგ ფორმებს: “წამება – свидетельствовать, веровать. ვეწამებუქ, გეწამებუქ, ვეწამი; მო-წმობა – свидетельство, утверждение; ვამოწმენქ, შე-ვამოწმი; ვუმოწმენქ – соглашаюсь с ним, свидетельствую в его пользу. მო{კ}უმოწვი, დო{კ}უმოწმი; მო-წამე – свидетель; უ-წამო – неверный” [ი. ყიფშიძე, 1994]. ტერმინი წამება, ისევე როგორც ძველ ქართულში, მეგრულშიც დამოწმებას ნიშნავს. გარდა დამოწმებისა მისი მნიშვნელობაა რწმენა. მეგრულში გვაქვს აგრეთვე ტერმინი მოწამიერი, მისი ფარდი სიტყვა სვანურშიცაა დაცული: მუნწმირ. ორივესთვის ამოსავალი წამ ძირია. ორივეს ერთვის ქართული ქონების სახელთა მაწარმოებელი -ერ სუფიქსი. (სვანურში ჟ ხმოვანი იკარგება, რაც ღ-ს დაგრძელებას იწვევს). მეგრულსა და სვანურში მო-, მუ- მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსებია. მეგრული მოწამიერი და სვანური მუნწმირ ქართულიდან ნასესხები ტერმინები ჩანს. მათი შესატყვისი ქართული ფორმა შეიძლება იყოს მო-რწმ-უნ-ე. განსხვავება იმაშია, რომ მოწამიერი, მუნწმირ ძირითადად ნათესაური კავშირების ან ზოგადად მოყვასის მოყვარულ ადამიანს გულისხმობს, მორწმუნე-ში კი უცილობლად ღვთის რწმენა მოიაზრება.

ბ) სვანური

რწმენა სვანურსა და მეგრულში ქართულიდან ნასესხები ფორმა ჩანს. სვანურ ლინწამ-ში გამოიყოფა წამ ძირი უმლაუტირებული ღ-თი, რაც მოკვეცილი ხმოვნის შედეგადაა მიღებული. წამ ვ. თოფურიას და მ. ქალდანის “სვანურ ლექსიკონში” ასეა განმარტებული: “წამ (-იმ, -წამწრ) ზს., ლენტ. წამ (-არ) ლშხ. – სისხლით ნათესავი, თვისტომი, მკვიდრი (და, ძმა, ნათესავი): წამ მუხუბე ანწად (ზზ.) – მკვიდრი ძმა მოვიდა; ალწრ წამ ჯგმილ – დაჩურემ გეზლირ ლიხ (ბქ. 201) – ესინი მკვიდრი და-ძმის შვილები არიან; პაპუნწი წამ მუხუბე ჩუწმესედ ამეჩუ (ლენტ. 90) – პაპუნას მკვიდრი ძმა აქ დარჩენილა”.

ლინწამ-ს ლ. პალმაიტისი და ჩ. გუჯეჯიანი “სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში” განმარტავენ, როგორც რაღაცის დაჯერებას, რწმუნებას.

სვანური ლი-ნ-წამ-ის ნ სონორი, ისევე როგორც ქართულ ტერმინ რწმენაში რ, განვითარებული ბგერა ჩანს. ლი- სვანურში საწყისის მაწარმოებელი პრეფიქსია.

მაგალითები:

დღარ ჯანწამ მარე ღერბათ ნრმჩიქქვ ლახემწამა სი ი ისგუ ლირდე (სექ, ბზ., გვ. 56) – არავინ არ გწამს, მაგრამ ღმერთს არასოდეს ეწამო შენ და შენი ცხოვრება; ქრისტიანე ლანწამ ღერთარგნქა ჯვინალდ შვანწრს მრმ-მრმ ღერთარ ხამწმენახ, დერხის ერზუმ პწტივს ხწჩომდახ ი ხაყვლრნდახ, ერე ღერბათდ ხომა. შვანწრს დერხი მწრწლი წყლდწნ მწრწლ ხოხალდახ. ობწმინ ვირდწდწრე ღერთარი ხამწმენხ (სექ, ბზ., გვ. 21) – ქრისტიანების სარწმუნო ღმერთების გარდა, ძველად სვანებს სხვადასხვა ღმერთები სწამდათ, ზოგს იმდენად დიდ პატივს სცემდნენ და ეშინოდათ, რომ ღმერთზე უფრო, სვანებს ზოგი ადამიანი წმინდად მიაჩნდათ, ზოგჯერ ებრაელთა ღმერთებიც სწამდათ.

დასკვნა

რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებული ტერმინებიდან ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე: დიდება, ქება, გალობა, კურთხევა, წყალობა, დაბადება, შექმნა, რწმენა. ამ ტერმინებს ძველ ქართულში მონოსემიური მნიშვნელობა ჰქონდათ, ზოგმა შემდგომ პოლისემიური მნიშვნელობა მიიღო. სემანტიკური ველის შეცვლამ რამდენიმე ტერმინის გრამატიკული სისტემის ნაწილობრივი ან სინტაქსური კონსტრუქციის შეცვლა განაპირობა. მაგ., ტერმინ დიდების ადრესატი ძველ ქართულში იყო მხოლოდ ღმერთი და იგი დიდების ზმნურ ფორმებთან გვხვდება ხან სახელობითში, ხან კი მიცემით ბრუნვაში; როცა “მე” ადიდებას “მამას”, ადრესატი წოდებით ბრუნვას მოითხოვს. დიდების სახელურ ფორმებთან კი ადრესატი დგას მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში.

ახალ ქართულში დიდების ადრესატი ღმერთთან ერთად არის ადამიანი და აბსტრაქტული სახელი. აქ უკვე ფსევდომიმართვებთან გვაქვს საქმე. საბჭოურ ლოზუნგებში ტერმინ დიდებასთან ფსევდომიმართვები მხოლოდ მიცემით ბრუნვაში გვხვდება (დიდება შრომას; დიდება ბელადს).

ტერმინ რწმენის ზმნური ფორმები თავისებურებებს ავლენენ სინტაქსური თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, როცა ირღვევა რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებულ ქრისტიანულ ტერმინთა მონოსტრუქტურული მოდელი, ან ტერმინს არ უხერხდება მონოსემიური სემანტიკის მქონე სიტყვად ჩამოყალიბება, ენა ცდილობს სინტაქსური კონსტრუქციებით განასხვავოს საკრალური, დესაკრალიზებული და ყოფითი ტერმინები ერთმანეთისაგან (იხ. დიდება, რწმენა).

ტერმინი დაბადება ძველ ქართულში მხოლოდ უფლის მოქმედებას გულისხმობს. იგი ტერმინ შექმნის სინონიმი. ახალ ქართულში დაბადება შობის სინონიმი ხდება.

შესაძლოა, ტერმინ დაბადების სემანტიკურმა გადახრამ გამოიწვია მისი გრამატიკული სტრუქტურის შეცვლა: დაჰბადა > დაბადა, დაებადა > დაიბადა.

დაბადება, შექმნა დღეს სინონიმურ წყვილს აღარ წარმოადგენს.

ტერმინები, რომელთაც მონოსემიური დატვირთვა ჰქონდათ და შემდეგ შეიძინეს პოლისემიური მნიშვნელობა, განიცდიან დესაკრალიზაციას (ეს შეიძლება ითქვას როგორც უფლის სახელებზე, ისე საკრალურ ტერმინებზე).

წარმოდგენილ მასალაში გვხვდება ისეთი ტერმინები, რომელთაც არ განუცდიათ დესაკრალიზაცია. ესენია: კურთხევა და წყალობა.

* * *

ქრისტიანულ ტერმინთა სინქრონიულმა და დიაქრონიულმა შესწავლამ ქართულში, აგრეთვე სხვა ქართველური ენების მონაცემების გათვალისწინებამ გვიჩვენა, რომ ტერმინები სემანტიკურ ცვლილებებს განიცდიან იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ადამიანის დამოკიდებულება ღმერთისადმი: თეისტური შეხედულება აქვს მას ღმერთზე თუ ათეისტური. (ამ მხრივ გამონაკლისებია ტერმინები: უფალი, მეუფე). ტერმინთა სემანტიკური ცვლილება ზოგ შემთხვევაში განაპირობებს სინტაქსური კონსტრუქციებისა თუ გრამატიკული სისტემის ნაწილობრივ შეცვლას.

Краткое содержание работы

Введение

Процесс формирования христианских терминов в грузинском литературном языке прослеживается с V века. Они, как известно, закреплялись в языке путем заимствования. Наряду с полными заимствованиями встречались и кальки, как факты частичного заимствования, что явилось еще одним и, можно сказать, продуктивным способом образования сакральных лексических единиц. Таким образом, среди грузинских христианских терминов анализу подлежат как непосредственно заимствованные лексемы, так и кальки и, следовательно, тот оригинальный материал, который формировался в недрах грузинского языка.

Логическое соотношение между понятием и термином представляется следующим образом: "Каждому понятию должен соответствовать один термин. В этом заключается основной признак термина – однозначность или моносемичность" (Р. Гамбашидзе).

Как известно из научной литературы, при образовании терминов должны учитываться следующие принципы: 1. термин должен быть образован только на основе грузинских корней и аффиксов; 2. термин должен отличаться от общеупотребительной лексики формально-семантической системностью; 3. термин с точностью должен отражать содержание соответствующего понятия; 4. между термином и понятием должна быть установлена однозначная соотнесенность; от термина требуется моносемичность и в то же время "краткость и лаконичность". Такова общая формулировка терминологического словообразования, хотя этот принцип не всегда проводится, поскольку "язык представляет собой живой организм и подчиняется законам развития" (Д. Меликишвили).

Несмотря на то, что вышеуказанная формулировка образования терминов распространяется в основном на научную терминологию, ее можно применить и к христианской терминологии. Примечательно и то, что образование и развитие научной терминологии почти не выходит за пределы книжного языка. Это позволяет поставить ее в определенные рамки, т. е. нормировать, поскольку "язык письменной речи в большей степени консервативен по сравнению с устной речью" (Б. Почхуа).

Иная картина наблюдается относительно христианских терминов, которые вошли в грузинский язык сначала книжным путем, а затем уже они стали общенародным достоянием, после чего образование терминов приобретает более своеобразный характер. Неудивительно, что на этом фоне данный процесс еще не упорядочен в бесписьменных мегрельском и сванском языках.

Принято считать, что терминологическое словообразование – осознанный процесс (Д. Меликишвили). В ходе формирования христианской терминологии язык стремится выработать собственную моноструктурную модель. В качестве словообразовательного материала используется общенародный языковой лексический фонд. Формирование христианской терминологии (равно как и других терминов) предполагает различия между этими терминами и используемыми в общеупотребительной речи лексемами с узуальным значением.

ГЛАВА I

Термины со значением БОГА

Среди христианских терминов в первую очередь следует выделить термины со значением Бога. Как известно, христианский мир признает существование одного единственного **Бога**, который, будучи по своей сущности одним, имеет три воплощения: Бог – Отец, Бог – Сын и Бог – Святой Дух, которые составляют единосущную и неразделимую Троицу. Термины, обозначающие эпитеты Бога, часто не различают всех ипостасей Троицы, однако особое отношение питает человек к "Сыну Божьему", т. к. Он воплотился в человеке и предстал перед глазами рода человеческого.


Термины со значением Бога: *ymerti* "Бог", *urali* "Господь", *meure* "Владыко", *tama* "Отец", *šemokmedi* "Творец", *dambadebeli* "Создатель", *sameba* "Троица", *masxovari* "Спас", *moxneli* "Спаситель", *krište* "Христос", *ieso* "Иисус", *mesia* "Мессия", *emanuel* "Еммануил", *tavadi* "Владыко", "Сам Господь", *suli čmi(n)da* "Святой Дух".

В сванском и мегрельском имена Бога заимствованы из грузинского, однако в сванском языке имеется одно исключение – *pusd*. На основе сравнения библейских текстов с греческим оригиналом установлено, что из перечисленных терминов заимствованными являются только **Христос**, **Иисус**, **Мессия**, **Еммануил**, оригинальные же термины *ymerti* "Бог", *masxovari* "Спас", остальные, вероятно, – кальки. В диссертационной работе результаты исследования каждого термина представлены в отдельности.

1. **γmerti "Бог"**. Текстологический анализ библейских текстов относительно термина **γmerti** "Бог" показал довольно интересную картину. Наибольшим своеобразием характеризуется "Книга Левитян", где в грузинском варианте редакции AKSB, за редким исключением используется термин **γmerti** "Бог", а в редакции G "Книги Левитян" вместо термина **γmerti** "Бог" встречается термин **upali** "Господь". Редакция G в этом случае терминологически совпадает с греческим текстом "Книги Левитян", который в свою очередь, вероятно, является переводом с еврейского, где **ieγova** "Иегова" (груз. Бог) не упоминается. Вместо него употребляется **adonai**. Этот языковой факт в лингвистической литературе квалифицируют как эвфемизм.

2. **upali "Господь"**. Древним значением термина **upali** "Господь" является: "господин", "хозяин, владелец". Считается, что этот термин образован от глагольной формы **supavs** "царствует" (Арн. Чикобава). По предположению Ал. Чинчараули **upali** является формой превосходной степени. С течением времени (конкретную дату установить трудно, хотя в литературном произведении XVIII в. "Мученичество всепрославленной мученицы царицы Кетеван" слово **upali** встречается исключительно в значении **γmerti** "Бог") термины **upali** "Господь" и **γmerti** "Бог" стали синонимами.

Предполагается, что первоначально термин **upali** употреблялся в бытовом значении, впоследствии он стал полисемичным, а затем при использовании его в качестве эпитета Бога проявилась тенденция к моносемичности и, таким образом, данный термин приобрел религиозную нагрузку. Семантические изменения термина **upali** "Господь" можно выразить следующей схемой.



В сванском языке термин **upali** "Господь" встречается в значении только религиозного праздника в форме **upališ**. Выделяется показатель родительного падежа **-iš**. В мегрельском термин **upali** "Господь" не встречается, вместо него употребляется термин **γoronti** "Бог".

Следует отметить и такие термины, которые с самого начала имели полисемичную нагрузку, сохранившуюся до наших дней. К ним относятся **meupe** "Владыко", **mama** "Отец".

3. **meupe "Владыко", "Царь Небесный"**. Сначала термин **meupe** встречался в бытовом, общеупотребительном значении, а затем – как сакральный термин. Согласно дефиниции Толкового словаря грузинского языка, **meupe** в первую очередь является религиозным термином, а потом уже – бытовым.

4. **mama "Отец"**. В дефиниции лексикографа XVIII в. С.-С. Орбелиани **mama** толкуется в сакральном значении, а затем уже – в бытовом.

В однотомике "Толкового словаря грузинского языка" слово **mama** засвидетельствовано сначала с бытовым значением, а затем – с сакральным: **mama** "отец": 1. Мужчина по отношению к своим детям – родитель (мужского пола). 2. **mamebi** "отцы", старшее поколение, предки (напр., **mamebi da švilebi** "отцы и дети"). 3. Название священника/монаха (**mama tedore** "Отец Федор"); **mamao!** "Отче!" – обращение к священнику; **mama abramis batqani** "агнец отца Авраама" (ирон.) – якобы безгрешный, праведный человек; **mamao čveno!** "Отче наш!" (церк.) – обращение к Господу Богу во время молитвы с названием молитвы, которая начинается этими словами; **zeciuri mama** "Отец Небесный" (религ.), т. е. Бог.

Термин **mama** "Отец" в значении Бога используется как в Ветхом Завете, так и в Новом Завете, а также встречается в оригинальных литературных памятниках.

5. **pusd** "Бог". Термин **pusd** в сванском языке встречается в значении "господин", "хозяин", и при этом имеется в виду как Бог, так и человек. **pusd** – полисемичное слово аналогично древнегрузинскому термину **upali**, греческому **κυριος**, еврейскому **elohim** и **adonaj**.

Встречаются и такие эпитеты Бога, которые первоначально имели моносемичную нагрузку, а впоследствии приобрели полисемичные значения. Следовательно, моноструктурная модель синонимов оказалась нарушенной. Такими терминами являются **šemokmedi** "Творец", **dambadebeli** "Создатель", **sameba** "Троица", **mísneli** "Спаситель".

Следует предположить, что нарушение границ семантического поля указанных терминов было вызвано изменением отношения человека к Всевышнему.

6. **šemokmedi** "Творец". Термин **šemokmedi** образован путем присоединения к основе сложного преверба **šemo-** и суффикса **-ed** со значением имения. В древнегрузинском языке слово **šemokmedi** означало "Творец Вселенной", т. е. Бог. Термин **šemokmedi** может быть также синонимом Святой Троицы, т. к., по мнению Святых отцов, в сотворении мира принимают участие все три ипостаси Троицы: Отец, Сын, и Святой Дух. В поэзии Иоанэ Минчхи термин **šemokmedi** встречается отдельно как для обозначения **mama ýmerti** "Бога-Отца", так и для выражения всех трех ипостасей Троицы.

В исследованных текстах лексическая единица **šemokmedi** используется только в качестве эпитета Бога, а в "Толковом словаре грузинского языка" **šemokmedi** определяется как полисемичный термин. Он имеет значения также творца, который творит свой собственный мир по имитации с Богом.

7. **dambadebeli** "Создатель". Слово **dambadebeli** является синонимом термина **šemokmedi** "Творец" и образуется от основы глагола **badebs** "рождает" при помощи преверба **da-**. По форме это слово является причастием, образованным путем присоединения аффиксов **m – el**. Согласно проанализированным текстам и дефинициям лексикографических источников, слово **dambadebeli** "Создатель" в древнегрузинском языке означало Бога, а в современном грузинском языке оно становится полисемичным и означает "родителя, создателя", а вторая семантика – это значение Бога.

